


ISNN 1512-0597

ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი



№ 9

2002

ქ მ ე ბ ა ნ ი

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური გვლევის ცენტრის
ჟურნალი**

№ 9

D Z I E B A N I

**The Journal
of the Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences**

Tbilisi

2002

თბილისი

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
д531

მთავარი რედაქტორი: ოთარ ლორთქიფანიძე
Editor-in-Chief: **Otar Lordkipanidze**

სარედაქციო საბჭო: გ. ლიჩელი, ინ. ჯალაგანია, გ. კვირკველია,
გ. ჯაფარიძე, გ. ნარიმანიშვილი,
გ. მინდიაშვილი, ა. ჭყონია, დ. ბაქრაძე

Editorial council: **V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirkvelia,**
V. Japaridze, G. Narimanishvili, G. Mindiashvili,
A. Chqonia, D. Bakradze

სარედაქციო პოლეგია: დ. კაჭარავა, გ. კვირკველია,
გ. ნარიმანიშვილი, ნ. მიწიშვილი,
გ. კვაჭაძე

Editors of the Volume: **D. Kacharava, G. Kvirkvelia,**
G. Narimanishvili, N. Mitsishvili,
M. Kvachadze

შინაგარსი

Contents

ს ტ ა ტ ი ე ბ ი A r t i c l e s

გ. ნიორაძე, გ. ნიორაძე. ზედაპალეოლითური ხელოვნების ნიმუშები საქართველოს მღვიმური სადგომებიდან	5
M. Nioradze, G. Nioradze. Specimens of Palaeolithic Art from Cave Stations of Western Georgia (Summary)	8
გ. მინდიაშვილი. „მტკვარ-არაქსული“ მესაქონლების ხასიათისა და მეურნეობის ამდარების კლასორწარმომქმნელი ბუნების გამო.	15
G. Mindiashvili. On the Character of Livestock-Breeding in the "Kura-Araxes" Culture and the Classforming Nature in this Branch of Economy (Summary)	21
ა. ორჯონიკიძე. მტკვარ-არაქსული ტრადიციები ადრეული ყორლანების გავრცელების ხანაში	23
A. Orjonikidze. Kura-Araxes Traditions in the Period of the Spread of So-called Culture of Earlier Kurgans (Summary)	27
....	29
გ. ფხაკაძე. ადრებრინჯაოს ხანის ზიარჭურჭლის დანიშნულებისა და გავრცელების შესახებ	29
G. Pkhakadze. On the Distribution and Function of Early Bronze Age Double Vessels (Summary)	32
....	34
ნ. ხახუთაიშვილი, გ. თაგამაიშვილი. უძველესი რკინის მეტალურგიის ახალი კერა ჩაქვისწყლის ხეობაში	41
N. Khakhutaishvili, G. Tavamaishvili. One More Centre of Ancient Iron Metallurgy in Chqvistsqali Basin (Summary)	44
ლ. სახაროვა. შრომის იარაღი კოლხურ და ყობანურ კულტურებში	48
L. Sakharova. Tools and implements in Colchian and Koban Cultures (Summary)	50
რ. პაბუაშვილი, თ. ესებუა. ცაიშის სამაროვანი	54
R. Papuashvili, T. Esebua. Tsaishi Necropolis (Summary)	56
გ. ნარიმანიშვილი, ვ. შატბერაშვილი. ძვ.წ. V-I სს-ის წითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგის საკითხი)	71
G. Narimanishvili, V. Shatberashvili. The Painted Pottery of Achaemenid and Post-Achaemenid Epochs from Kartli (Stylistic analysis, chronology) (Summary)	76
ქ. ჯავახიშვილი. ლურჯი მინის მრავალწახნაგები	81
K. Javakhishvili. Gems Cast of Blue Glass (Summary)	85
ს. ხარაბაძე. გვიანანტიკური ხანის სამარხი სოფელ ფერეთადან	88
S. Kharabadze. Burial Belonging to the Late Classical Period from the Village of Pereta (Summary)	99

ა რ ქ ე თ ლ თ გ ი ი ს ი ს ტ ი რ ი ა

History of Archaeology

მ. ჩარკვიანი. ექ. თაყაიშვილის მიერ ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოები	88
M. Charkviani. Field Archaeological Investigations Carried out by E. Taqaishvili (Summary)	99
თ. აბულაშვილი. ბ. კუფტინი	101
T. Abulashvili. B. Kuftin	101

გ ი ლ თ ც ვ ა

Congratulations

ჯუანშერ სონგულაშვილი 75 წლისაა	106
Juansher Songhulashvili – 75	106

ქ რ თ ნ ი პ ა C h r o n i c l e

ი. ჯალაგაძია, ხ. ჯორბენაძე, ა. ჭყონია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2001 წელს	107
I. Jalaghania, Kh. Jorbenadze, A. Chqonia. The Centre for Archaeological Studies in 2001	107
თ. კობახიძე. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 2001 წელს	
T. Kobakhidze. The Library of the Centre for Archaeological Studies in 2001	118
შემოკლებათა სია	119
Abbreviations	119

სტატიები ARTICLES

მედეა ნიორაძე, გიორგი ნიორაძე

ზედაპალეოლითური ხელოვნების ნაწარმოშობის დიურული დასავლები საქართველოს მდგიმარი სადგომებიდან

პირველყოფილი ხელოვნების ნაწარმოშობები ორ დღიდ ჯგუფადაა დაყოფილი: а) მღვიმური ფერწერა და გრავირება; б) ქვიდან, რქიდან და ძვლიდან დამზადებული მცირე ზომის ხელოვნების ნიმუშები.

პალეოლითური ხელოვნების წარმოშობის შესახებ დღემდე არ არსებობს თეორია, რომელიც შესძლებდა ამომწურავი პასუხის გაცემას ამ კითხვაზე. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელოვნების პირველი ნიმუშები ზედაპალეოლითის ხანიდანაც ცნობილი, რომ ხელოვნება ჩნდება ორინაკების დროს და განვითარებას აღწევს მაღლენის ეპოქაში. არსებობს მოსაზრება, რომ მხოლოდ *Homo sapiens sapiens*-ს შესწევდა უნარი დაუფლებოდა სულიერი შემოქმედების ამ სფეროს, ნეანდერტალელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ხელოვნება [21, გვ. 149]. მიიჩნევენ, რომ ხელოვნება, იარაღის დამზადების ტექნიკასთან შედარებით, უფრო ღრმად განასხვავდებს ზედა პალეოლითის დასაწყისს მუსტიეს დასასრულისაგან [23, გვ. 152].

არსებობს მოსაზრება, რომ ხელოვნების ჩასახვა, მისი საწყისი ნიშნები მუსტიეს ხანაში უკვე შეინიშნება [22, გვ. 26-29; 26, გვ. 118-164].

ადრეული თეორიის მიხედვით (ე. ლარტე, XIXს.), პალეოლითელი ადამიანი ასრულებდა ფერწერულ ნახატებს, ქმნიდა გრაფიკულ, სკულპტურულ ნიმუშებს, ყოველგვარი პრაქტიკული მიზნების გარეშე. ეს იყო წმინდა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

სხვა თეორიის მიხედვით (ს. რეინაზი, XX ს. დასაწყისი) ხელოვნება წარმოიშვა რელიგიური წარმოდგენების ჩასახვის შედეგად, მაგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით.

ამრიგად, ხელოვნების წარმოშობის ორი ასპექტი გამოიკვეთა: მხატვრულ-ესთეტიკური და რელიგიურ-მაგიური.

სახვითი შემოქმედების უძველესმა ძეგლებმა მესამე ასპექტიც წამოსწიეს წინ – პირველყოფილი ადამიანის ზუსტი წარმოდგენები რეალურ სამყაროზე, პოზიტიური ცოდნა ბუნების შესახებ, ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკის ჩანასახები (ა. ბრეილი; ა. ლერუა-გურანი; ზ. აბრამოვა; ბ. ფროლოვი და სხვ.). ერთი რამ უდავოა, რომ პირველყოფილი ხელოვნება დაკავშირებული იყო ადამიანის შრომით საქმიანობასთან. პალეოლითური ხელოვნების ძეგლები გამოიყენება როგორც ისტორიული წყარო, რომელიც აშუ-

ქებს პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის ზოგიერთ ნიშან-თვისებებს [12, გვ. 5].

ს. ზამიატნინი ხაზგასმით მიუთითებდა სახვითი ხელოვნების ნაწარმოშობის დიდ როლზე ზედა პალეოლითში ლოკალური სხვაობების გამოვლენისას [17, გვ. 89-152].

არქეოლოგები, ზედაპალეოლითის ეპოქაში არსებული სამი დიდი ლოკალური კულტურების შესაბამისად, პალეოლითურ ხელოვნებაშიც სამ დიდ ტერიტორიულ ვარიანტს გამოყოფენ: I. აღმოსავლეთ ევროპის; II. ციმბირის; III. შავიზღვისპირეთის (ყირიმი, კავკასია) [12, გვ. 9, 71; 28, გვ. 28].

აღნიშნულ ტერიტორიებზე დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით არ მოიპოვება ედლის მხატვრობა, გამონაკლის წარმოადგენს კაპოვის მღვიმე სამხრეთ ურალში [14]. ამის სანაცვლოდ კარგადაა ცნობილი მცირე ფორმის ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ნამოსახლარების კულტურულ ფენებშია მიკვლეული პალეოლითელი ადამიანის ცხოვრების ამსახველ სხვა ნივთიერ მასალებთან ერთად და კარგადაა დათარიღებული [12]. აღმოსავლეთ ევროპისა და ციმბირის ტერიტორიების ხელოვნების ნიმუშების ფონზე მოკრძალებულად გამოიყერება შავიზღვისპირეთის (კავკასიიდან, ყირიმიდან) ხელოვნების ძეგლები.

კავკასიაში ზედაპალეოლითური ხელოვნების ნიმუშები ჯერჯერობით მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მღვიმური ძეგლებიდანაა ცნობილი. ყურადღებას იმსახურებს კლდეზე გრავირების ნიმუშები მღვიმევის კარსტული ეზიდან [16, გვ. 57-76; 27, გვ. 19-21]. როგორც მიუთითებდა ს. ზამიატნინი [16, გვ. 70], ესის კედელზე სწორხაზოვანი მოხაზულობა საჭრისითაა ამოკაწრული. ნახაზები ძალზე დაზიანებულია. ისინი თავიანთ თავდაპირველ მდგომარეობაშიც არ წარმოადგენენ რეალისტურ გამოსახულებებს და მათ ჰქონდათ ხაზვან-გეომეტრიული ხასიათის სქემატური ნიშნების სახე (ტაბ. I). ესის, სადაც ნაპოვნი იყო გრავირება, შეიცავდა პალეოლითელი ადამიანის მატერიალური კულტურის ნაშთებს. მათი დათარიღება ზედაპალეოლითური ხანით არ უნდა იწვევდეს ეჭვს, ვინაიდან მათი ნაწილი დაფარული იყო თხელი სტალაგმიტური ქერქით, რომელიც ძველი, დაფერდებაზე მეტი სიმძლავრის იყო და შეიცავდა ჩანართების სახით ზედაპალეოლითური ხანის

კაუის იარაღებსა და ცხოველთა დამტკრეულ ძვლებს [16, გვ. 69]. ერთ-ერთი გრავირება კირქვის ფილაზე იყო შესრულებული, რომელიც ფენაში აღმოჩნდა კაუის იარაღებთან ერთად. სულ მღვიმებში გრავირების 5 ნიმუშია აღმოჩნდილი, აქედან 4 – ეხის კედლებზე. სარწმუნო მაგალითების მოშველიებით ს. ზამიატნინმა დაასაბუთა, რომ ნაკაწრები კედლებზე მღვიმევიდან ახლო დგას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილ პალეოლიტურ გრავირებასთან, კერძოდ: რომანელის მღვიმედან იტალიაში, აგრეთვე ფუმ-ბირ-სეიდის და კიფენის ეხებიდან ჩრდილოეთ აფრიკაში [12, გვ. 42]. ვარაუდობენ აგრეთვე მღვიმევის ნაკაწრების მსგავსებაზე ესანერის მღვიმები გამოვლენილ გრავირებულ ნახაზებთან [27, გვ. 20-21; 30].

კლდეზე ამოკაწრით ან ამოტეხით შესრულებული გრაფიკული გამოსახულებები – პეტროგლიფები მიკვლეულია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. პატარა ხრამის ხეობაში, რომელთა შორის გამოიყოფა ოთხი ქრონოლოგიური ჯგუფი. ყველაზე არქაული მეზოლით-ენეოლითის ხანის ფარგლებში თავსდება [3, გვ. 66; 81]. გრავირების ნიმუშების არსებობაზე მიუთითებენ აგრეთვე აფხაზეთში მდებარე აგცის მღვიმეშიც [24].

გვარჯილას კლდეში (ჭიათურის რ.) აღმოჩნდილია ე. წ. „მეთაურის კვერთხის“ ფრაგმენტი, რომელიც 1,3 სმ სისქის და 6,5 სმ სიგრძის მსხვილფეხა საქონლის ნეკნის ძვლისაგანაა დამზადებული [4, გვ. 81-83]. ნივთის ზედაპირი კარგადაა გაპრიალებული, მის ორივე ზედაპირულ სიბრტყეზე შვიდ-შვიდი ორმაგი შუბის-პირი თუ ისრისპირია გამოსახული (ტაბ. I₂).

როგორც აღნიშნავდა დ. თუშაბრამიშვილი, ნივთზე ორნამენტი არ წარმოადგენს უბრალო დეკორატიულ მოტივს, არამედ მას განსაზღვრული, შესაძლოა, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა [4, გვ. 82]. პალეოლიტებმა ადამიანმა მკაცრად განსაზღვრული შვიდი ისრის გამოსახულება ამოკაწრა ძვლის ნივთზე მიუხედავად იმისა, რომ ის იძულებული იყო დაერღვია სიმეტრია გამოსახულების განლაგებაში. ერთი კიცხადია, რომ გვარჯილას კლდის პირველყოფილი ადამიანისათვის მხატვრული სახეებით აზროვნება უცხო არ ყოფილა [4, გვ. 82].

აღნიშნული ნივთისა და მასზე გამოსახული ორნამენტის შესახებ ი. კიკვიძე აღნიშნავდა „...რა დანიშნულებაც უნდა ჰქონდა ნივთს, იქნებოდა იგი „მეთაურის კვერთხი“ თუ ისრის-პირის ზროში მოსარგები, მისი საკულტო ხასიათი აშკარაა. ორმაგი ისრისპირის მსგავსი ნაკაწრები ასტრალური შინაარსის უნდა იყოს და შვიდ ცოომილს უნდა გამოსახავდეს... გვარჯილას კლდის ადამიანს გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონდა ციურ სხეულებზე, მზის

სისტემაზე. შეიძლება დავუშვათ, რომ მნათობნი უკვე გაღმერთებულნი არიან და რიცხვი 7 საკრალურია“ [6, გვ. 153]. გვარჯილას კლდეში ნაპოვნი „მეთაურის კვერთხის“ ფრაგმენტი მყარი საბუთი ჩანს ჩვენში უკვე ბეჭედი ქვის ხანის დასასრულისათვის კოსმოგონიურ შეხედულებათა და სოლარულ რწმენათა განვითარების დასანახად. ადამიანი არჩევს შვიდ მნათობს, თავანს სცემს მას და რიცხვ შვიდის მაგიურ ძალაში დარწმუნებულია [6, გვ. 154].

სიმბოლოები, ნიშნები ისრების, შუბების გამოსახულებებით დადასტურებულია პალეოლიტური ხელოვნებების სხვადასხვა ძეგლებში. ხშირად ისინი მოცემულია სუპერპოზიციაში, ე.ი. დატანილია გრავირულ ზედაპირებაზე ან ცხოველის ნახატზე.

ლიასკოს მღვიმედან (საფრანგეთი) ცნობილია ცხენების გამოსახულება ისრებით და ბიზონი, რომელიც დაჭრილია შვიდი შუბით (ტაბ. I₃) [13, გვ. 61-62; 15, გვ. 432; 28, გვ. 85, 216].

გვარჯილას კლდის „მეთაურის კვერთხის“ ფრაგმენტზე გამოსახული სიმბოლური ნიშნები მსგავსებას პოულობს დასავლეთ ევროპულ ისრისებურ სიმბოლოებთან, რომლებიც დატანილია კაჭრებზე მარტორქისა და ირმის გამოსახულებებზე კოლომბიერის მღვიმედან (საფრანგეთი) (ტაბ. I₄₋₅) [15, გვ. 441, 453].

ურადღებას იქცევს საქართველოს ზედაპალეოლიტურ მღვიმურ ძეგლებზე მიკვლეულ ძვლის სადგისებზე, ხელშუბისპირებზე სხვადასხვა ნაჭდევებისა და ნაკაწრების არსებობა. ასე, მაგ., თარო კლდეში (ჭიათურის რ.) მოპოვებულ ხელშუბისპირს ითხი პარალელური ნაჭდევი აქვს, როგორც ჩანს, ორნამენტის დანიშნულების (ტაბ. II₁) [18, გვ. 456, 462]. „უკაროვის“ მღვიმეში აღმოჩნდილ ხელშუბისპირის ფართო ბოლოზე დატანილია სამი პარალელური ირიბი ნაჭდევი (ტაბ. II₂) [18, გვ. 480, 482]. გვარჯილას კლდის მღვიმეში მიკვლეულია ძვლის სადგისი, რომელსაც ეტყობა ირიბი 6 წყვილი ნაჭდევი ერთმანეთის პარალელურად ორ ჯგუფად განლაგებული. ნაჭდევებს შორის მანძილი თანაბარია (ტაბ. II₇) [4, გვ. 103]. მეორე ძვლის იარაღის ფრაგმენტს ასევე საკმაოდ ღრმა, ერთმანეთის მიმართ პარალელურად განლაგებული მშენებით ჭდეული ორნამენტი აქვს [4, გვ. 130]. მსგავსი ორნამენტით შემკული ძვლის იარაღი მრავლადაა აღმოჩნდილი ზედაპალეოლიტის ბოლო პერიოდის სადგომებში, რაც იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ძვლის იარაღების გალამაზება ნაჭდევი ორნამენტით ფართოდ ყოფილა გავრცელებული [4, გვ. 103]. ნაჭდევებითაა შემკული ძვლის სადგისები საგვარჯილედან (ტაბ. II₃₋₅), საკაუიდან (ტაბ. II₁₂₋₁₇), მღვიმევიდან (ტაბ. II₉₋₁₁), გვარჯილას კლდიდან (ტაბ.

II₇₋₈), ორთვალადან (ტაბ. I₆), აფიანჩიდან, საწურბლიიდან (ტაბ. II₆) და სხვ.

სხვადასხვა პალეოლითური ძეგლებიდან ძვლის, რქისა და ქვის ნივთებზე ნაჭდევებისა და ნაკაწრების არსებობა მკალევართა შორის ყოველთვის იწვევდა დიდ ინტერესს. ყურადღება ექცეოდა ნივთებზე მათი განლაგების თავისებურებებს. პირველი დისკუსიების შესახებ ძვალზე ნაჭდევების არსებობის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ, ბუშე დე პერტის აზრით, ერთნაირი რაოდენობის ნაჭდევებიანი ძვლები იყო გასაზომი იარაღი [31, გვ. 296-298, 312]. ე. ლარტე მათ მიიჩნევდა საანგარიშო ინსტრუმენტებად. ნაჭდევებში ხედავდნენ ნუმერაციის ნიშნებს ან მონადირის აღნიშვნებს [33, გვ. 189, 251]. ნივთებზე ნაჭდევების ცალკეულ ჯგუფებად არსებობას ინტერვალებით ზოგიერთი მეცნიერი აზრის გადაცემის საშუალებად მიიჩნევდა (ე. ჰიეტი). გ. დე მორტილე განიხილავდა რა ლა მაღლენიდან ფრინველის ძვალზე ნაჭდევებს (ტაბ. II₂₁) და ნაჭდევებს სადგისზე ეგლიზიდან (ტაბ. II₂₀), უარყოფდა მათ რიცხობრივ დანიშნულებას და თვლიდა, რომ ნაჭდევები გაკეთებულია ნივთის მოხერხებულად ზელში დასაჭერად ან ზეში მის დასამაგრებლად [35].

გ. ფერვორნი ნაჭდევებს მიიჩნევდა ანგარიშისა და რიცხვის უმარტივეს სახედ, რომელიც გამოიყენებოდა პალეოლითის დროის მონადირებში [36, გვ. 53-55]. მ. ფერვორნმა აღწერა ფრინველის ძვალი ბრასამპუდან (ტაბ. II₁₈), რომელსაც ჰქონდა 40 ნაჭდევი, ყოველი 10-ის შემდეგ წყვილი ნაჭდევებით გვერდზე გამოყოფილი და გამოოქვა აზრი პალეოლითში დათვლის დეციმეტრული სისტემის შესახებ [37, გვ. 37]. მანვე შეისწავლა ნაჭდევებიანი ძვლის ნაწარმი საფრანგეთის ძეგლებიდან: ბრასამპუ (ტაბ. II_{19,22}), ბრიუნიკელი (ტაბ. II₂₃₋₂₅), ეგლიზი (ტაბ. II₂₀), ლა გრეზი (ტაბ II₂₆) და აღნიშნავდა, რომ ნაჭდევები განლაგებულია ჯგუფებად, რომლებიც გამოყოფილია ერთმანეთისაგან [36].

კ. აბსოლონი [29] იზიარებდა მ. ფერვორნის პიპოთებას, რომ პალეოლითურ ადამიანს შეეძლო ესარგებლა გამოთვლის ხუთეულის, ათეულის სისტემით. მან ყურადღება მიაქცია ნაჭდევებს მგლის ძვალზე დოლნი ვესტინეციდან (მორავია) და უწოდა მას „საანგარიშო ჯოზი“ (ტაბ III₂₂). როგორც მიუთითებდა კ. აბსოლონი, გაურკვევლი ნაჭდევები და შტრიხები ორნამენტი კი არაა, არამედ რიცხვითი გაგებაა, განათხარ ადამიანს უნარი შესწევდა დაეთვალა [29, გვ. 149].

პალეოლითურ ნაჭდევებში ანგარიშის გამოყენებაზე მიუთითებს ბ. ფროლოვი [28]. მისი აზრით, უბრალო ნაჭდევების მწკრივები ხშირად გამოიყენება აგრეთვე ორნამენტის შესაქმნელად, რომ ამგვარ ნაჭდევებს აქვს ესთეტიკური

დატვირთვა [28]. პალეოლითურ ნაჭდევებს ა. მარშაკი მთვარის ციკლების კალენდარული ჩაწერის საშუალებებად მიიჩნევდა [34, გვ. 743-745].

ანალოგიური დასკვნების გაკეთება შეიძლება დასავლეთ საქართველოს ზედაპალეოლითური მდვიმური სადგომების ძვლის იარაღებზე არსებული ნაჭდევების შეფასებისას. შესაძლოა მათ ჰქონდათ ორნამენტის მნიშვნელობა, შესაძლოა ანგარიშის დანიშნულებითაც გამოიყენებოდნენ.

არსებობს მოსაზრებაც, რომ საკაუიას მღვიმის ზედაპალეოლითური დროის ძვლის ზოგიერთ სადგისზე გამოყავანილი წრეები მუშაობის პროცესშია (გახვრეტის დროს) წარმოქმნილი (ცხადია, არა ყოველთვის) [11, გვ. 55].

საკაუიას მღვიმებია ნაპოვნი ლულოვანი ძვლის ნატები, რომელზედაც შერჩენილია წითელი საღებავით დატანილი ხაზების კვალი, რომელსაც, როგორც ჩანს, უნდა ჰქონოდა ორნამენტისა და სახვითი ხასიათი (ტაბ. III₂₀) [18, გვ. 478; 12, გვ. 43]. მართალია, აღნიშნული ფრაგმენტი ნაკლებად მეტყველია, მაგრამ საყურადღებოა, ვინაიდან ადგილი აქვს საღებავით შესრულებული გამოსახულების მიკვლევის ფაქტს. აღსანიშნავია ისიც, რომ საკაუიას მღვიმის ზედაპალეოლითურ ფენაში აღმოჩნდა სხვადასხვა მინერალური საღებავების ნიმუშები [11, გვ. 60]. მინერალური საღებავები აღმოჩენილია აგრეთვე საქართველოს ბეგრ პალეოლითურ ძეგლზე.

საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებში ნაპოვნია სხვადასხვა სახის საკიდები: ძვლის, ქვის, ტალკის, გახვრეტილი ან ირგვლივშემოჭრილი ცხოველის კბილები. საკიდები, შესაძლოა, სამკაულად გამოიყენებოდნენ, რაც მათ ესთეტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებდა, ან ავგაროზებად იხმარებოდნენ, ე.ი. ჰქონდათ მაგიური, საკულტო დანიშნულება. პალეოლითური ადამიანები საკიდებს ან სხეულზე იკიდებდნენ, ან ტანისამოსს ამკობდნენ მათი საშუალებით. დევისხვრელში ნაპოვნია ირმის კბილი, რომელსაც ფესვი გარშემო აქვს შემოჭრილი რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი ჩამოკიდება ან ტანისაცმელზე დამაგრება [10, გვ. 82]. ცნობილია ირმის გახვრეტილი კბილები, აგრეთვე მტაცებლის გახვრეტილი ეშვები და ქვის საკიდები სხვადასხვა ზედაპალეოლითური ხანის მღვიმური სადგომებიდან: საკაუია, გვარჯილას კლდე (III_{9,11}), აფიანჩა, ოქუმი, საწურბლია [19 გვ. 16] (ტაბ. III₁₋₈) და სხვ.

გვარჯილას კლდეშია ნაპოვნი ძვლის ნატები, ნაჭდევებით ორნამენტირებული (ტაბ. III₂₋₁₃).

საგვარჯილეს მღვიმებში აღმოჩენილია ხმელთაშუა ზღვის აუზის მესამეული პერიოდის ლოკოკინების – *Turritella*-ს 19 ცალი გახვრეტილი ნიჟარა, ძვლის და წერტილოვანი ორნამენტით შემკული ტალკის საკიდები (ტაბ. III₁₄₋₁₉). მათ ნ.

ბერძენიშვილი (კილაძე) ზედაპალეოლითული ადამიანის სამკაულად მიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ ასეთ სამკაულებს პირველყოფილი ადამიანი ალბათ მაგიურ მნიშვნელობასაც ანიჭებდა [1, გვ. 48; 7, გვ. 567]. საგვარჯილეს მსგავსი *Turritella*-ს ნიუარები ცნობილია უნგრეთიდან, სადაც სცობის პალეოლითური ხანის ღია სადგომის კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ნიუარების გროვა. როგორც მიჩნევენ, ისინი სამკაულებად უნდა ყოფილიყვნენ გამოყენებული [32, გვ. 5-11].

მსგავსი გახვრეტილი ნიუარები აღმოჩნილია იტალიაში, მენტონთან ახლოს ორინიაკის დროის სამარხში, სადაც ზედაპალეოლითულს სამოსი უნდა ჰქონდა მორთული ზღვის ლოკინებით [21, გვ. 159].

მსგავსი პერიოდის ლოკოკინას ნიუარები, გულსაკიდად გამოყენებული, მოპოვებულია ავსტრიის, გერმანიის ზედაპალეოლითური ხანის ძეგლებიდან, მორავიაში – დოლნი ვესტონიცეში [15, გვ. 421-422].

ნიუარები ცნობილია აგრეთვე მთელი რიგი ძველი ქვის ხანის ძეგლებიდან: კოსტენკი, ბორშევო, სუნგირი, მეზინი, ამროსიევკა, სურნი, მოლოდოვა, ლისიჩინკი [12, გვ. 72].

სხვადასხვა ტიპის საკიდები გვხვდება პალეოლითურ ძეგლებზე: კოსტენკიში, ალექსანდროვკაში, ანოსოვკაში, ტიმონოვკაში, მეზინში, პუშკარიაში, ტელმანოვკაში, ვერხოლენბიში, აფონტოვის მთაზე, გაგარინოში, ავდეევში, მალტაში [12, გვ. 65].

საგვარჯილეში მიკვლეული საკიდები წერტილოვანი ორნამენტით, თავისი ფორმით, ორნამენტის შემკულობით, მოგვაგონებს მალტაში ზედაპალეოლითურ ძეგლზე მოპოვებულ საკიდებს (ტაბ. III₂₁) [28, გვ. 177].

საგვარჯილეში აღმოჩნილია აგრეთვე ძვლისაგან გამოთლილი თევზის გამოსახულების მსგავსი სადგისი, რომელიც გახვრეტილია და, შესაძლოა, საკიდად იყო გამოყენებული (ტაბ. III₂₄) [1, გვ. 48-49; 7, გვ. 567].

საგვარჯილედანაა ძვლის „ქინძისთავი“ ორნამენტით და ძვლის ორნამენტიანი გულსაკიდი (ტაბ III_{23,25}) [2, გვ. 157].

როგორც მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილი, საგვარჯილეში აღმოჩნილი ამ რიგის ნივთები საქართველოს ზედა პალეოლითის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენს [1, გვ. 49; 2, გვ. 157]. მათ, როგორც ზედაპალეოლითური ხელოვნების ნიმუშებმა, XX ს-ის 50-იანი წლებიდან ასახვა ჰქონებს სამეცნიერო ლიტერატურაში [1; 2; 5; 7; 12; 20; 27], ხოლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში ძველი ქვის ხანის კულტურის ნიმუშების გვერდით მათ სათანადო ადგილი აქვთ დათმობილი.

აღნიშნული ნივთების, როგორც პალეოლითური ხელოვნების ნიმუშების შეფასებისას ამ ბოლო ხანებში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება. როგორც მიუთითებს ლ. ნებიერიძე, საგვარჯილეს მღვიმის II კულტურული ფენის სტრატიგრაფიული მონაცემებისა და მასალის შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ აქ ნაპოვნი, მანამდე პალეოლითურად მიჩნეული სამკაულები და საკიდა-ამულეტები აღმოჩნილი იყო ენეოლითურ ფენაში ენეოლითურ არტეფაქტებთან ერთად და გვიანენეოლითური კომპლექსის შემადგენელი ნაწილია [9, გვ. 8].

კიდევ ერთი საინტერესო მონაპოვარია ცნობილი ხუპინიკშახვას მღვიმედან (ცივი მღვიმე), სოფ. წებელდასთან ახლოს. იგი წარმოადგენს მღვიმის დათვის წინამსარის ძვალს, კარგადაა გახეხილ-გაპრიალებული, აქვს მრგვალი ნახვრეტი და გრავირებული ორნამენტითაა შემკული (ტაბ. III₂₆) [25, გვ. 19].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2000 წელს მუძაბას მღვიმის (ჭიათურის რ.) ზედაპალეოლითურ ფენაში აღმოჩნდა ძვლის ორი ცალი ორნამენტირებული ფირფიტა, რომელთაგან ერთს ნახვრეტი აქვს და საკიდი უნდა ყოფილიყო. აქვეა აღმოჩნილი აგრეთვე სხვა საკიდებიც: ერთი მათგანი ქვისაა, საწურბლიას მღვიმის ქვის საკიდის მსგავსი, ხოლო მეორე – ცხენის გახვრეტილი კბილისაა [8, გვ. 4].

ამგვარია ის მწირი მონაცემები პალეოლითური ხელოვნების ნიმუშების შესახებ, რითაც შეიძლება წარმოადგენა შეგვექმნას საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპალეოლითურ ეპოქაში დეკორატიული „ხელოვნების“ ჩანასახების არსებობის შესახებ, აგრეთვე პირველყოფილ ადამიანთა სულიერ სამყაროზე, მათ პრიმიტიულ, მაგიურ აზროვნებაზე.

M. Nioradze, G. Nioradze

SPECIMENS OF PALAEOLITHIC ART FROM CAVE STATIONS OF WESTERN GEORGIA

Summary

Specimens of Palaeolithic art can be divided into two major groups: I. cave and rock paintings and engravings; II. minor artefacts made of stone, bone and antler.

The present study has covered two aspects of Palaeolithic art – artistic-aesthetic and religious-magic. Monuments of artistic activities of the Upper Palaeolithic man reflect also a third aspect, that is precise notion of the primitive man of the real world, positive knowledge about nature, rudiments of natural science and mathematics.

Specimens of Palaeolithic art are used as a historical source clarifying some characteristics of everyday life and culture of the primitive man.

Three clearly distinguished major territorial variations are identifiable in the Palaeolithic art according to the generally accepted fact of existence of three great local cultures in the Upper Palaeolithic period, viz. 1. East European; 2. Siberian; 3. Black Sea Littoral (Caucasia, the Crimea).

Discovery of specimens of Palaeolithic art in Caucasia is an extremely rare phenomenon. They are found only on the Early Palaeolithic sites of Western Georgia.

Consequently, the traces of rock engravings of linear-geometric style from the grotto of Mghvimevi acquire special significance.

A fragment of "leader's rod", made of bone, was found in the cave of Gvarjilas Klde. Seven engraved representations, carved deeply enough and resembling arrows or double-headed spears, are placed on both well polished sides of the article. The above representation may have had symbolic meaning and the rod itself may be considered a specimen of Palaeolithic art.

Tools made of bone (awls and javelins), as well as fragments of bones with incisions and notches from the Late Palaeolithic sites of Georgia (Taro Klde, Uvarov's Cave, Sagvarjile, Sakazhia, Ortvala, Apiancha, Gvarjilas Klde, Mghvimevi, Okumi, etc.) are worth noting.

Such incisions and notches attached to bone articles found in different areas are generally regarded by scholars as ornament and counting symbols of the primitive men, or as a device for recording lunar cycles and way of communication of their thoughts.

A fragment of a tubular bone revealing traces of painting - apparently, a sort of decoration, was discovered in the cave of Sakazhia.

Various pendants (manufactured of stone, bone, perforated animal teeth or teeth with deep cuttings around roots for hanging them as pendants) are brought to light on the Late Palaeolithic sites of Georgia (Devishkhveli, Sakazhia, Apiancha, Okumi, Sagvarjile, Satsurblia, Gvarjilas Klde, Dzudzuana, etc.). These pendants served as adornments, carried aesthetic meaning or were used as amulets and as magic, cult items.

A bone awl, representing a figurine of a fish, was found in Sagvarjile cave, along with various pendants made of talc and decorated with dot ornament, decorated pendants, a "pin" and 19 perforated shells of *Turritella duplicata* L. According to N. Berdzenishvili (Kiladze), they

were used for decoration of the Early Palaeolithic man.

One more interesting artefact comes from the cave of Khupinipshakhva (Cold Grotto) in the vicinity of Tsebelda. The object is made of a polished forearm of the cave bear, has a hole and engraved ornament.

Two ornamented bone plaques, one of which has a hole and most likely served as a pendant, were found in the Late Palaeolithic layer of the cave of Dzudzuana.

Thus, mainly single finds of simple specimens of Palaeolithic art in Georgia, reflect rudiments of the "art" of decoration, spiritual life of the primitive man with his primitive magic thought patterns in the period of the Late Palaeolithic in Georgia.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ. ზედა პალეოლითი. – საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 35-53.
2. ბერძენიშვილი ნ., ნიორაძე მ. ზედა პალეოლითი. – საქართველოს არქეოლოგია, I, ქვის ხანა, თბ., 1991, გვ. 130-195.
3. გაბუნია მ., ვეკუა ა. პატარა ხრამის პეტროგლიფები. თბ., 1980.
4. თუშეაბრამიშვილი დ. გვარჯილას ქლდის პალეოლითური ნაშთები. თბ., 1960.
5. კალანდაძე ა. გვიანი (ზედა) პალეოლითი. – სინ, I, თბ., 1970, გვ. 95-118.
6. კიკიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
7. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“. – სმაბ, ტ. XIV, № 9, თბ., 1953, გვ. 561-567.
8. მეშვეობიანი თ. ძუძუანას მღვიმეში 2000 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ღოკუმენტური ანგარიში. თბ., 2001, გვ. 1-4 (ხელნაწერი, ინახება საქართველოს არქეოლოგიური კომისიის ფონდში).
9. ნებიერიძე ლ. მღვიმე საგვარჯილის სამკაულებისა და ამულეტების დათარიღებისათვის. – ძეგბანი, № 6, 2000, გვ. 5-12.
10. ნიორაძე გ. პალეოლითის ადამიანი დევისხვრელში. თბ., 1933.
11. ნიორაძე გ. ქვის ხანის ადამიანი საკაუზიას გამოქვაბულში. თბ., 1953.
12. აბრამოვა ზ. ა. Палеолитическое искусство на территории СССР. – САИ А4-3. Москва-Ленинград, 1962, с. 5-77.
13. აბრამოვა ზ. ა. ლასკო – памятник палеолитического наскального искусства. –

Первобытное искусство, Новосибирск, 1971, с. 53–80.

14. Бадер О. Н. Каповая пещера. Москва, 1965.

15. Елинек Ян. Символы в наскальном искусстве. – Большой иллюстрированный атлас первобытного человека. Прага, 1983, с. 413–456.

16. Замятнин С. Н. Пещерные навесы Мгвимеви, близ Чиатуры (Грузия). (Первые следы наскальной палеолитической графики в Закавказье). – СА, III, 1937, с. 57–76.

17. Замятнин С. Н. О возникновении локальных различий в культуре палеолитического периода. – Труды Института этнографии, новая серия, т. XVI, Происхождение человека и древнее расселение человечества, Москва, 1951, с. 89–152.

18. Замятнин С. Н. Палеолит Западного Закавказья, I. Палеолитические пещеры Имеретии. – Сборник Музея антропологии и этнографии, XVII, М.-Л., 1957, с. 432–499.

19. Каландадзе К. С. Археологические памятники Цхалтубского края. – ПАИ, 1987 (1995), с. 15–19.

20. Лордкипанидзе О. Д. Наследие древней Грузии. Тб., 1989.

21. Монгайт А. А. Археология Западной Европы. Каменный век. Москва, 1973.

22. Окладников А. П. Утро искусства. Ленинград, 1967.

23. Рогинский Я. Я. Изучение палеолитического искусства и антропология. – Вопросы антропологии, вып. 21, 1965, с. 151–157.

24. Соловьев Л. Н. Надписи и изображения грота Агца у села Анухва Абхазская. – Палеолит и неолит СССР, т. IV (МИА, № 79), Ленинград, 1960, с. 164–175.

25. Соловьев Л. Н. Об итогах археологических раскопок в гроте Хупынишахва в 1960 г. – ТАИЯЛИ, т. 32, 1961, с. 191.

26. Столляр А. Д. "Натуральное творчество" неандертальцев как основа генезиса искусства. – Первобытное искусство, Новосибирск, 1971, с. 118–164.

27. Урущадзе Н. Е. Изобразительная символика палеолита Грузии. Тб., 1989.

28. Фролов Б. А. Числа в графике палеолита. Новосибирск, 1974.

29. Absolon K. Dokumente und Beweise der Fähigkeiten des fossilen Menschen zu zählen in mährischen Paläolithikum. – Artibus Asiae, v. 20, № 2V3, Ascona, 1957, S. 123–150.

30. Altuna J, Appelaniz J. U. Ekain. Les fuguras Rupestres de la cueva Ekain (Deva). San Sebastian, 1978.

31. Boucher de Perthes. Antiquités celtiques et antédiluviennes, v. II Paris, 1857.

32. Gabori M. Paläolithische Schnecken von Szob. – Acta Archaeologica, Academia scientiarum Hungaricae, XXI, 1-2, 1969, S. 5-11.

33. Lartet E. Nouvelles recherches sur la coexistence de l'Homme et des grands mammifères fossiles. – ASN, 4-e ser., Zoologie, t. XV, Paris, 1861, p. 177–253.

34. Marshack A. Lunar Notation on Upper Palaeolithic Remains. – Science, v. 146, № 3645, New York, 1964, p. 743–745.

35. Mortillet G. et A. de. Musée préhistorique. Paris, 1881.

36. Verworn M. Die Anfänge des Zahlens. – Korrespondenz-Blatt der Deutschen Gesellschaft für Anthropologie, Ethnologie und Urgeschichte, T. XLII, № 7, München, 1911, S. 53–55.

37. Verworn M. Die Anfänge der Kunst. Jena, 1920.

ტაბულების აღწერილობა.

ტაბ. I – 1. მღვიმევი, ნაკაწრები ეხის პედ-ლებზე (ს. ზამიატნინის მიხედვით [16]); 2. „მე-თაურის პერტნის“ ფრაგმენტი გვარჯილას კლდის მღვიმედან; 3. ლიასკო (საფრანგეთი) ცხენებისა და ბიზონის ფიგურები ისრებისა და ვშუბების გამოსახულებებით (ზ. აბრამოვას მი-ხედვით [13]); 4-5. ქვები (კაჭრები) კოლომბი-ერის (საფრანგეთი) მღვიმედან ცხოველებისა და ისრისებური სიმბოლოების გამოსახულებებით (ი. ელინეკის მიხედვით [15]); 6. ორთვალა (თერჯოლის რ.) ძვლის იარაღი ნაჭდევებითა და ამონაჭრებით; 7. კოსტენკიბ ძვლის საპრიაჭე-ბელიბ ნაჭდევებითა და ამონაჭრებით (ბ. ფრო-ლოვის მიხედვით [28]).

ტაბ. II – 1. თარო ქლდე, შუბისპირის ფრაგმენტი ოთხი პარალელური განივი ამონაჭ-რებით (ს. ზამიატნინის მიხედვით [18]); 2. „უვა-როვის მღვიმე“, შუბისპირი სამი პარალელური ირიბი ნაჭდევით; ძვლის იარაღები ნაკაწრებით, ნაჭდევებითა და ამონაჭრებით: 3-5. საგვარჯი-ლებან; 6. საწურბლიადან; 7-8. გვარჯილას კლდიდან; 9-11. მღვიმეები; 12-17. საკაუიადან; 18-19, 22. ძვლები ბრასამბუიდან ნაჭდევებით (გ. დე მორტილეს მიხედვით [35]); 20. სადგისი ეგლიზიდან (გ. დე მორტილეს მიხედვით [35]); 21. ძვალი ლა მადლენიდან (გ. დე მორტილეს მიხედვით [35]); 23-25. ძვლები ბრიუნიკელიდან (გ. ფერვორნის მიხედვით [36]); 26. ძვალი ლა გრეზიდან (გ. ფერვორნის მიხედვით [36]).

ტაბ. III – სხვადასხვა საკიდები საქართვე-ლოს ზედაპალეოლიტური მღვიმური სადგომე-ბიდან: 1-8. საწურბლიადან; 9-11. გვარჯილას კლდედან; 12-13. ნაჭდევებიანი ძვლის ნატეხები

გვარჯილას ქლდედან; 14, 17-19. გულსაკიდები საგვარჯილედან; 15-16. გახვრეტილი ნიჟარები საგვარჯილედან; 20. ძვლის ნატეხი მოხატულობით საკაუიადან; 21. ყელსაბამი 7 საკიდით მალტადან (ბ. ფროლოვის მიხედვით [28]); „სათვლელი ჯოხი“ ღოლნი ვესტონიციდან (ბ. ფროლოვის მიხედვით [28]); 23, 25. ძვლის „ქინძისთავი“ და გულსაკიდი ორნამენტით საგვარჯილედან; 24. საღვისი თევზის გამოსახულებით საგვარჯილედან; 26. ძვლის ნივთი ნახვრეტითა და ორნამენტით ხუპინიშახვას მღვიმედან (ცივი მღვიმე), (ლ. სოლოვიოვის მიხედვით [25]).


Description of the Plates

Pl. I - 1. Mghvimevi, outlines on a rock surface (according to S. Zamyatnin [16]; 2. Fragment of a “leader’s rod” from the cave of Gvarjilas Klde; 3. Lascaux (France), frieze with representations of horses, a bison, arrows and spears (after Z. Abramova [13]); 4-5. Boulders decorated with representations of animals and arrow-shaped symbols from Colombière cave, France (after J. Elinek [15]); 6. Ortvala (Terjola district). Bone tool with incisions and notches; 7. Kostenki. Polishing tool with incisions and notches (after B. Frolov [28]).


Pl. II - 1. Taro Klde. Fragment of a javelin with 4 parallel transverse incisions (after S. Zamyatnin [18]); 2. Uvarov’s Cave. Javelin with 3 parallel oblique incisions; Bone tools with incisions and notches: 3-5. from Sagvarjile; 6. from Satsurblia; 7-8. from Gvarjilas Klde; 9-11. from Mghvimevi; 12-17. from Sakazhia; 18-19, 22. bones with incisions from Brassemouy (according to G. Mortillet [35]); 20. awl from L’Eglise (according to G. Mortillet [35]); 21. bone from La Madeleine (according to G. Mortiglier [35]); 23-25. bones from Bruniquel (according to M. Verworn [36]); 26. bone from La-Grées (according to M. Verworn [36]).

Pl. III. – Various pendants from the Late Palaeolithic cave sites of Georgia: 1-8 from Satsurblia; 9-11. from Gvarjilas Klde; 12-13. fragments of bones with incisions from Gvarjilas Klde; 14, 17-19. pendants from Sagvarjile; 15-16. shells with hole from Sagvarjile; 20. fragment of bone with outlines from Sakazhia; 21. necklace with 7 pendants from Malta (according to B. Frolov [28]); 22. Dolni Vestonitsy, “counting stick” (according to B. Frolov [28]); 23, 25. “pin” and decorated pendant from Sagvarjile; 24. “fish”-awl from Sagvarjile; 26. decorated bone object with a hole from Khupinipshakhva (according to L. Solovyev [25]).



Φαδ. 1



Φαδ. II



გაბ. III



გიორგი მინდიაშვილი

„მტბპარ-არაქსული“ მესაქონლეობის ხასიათისა და მემკვერგის ამ დარგის ძლიასთარომოქმედი გუნების გამო

პალეოეკონომიკის შესწავლის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარების ცალკეული ეტაპების სწორად შეფასებისა და ახსნის საქმეში დღეს სადაც არ არის. ასევე დადგენილია ისიც, რომ სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში მეურნეობის სხვადასხვა ტიპი ყალიბდებოდა მისთვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებებით, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების მსვლელობაზე. სწორედ ამ უკანასკნელის გამო მკვლევართა შორის ჯერ კიდევ არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ მწარმოებლური მეურნეობის რომელმა დარგმა შეასრულა გადამწყვეტი როლი კლასობრივ ურთიერთობათა ჩასახვა-ჩამოყალიბების პროცესში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საჭიროა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გეოგრაფიული ფაქტორისა და მისგან გამოწვეული თავისებურებების გათვალისწინებით შეფასდეს როგორც მეურნეობის ცალკეული დარგების მნიშვნელობა, ისე მთლიანად ეკონომიკის განვითარების დონე და მისი ის მხარეები, რომელთაც შეძლოთ განსაკუთრებული გავლენა მოეხდინათ საზოგადოების განვითარების მსვლელობაზე.

იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ ის პროცესები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ძვ.წ. IV-III ათასწლეულის სამხრეთ კავკასიაში, რა-საც შედეგად მოჰყვა ჩვენში ყორლანებში დაკრძალვის წესის დამკვიდრება, საჭიროა სწორად იქნეს შეფასებული ამ პერიოდის ეკონომიკა.

რამდენადაც ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში მტკვარ-არაქსის არქეოლოგიურ კულტურაში მომზღვარ მკეთრ ცვლილებებს, მათ შორის ადრეული ყორლანების ჩვენში დამკვიდრებას, მკვლევართა ერთი ნაწილი მეურნეობის ისეთ დარგთან აკავშირებს, როგორიცაა მესაქონლეობა და განსაკუთრებით კი საიალალ მეცხვარეობა [22, გვ. 40; 23, გვ. 10; 3, გვ. 236; 9, გვ. 93; 2, გვ. 56; 16, გვ. 49], ჩვენც შევეცდებით შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ ამ დარგის პოტენციალი იმ ობიექტური მონაცემების მიხედვით, რომლებიც ძვლოვანი მასალის სახით მოვეპოვება, როგორც თვით ადრეულ ყორლანებში, ისე უშუალოდ მის წინამორბედ მტკვარ-არაქსის კულტურაში.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალა საკმაოდ მცირეა და მხოლოდ ამ დარგის განვითარების ზოგადი მიმართულების სავარაუდო განსაზღვრის საშუალებას იძლევა. საქართველოში ამ პერიოდის მასალა დღეისათვის შესწავლილია ხიზანანთგორიდან, ქვაცხელადან, ნაწილობრივ გუდაბერტყადან, ამირანის გორიდან, ილტოდან და სამგორის ყორლანიდან – ა.

ციციშვილის მიერ. სომხეთში ანალოგიური სამუშაო ჩატარებულია ს. მეულუმიანის მიერ, მასვე ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მონაცემების კავკასიის მასშტაბით სისტემატიზების ცდაც.

რამდენადაც ამჯერად ჩვენს ძირითად მიზანს მესაქონლეობის ხასიათის, ჩვენში ამ დარგის შესაძლებლობების გარკვევა და ეკონომიკაში მისი ხედრითი წილის დადგენა შეადგენს, შევედებით მოპოვებული მასალაც შესაბამისად წარმოვადგინოთ. ამ შემთხვევაში კი პირველი იქნება მესაქონლეობის არსებობის დამადასტურებელი მონაცემები, შემდეგი – შინაურ ცხოველთა ძირითადი სახეობანი, ცალკეულ სახეობაში ჯიშები და ამ ჯიშებიდან გამომდინარე მეცხველეობის ხასიათი და ცალკეულ სახეობათა ხედრითი წილი მესაქონლეობაში.

როგორც ა. ციციშვილი აღნიშნავს, ძვლები აღნაგობისა და განაზომების მიხედვით, უბინოსის ხიზანთგორის და ქვაცხელების ძვლოვანი კოლექციებიდან შეიძლება ერთ მთლიან მასალად გაერთიანდეს. აღნიშნულ კოლექციებში ერთი და იგივე სახეობის ცხოველთა ძვლები ჩანს. ადრე და გვაინ ფენებში ცხვრისა და გარეულ ცხოველთა ძვლების შედარებით ნაკლები რიცხვი გვაფიქრებინებს, რომ ენეოლითური დროიდან უბინისის მიდამოებში შინაურ ცხოველთა მოშენებას მისდევდნენ და მონადირეობა მეორად საქმიანობას წარმოადგენდა [7, გვ. 174].

საინტერესოა აგრეთვე ქულბაქებზე მოპოვებული ძვლოვანი მასალა, რომლის განსაზღვრა-მაც გვიჩვენა, რომ აქ ძირითადად გვხვდება მსხვილფეხა საქონლის, შინაური ხარის ნაშთები, ხოლო წვრილფეხა საქონლი გაცილებით ნაკლებადაა წარმოდგენილი. ქულბაქებზე, გარდა ამისა, აღმოჩნდა შინაური ძალლის ორი ძვალიც: [9, გვ. 32].

სახოება	ძვლების რაოდენობა	%
მსხვ. საქონელი	55	80,89
წვრ. საქონელი	11	16,17
ძალლი	2	2,94

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის დროს რომ მესაქონლეობა დიდ აღმავლობას განიცდიდა, კარგად ჩანს ამირანის გორის მასალიდანაც. აქ თითქმის თანაბარი სულადობით არის წარმოდგენილი მსხვილფეხა (ხარი, ძროხა) და წვრილფეხა (ცხვარი, თხა) საქონელი. ძალლების რაოდენობა განათხარ ფენებში მოპოვებული ძვლე-

ბის მიხედვით კი უკვე ერთ ათეულს მაინც აღწევს [4, გვ. 85].

ოსტეოლოგიური მასალით, მესაქონლეობის განვითარება დასტურდება აგრეთვე სამხრეთ კავკასიის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლზე, როგორიც ნახიჩევანის ქიულთეფეა, სადაც, როგორც ამას გამთხრელი აღნიშნავს, საქონლის სულალობა ადრებრინჯაოს ხანაში საქმაოდ ძლიერ მატულობს და ისევე როგორც ენეოლითის ხანაში, დასაწყისში წამყვანი ადგილი მსხვილფეხა საქონელს უჭირავს. თუმცა თანდათან მატებას იწყებს წვრილფეხა საქონლის – თხისა და ცხვრის – რაოდენობა და ბოლოს მათი რიცხვი აჭარბებს კიდეც მსხვილფეხა საქონელს. ამ დროისათვის უკვე ივარაუდება, რომ მესაქონლეობა მიწათმოქმედებას უნდა გასწორებოდა თავისი მნიშვნელობით და მასთან ერთად მეურნეობის საფუძვლად ქცეულიყო [11, გვ. 216].

შინაურ ცხოველთა ძვლები აღმოჩნდა შიდა ქართლის ნამოსახლარ გუდაბერტყაზეც. ამ მასალის განმსაზღვრელის, ა. ციციშვილის აზრით, გუდაბერტყა-ციხიაგორას მასალა შემადგენლობით და მნიშვნელობით არანაკლებ მდიდრულია, ვიდრე ქვაცხელასი, თუმცა ქვაცხელე-

ბის კოლექცია რაოდენობით უფრო მეტია. ყურადღებას იქცევს სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით ამ მასალების ერთგვარობა. შემჩნეული არაა მნიშვნელოვანი განსხვავება აღნიშნული კოლექციების ჩორჩხების ნაწილებს შორისაც. საინტერესო გამოდგა ახმეტის რაიონში გათხრილ ილტოს ნამოსახლარზე მოპოვებული ძვლოვანი მასალა, სულ 650 ეგზემპლარი. ილტოს ამ ძვლოვანი კოლექციის თითქმის ნახევარს მსხვილფეხა საქონლის ძვლები (320 ეგზ.) შეადგენდა, თავისი რაოდენობით მეორე იყო ღორის ძვლოვანი ნაშთები (181 ეგზ.), შედარებით ნაკლები აღმოჩნდა წვრილფეხა რქოსანი ცხოველების ძვლები (41 – ცხვარი, 36 – თხა). აქვე აღმოჩნდა ირმის (63 ეგზ.), 2 ძაღლის ქვედა ყბის ძვლები და შინაური თუ გარეული ფრინველის ძვლები [27, გვ. 76].

ძალზე საინტერესო მონაცემებს ვხვდებით ზემოთ უკვე აღნიშნულ ს. მექლუმიანის მონოგრაფიაში, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე ენეოლითური, ბრინჯაოსა და რკინის ხანის პალეოფაუნის შესწავლისადმია მიძღვნილი. მის მიერ ერთ-ერთ ცხრილში მოტანილი ძვ.წ. III ათასწლეულის ძეგლების ოსტეოლოგიური მონაცემებიდან ვიგებთ [20, გვ. 166-167], რომ:

	მსხვ. რქ.	წვრ. რქ.	ცხენი	ღორი	ძაღლი	სულ
შენგავითში	720	1573	472	117	137	3119
მეწამორში	502	1104	310	107	34	2057
მოხრაბლურში	307	512	27	11	2	859
გარნიში	27	31	7	12	2	79
ტაგავორანისტში	17	14	11	3	-	45
კოსი-ჩოტერში	19	7	37	-	2	65

ამრიგად, მთებედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში მასალა ჯერ კიდევ ბოლომდე გაუთხრელი, ან დაზიანებული ძეგლებიდან მომდინარეობს, მაინც შეიძლება დაბევითებით ითქვას, რომ „მტკვარ-არაქსელის“ სამეურნეო საქმიანობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეჭირა. მართალია, ამ დროის ნამოსახლარებზე, ქვაცხელების მსგავსად, კვლავ ვხვდებით გარეულ ცხოველთა ძვლებს, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ ნადირობა, ისევე როგორც თევზის ჭერა, მესაქონლეობას ვედარ დაუპირისიორდებოდა მოსახლეობის ხორცითა და ტყავით მომარაგების საქმეში, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ პროდუქტზე, როგორიც რძე და მატყლია.

რა შეიძლება ითქვას სამხრეთ კავკასიაში მოსახლე „მტკვარ-არაქსელთა“ მესაქონლეობაში ამა თუ იმ სახეობის შინაურ ცხოველთა ხედრითი წონის შესახებ? როგორც ჩვენ ხელთ არსებული მასალა გვიჩვენებს, ამა თუ იმ სახეობის ცხოველთა რაოდენობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ძეგლის ხასიათი, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და ასაკი. ასე მაგალითად, დღეისათვის თითქმის ყველა არქეოლოგი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის აღრეული ეტაპისათვის უფრო და-

ბის კანალებით მსხვილფეხა საქონლის უპირატესობა (იგულისხმება რაოდენობრივი უპირატესობა) წვრილფეხა საქონელთან შედარებით, მაგრამ გამონაკლის ამ შემთხვევაშიც აქვს აღგილი: კიკეთის სამაროვანზე სამარხებში ჩატანებული საქონლის 96% ცხვარია [15, გვ. 95], თუმცა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავენ, ეს ამ ძეგლის ხასიათით, ანუ იმით არის გამოწვეული, რომ დაკრძალვის რიტუალში მსხვილფეხა საქონელი მისი მაღალი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენებოდა. ზოგადად კი, როგორც სამხრეთ კავკასიის „მტკვარ-არაქსულ“ ძეგლებზე მოპოვებული ძვლოვანი მასალა გვიჩვენებს, ამ კულტურის მატარებელ ტომთა მესაქონლეობა დამყარებული იყო შინაურ ცხოველთა ისეთ სახეობებზე, როგორიცაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან – ცხვარი და თხა; ნამოსახლართა ერთ ნაწილზე ვხვდებით ღორს, ხოლო მცირე რაოდენობით, რიგ ნამოსახლარებზე წარმოდგენილია აგრეთვე ცხენის ძვლები. რაღა თქმა უნდა, არასაკეტი დანიშნულებისაა, მაგრამ გვიქრობთ, მაინც მესაქონლეობის განვითარების დონეზე გარკვეულად

მიგვითოთებს ის ფაქტიც, რომ „მტკვარ-არაქ-სულ“ ნამოსახლარებზე სხვა შინაურ ცხოველთა ძვლების გვერდით მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ვხვდებით ძალის ძვლებსაც.

სამხრეთ კავკასიის მტკვარ-არაქსულ ძეგლებზე აღმოჩენილი მსხვილფეხა საქონლის ძვლოვანი ნაშთები სპეციალისტებს საშუალებას აძლევს გამოყონ ორი ტიპის ხარი - ბრაქიცეროსული და პრიმიგენიუსის ტიპისა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ ორი ტიპის საქონლის გავრცელების ტერიტორია თვალსაჩინოდაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული საქონლის ნაშთები, როგორც წესი, ბრაქიცეროსულ ტიპს *Bos Taurus Brachyceros* ეკუთვნის, [7, გვ. 203] უფრო სამხრეთით, სომხეთის ტერიტორიაზე კი - პრიმიგენიუსის ტიპია გავრცელებული [20, გვ. 161]. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რამდენადმე გვიან, შეა ბრინჯაოს ხანაში, პრიმიგენიუსის ტიპის ხარი თრიალეთის ყორდანშიც გვხვდება [12, გვ. 157-195].

ბრაქიცეროსული ტიპის საქონლი, რომელიც საქართველოს ძეგლებზე აღინიშნება, ხევსურულზე უფრო ტანადი ყოფილა, მაგრამ იგი, როგორც ამას ა. ციციშვილი აღინიშნავს, ზომაში ჩამოუკარდება საგარეჯილის *Bos Taurus*-ს (ნეოლითი), შვიცს და *Bos Taurus primigenius*-ს თრიალეთიდან (შუაბრინჯაოს ხანა) [7, გვ. 203].

რაც შეეხება პრიმიგენიუსის ტიპის საქონლს, რომელიც თავდაპირველად თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის თოფქარის № 1 ყორდანში იქნა დაფიქსირებული ბ. კუუტინის მიერ [18, გვ. 15], ხოლო შემდგომში სომხეთის ტერიტორიაზეც იქნა აღმოჩენილი კიროვაკანთან [12, გვ. 185], მოგვიანებით კი სომხეთის ნეოლითურ, ენეოლითურ, ადრე და შეა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე სევანის ტბის აუზში, კიროვაკანთან, არარატის ველსა და რიგ სხვა კუნძულებში მისმა დადასტურებამ, საფუძველი მისცა ს. მეულუმიანს გამოეტქვა მოსაზრება ამ ტიპის მსხვილფეხა საქონლის ჩრდილო-დასავლეთისაკენ ანუ საქართველოსაკენ სომხეთის მხრიდან გავრცელების თაობაზე [20, გვ. 161].

6. ბურჩაკ-აბარამოვიჩის აღწერის მიხედვით, თრიალეთის ყორდანებში აღმოჩენილი ამ ტიპის ცალკეული ძვლები იძდენად დიდი ზომისა, რომ ისინი ოდნავ თუ ჩამორჩებიან გარეული პირველფილი ხარის საშუალო ზომებს (*Bos primigenius* Boj) [12, გვ. 157].

მტკვარ-არაქსელთა მესაქონლეობის მეორე წამყვანი ცხოველი იყო შინაური ცხვარი - *Ovis aries* [7, გვ. 174]. მისი ძვლები, რომლებიც ანაზომების მიხედვით ზოგჯერ უმნიშვნელოდ განსხვავდებიან, ამ კულტურის თითქმის ყველა ძეგლზე გვხვდება. ამიტომ სრულიად მართებულია ა. ციციშვილის დასკვნა, რომ ურბნისის

მიდამოებში მესაქონლეობასთან ერთად მეცხვარეობასაც მისდევდნენ [7, გვ. 203].

როგორც თავის ქალის შესწავლით ირკვევა, ამ ჯიშის ცხვარი თანამედროვე იმერული ცხვრის ტიპი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ უფრო მძლავრი უკან გადაწეული რქების, მსხვილი მალების მქონე (ვერძები) და მაღალფეხიანი, რაც ამ ცხვრის პრიმიტიულობის მაჩვენებელია [7, გვ. 203].

ვ. ჯავახიშვილის ცნობით, როგორც ამას ა. ციციშვილი აღნიშნავს, საქართველოს თავდაპირველი ჯიში „კუდიანი“, ე.ი. იმერული ცხვარია, რომელიც ძევლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული [7, გვ. 171]. ამ ჯიშის ცხვარი თუმცა არაა შეჩვეული მაღალმთიანი და ფართო საძოვრული შენახვის პირობებს, მაგრამ, ხასიათდება რა ამტანობით, საოცრად ინარჩუნებს ყველგან გამრავლების უნარს, თითქმის ყოველოვის თითო მოგებაზე ტყუპსა და სამსაც კი იძლევა, ამასთან, ხშირად წელიწადში ორჯერ იგებს [6, გვ. 144].

როგორესაც მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელთა მესაქონლეობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ წვრილფეხა რქოსან პირუტყვში თხაც იგულისხმება. თუმცა, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად, შინაური ცხოველის ეს სახეობა რიცხვობრივი მაჩვენებლით არ არის წარმოდგენილი თვით სპეციალურ გამოკვლევებშიც.

ქვაცხელებისა და ხიზანანთ გორის ძვლოვანი მასალის ანალიზის საფუძველზე ა. ციციშვილი დაასკვნის, რომ ცხვრის პარალელურად ურბნისის მიდამოებში არანაკლები ყურადღება ეთმობა თხის მოშენებასაც [7, გვ. 203]. თითქმის ცხვრის თანაბრად ვხვდებით თხის ძვლებს ილტოს ნამოსახლარზეც [27, გვ. 76].

ა. ციციშვილის დაკვირვებით, ურბნისის მიდამოებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მეღორეობას [7, გვ. 203]. როგორც ჩანს, აქ მეცხოველეობის ამ დარგისათვის არ უნდა ყოფილიყო შესაფერისი პირობები. საკმაიროდ შესაბამის პირობებში, ნამოსახლარ „ილტოზე“, ღორის ძვლების საერთო რაოდენობა (181) ორჯერ და მეტად ჭარბობს იქვე აღმოჩენილი ცხვრისა და თხის ძვლების საერთო რაოდენობას [27, გვ. 76].

შინაური ცხოველების შემდეგი სახეობა, რომელიც „მტკვარ-არაქსულ“ ნამოსახლარებზე გვხვდება, ცხენია. მისი ძვლები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი და საკმაოდ ხშირად ღორის ძვლების რაოდენობასაც აღმატება. ასე მაგალითად, ქვაცხელაზე ცხენისაა - 15, ღორის კი - 4 [8]. დაახლოებით ასეთივე შეფარდებითა ისინი წარმოდგენილი სომხეთის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა შენგავითი, მეწამორი, მოხრაბლური, ტაგავორანისტი, ხოლო კოსი-ჩოტერში ღორის ძვლები საერთოდ არ აღმოჩენილა, მაშინ როდესაც ცხენის ძვლების საერთო რაოდენობა აქ შინაური ცხოველების

ქვლოვანი ნაშთების ნახევარზე მეტს შეადგენს [20, გვ. 166-167].

მტკვარ-არაქსული ნამოსახლარის ერთ ნაწილზე მცირე რაოდენობით ვხვდებით აგრეთვე ვირის (სახედრის) ძვლებსაც [8]. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თითქმის ყველა მტკვარ-არაქსულ ნამოსახლარზე ვხვდებით ძალლის ძვლებს, ზოგზე კი, მაგალითად ამირანის გორაზე, მათი სულადობრივი მაჩვენებელი 10-ს შეადგენს [4, გვ. 85]. რაღა თქმა უნდა, რომ არც ტრადიციულად თუ ეთნოგრაფიულად და არც აღმოჩენილი ძვლების რაოდენობისა და მათი სიმრთელის მიხედვით, ძალლი თვითონ არ წარმოადგენდა კვების პროდუქტს, მაგრამ მკვლევართა ერთ ნაწილს მათი სიმრავლე მეცხვარეობის როლის ზრდის არაპირდაპირ საბუთად მიაჩნია [4, გვ. 85].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, მტკვარ-არაქსულთა მესაქონლეობა მათი მეურნეობის საკმაოდ დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მას დღეისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საზოგადოების წიაღში მიმდინარე პროცესების შესწავლის საქმეში, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. ჩვენ დასაწყისშიც აღვნიშნეთ, რომ ძეგლებზე წარმოლენილ მასალაში არსებული განსხვავებები საგრძნობ კავშირს ამჟღავნებს ამ ძეგლების გეოგრაფიულ მდებარეობასთან. ამავე მიზეზის გამო განსხვავებული უნდა ყოფილიყო როგორც მესაქონლეობის ეკონომიკური მნიშვნელობა ცალკეული, ბუნებრივი პირობებით ერთმანეთისაგან განსხვავებული რაიონებისათვის, ისე მისი გავლენაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე.

რაღა თქმა უნდა, რომ მესაქონლეობის ხასიათიცა და მისი ეკონომიკური მნიშვნელობაც გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან დროთა განმავლობაში, ხოლო აქედან გამომდინარე კი, რამდენადაც მტკვარ-არაქსის კულტურა ათას წელზე მეტი წნის განმავლობაში არსებობდა, ამგვარი ცვლილებებიც საკმაოდ საგრძნობი იქნებოდა მის წიაღში [22, გვ. 40; 2].

როგორც უკვე აღინიშნა, მტკვარ-არაქსული მესაქონლეობის შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მოვლენების გარკვევაში, რომელთაც ადგილი პქონდა ამ კულტურის ფინანურ სტადიაზე, რაც ყველაზე მკვეთრად ადრეული ყორლანების ჩვენში გამოჩენით გამოიხატა. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ყორლანები, მათში წარმოლენილი მასალით, გარკვეულწილად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი მტკვარ-არაქსული მასალისაგან, იმის გამო, რომ ბოლო დროს სულ უფრო აშკარა ხდება ადრეული ყორლანებისა და მტკვარ-არაქსის კულტურის ფინანური ეტაპის ნამოსახლარი ფენების სინქრონულობა (ამირანის გორა, ქვაცხელები, ილტო, ბადაანის ცხრაკარა, ხაშურის რაიონის ნაცარგორა) [19, გვ. 62; 14, გვ. 266; 1, გვ. 95; 3, გვ. 117; 21, გვ. 30-31; 13,

გვ. 39-65], შესაძლებელი ხდება ვივარაუდოთ ადრეული ყორლანების შემქმნელთა და ფინალური ეტაპის მტკვარ-არაქსული კულტურის მატარებელთა მეურნეობის მემკვიდრეობითი კავშირი ან მსგავსება. ეს გარემოება საშუალებას იძლევა ერთმანეთს დაგუცავშიროთ ამ დროს მიძინარე სოციალური პროცესები და დიდი ხნის განმავლობაში აქ ჩამოყალიბებული მტკვარ-არაქსული მეურნეობა. ამან, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეგვიწყოს იმ პროცესების ახსნაში, რასაც შედეგად მოჰყავა, მანამდე სამხრეთ კავკასიისათვის უცხო, ყორღანებში დაკრძალვის წესის დამკვიდრება.

ფინალური ეტაპის მტკვარ-არაქსულთა ეკონომიკისა და კერძოდ, მესაქონლეობის ხასიათის შეცვლასთან დაკავშირებით ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, იმის გამო, რომ ადგილი აქვს მსხვილფეხა საქონელთან შედარებით წვრილფეხა საქონლის სულადობის მკვეთრ მატებას და საკარმიდამო მესაქონლეობიდან საიალაღო მეცხვარეობაზე გადასვლას, ადგილი უნდა ჰქონდა ნამოსახლარებიდან მთაში და მთისწინა რაიონებში ხალხის გადასახლების პროცესს [23].

აბრის მოსახლეობის მთაში გადასახლების ახსნის მეორე ვარიანტის მიხედვით, ეს მოვლენა, მართალია, კვლავ მეცხვარეობის საიალაღო ფორმის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამჯერად მეურნეობის ტიპის შეცვლა კლიმატის იმ კატასტროფული ცვლილებებით აიხსნება, რომელსაც სახორცო, ექსტენსიური მიწათმოქმედება ექცა მიზეზად [2, გვ. 56].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ორივე მოსაზრების მიხედვით მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე ცხვრის სულადობის მკვეთრი მატება ივარაუდება. საკითხის ამგვარად დაყენება თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების წინა ეტაპზე, როგორც ამას მასალაც გვიჩვენებს, მსხვილფეხა საქონელი წვრილფეხაზე მეტია, ხოლო მესაქონლეობა საკარმიდამო ხასიათს ატარებს. და მართლაც, თუ ქულბაქების ნამოსახლარის მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, სადაც მთელი ძვლოვანი მასალის 81 % მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე მოდის, ეს მოსაზრება შეიძლება ფაქტად ჩაითვალოს. თუმცა, ასეთი მკვეთრი სხვაობა სხვა ძეგლებზე არ დასტურდება და ამიტომ ერთი რომელიმე ძეგლის მიხედვით მესაქონლეობის ამა თუ იმ ფორმის ხვედრით წილზე დასკვნის გაეთვება მთელი კულტურისათვის არ იქნებოდა სწორი. მითუმეტეს გაუმართლებელია ამ საკითხზე სამარხეული მასალის მიხედვით მსჯელობა, რადგან, როგორც ცნობილია, სამარხებში მირითადად დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული, საგანგებოდ შერჩეული ინვენტარი გვხვდება.

ამიტომ, ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ დავადგინოთ მესაქონლეობის ხასიათი, ან წვრილ-

ფეხსა საქონლის მატების ფაქტი, საჭიროა ვიკოდეთ არამარტო ფინალური მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელ საქონლის ჯოგებში სახეობათა შეფარდება, არამედ ისიც, თუ როგორი იყო ეს შეფარდება ამ კულტურის ადრეულ და განვითარებულ საფეხურზე.

სამწუხაროდ, ეს მონაცემები არ არის გათვალისწინებული ზემოთ მოტანილ მოსაზრებებში. სამაგიეროდ ამ მოსაზრებათა დასასაბუთებლად მოტანილია ისეთი ფაქტი, როგორიცაა მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე ბარში მოსახლეობის შეთხელება, რაც შეიძლება სხვა არანაკლებ რეალური მიზეზითაც აიხსნას, ვიდრე მეცხვარეობის საიალალო ფორმაზე გადასვლაა.

მეცხვარეობის საიალალო ფორმაზე გადასვლასა და ფინალურ ეტაპზე „მტკვარ-არაქსელთა“ მთაში გადასახლების საწინააღმდეგოდ, ჩვენი აზრით, უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ მთისწინა და მთიანი რაიონები ამ კულტურის მატარებლებს გაცილებით ადრე აქვთ ათვისებული, ე.ი. მანამდე, ვიდრე ადგილი ექნებოდა, ზოგი მეცლევარის მიერ ნავარაუდება ცხვრის რაოდენობის მკვეთრ მატებას.

ასევე, ჯერჯერობით არ დასტურდება არც ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საიალალო მესაქონლეობაზე გადასვლა და ბარში მოსახლეობის შეთხელება კლიმატის კატასტროფულ შეცვლას უნდა გამოიწვია. რადგან, როგორც ალეოგოგრაფი ამტკიცებენ, ძვ.წ. VI ათასწლეულიდან დღემდე რაიმე მკვეთრი კლიმატური ცვლილების დამადასტურებელი საბუთი ჯერჯერობით არ გამოჩენილა [15, გვ. 10].

მტკვარ-არაქსელთა საიალალო მეცხვარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას მანცდამანც არც ჩვენში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა უჭერს მხარს. როგორც ირკვევა, ჩვენში საიალალო მესაქონლეობას არასდროს არ ჰქონია საყოველთაო ხასიათი, პირიქითაც – იგი კავკასიონის მთიანეთის მხოლოდ განსაზღვრულ ნაწილში იჩენს თავს და ისიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შემდეგ [28, გვ. 142-145].

მუშედავად იმისა, თუ რაზეა დამყარებული მტკვარ-არაქსელთა საიალალო მეცხვარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით დღემდე გამოთქმული მოსაზრები, მათ საბუთიანობაში მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი მოკლებული არიან ერთგვარ ბიოლოგიურ საბუთიანობასაც. ჩვენი აზრით, ამგვარი ვარაუდის გამოთქმისას აუცილებელი იყო გაეთვალისწინებინათ სამხრეთ კავკასიაში იმ დროისათვის გავრცელებული კუდიანი, ე.წ. იმერულ-ქართული ჯიშის ცხვრის ბიოლოგიური შესაძლებლობანი. როგორც ირკვევა, ამ ტიპის ცხვარი (*Ovis aries*) მიუხედავად შემგუებლობის კარგი უნარისა, ძირითადად საკარმილამო ხასიათის ცხოველია და მისთვის უჩვეულოა მაღალ-

მთიანი და ვრცელი საძოვრების პირობებში ყოფნა [16, გვ. 144].

ვცდილობდით რა გვეჩვენებინა საიალალო მეცხვარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა სუსტი მხარეები, ჩვენ თავისითავად დავიწყეთ იმის მტკიცება, რომ მესაქონლეობა, როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე, საკარმილო ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ქვევით შევეცდებით რამდენადმე განვავრცოთ ეს მოსაზრება.

მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალურ ეტაპზე ჩვენში საიალალო მესაქონლეობის ჩამოყალიბების მომხრენი ერთ-ერთ საბუთად წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (ცხვრის) სულადობის მკვეთრ ზოდას ასახელებენ, რის შედეგადაც მისმა რაოდენობამ მსხვილფეხა საქონლის რაოდენობას გადასვლა.

როგორც მკვლევართა ერთი ნაწილი შენიშნავს, ეკონომიკაში ამა თუ იმ სახის ცხოველთა ხვედრითი წონის გასარკვევად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახეობათა უბრალო რაოდენობრივი შედარება, რადგან, როგორც ცნობილია, პროდუქტიულობის მიხედვით ერთ სულ მსხვილფეხა საქონელზე ოთხი ცხვარი მოდის. ამიტომ, იმისათვის, რომ წვრილფეხა საქონლის ხვედრითი წილის უპირატესობა ვამტკიცოთ მსხვილფეხასთან შედარებით, საჭიროა, რომ ერთ მსხვილფეხა საქონელზე სულ ცოტა ხუთი წვრილფეხა (1:5) მაინც მოდიოდეს [17, გვ. 292]. თუმცა იმისათვის, რომ მესაქონლეობის საიალალო ხასიათის არსებობა ვამტკიცოთ, არც ეს არის საკმარისი, რადგან ძნელია მოიძებნოს ისეთი მეურნე, რომელიც ოცი, ან თუნდაც ოცდათი ცხვრის გულისათვის საიალალო მეცხვარეობას მიჰყოფდა ხელს. ეს მითუმეტეს ძნელი დასაჯერებელი ხდება მაშინ, როცა ცხვრის ამგვარი მინიმალური უპირატესობის დამადასტურებელი ფაქტებიც კი არ გაგვაჩნია. როგორც ზემოთ ვნახეთ, სომხეთისათვის ეს შეფარდება არ აღმატება 1:2,2 [20, გვ. 166-167], კიდევ უფრო მცირეა ეს განსხვავება ქვაცხელებისათვის [7, გვ. 203]. აქეე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქვაცხელების ძვლოვანი მასალის შესწავლისას ჩვენ ვერ მივაკვლიერთ იმ მასალას, რომელიც ცხვრის სულადობის მკვეთრი ზრდის ტენდენციას წარმოაჩნდა [8].

ქვაცხელები	C	B
<i>Ovis aries</i>	79	89
<i>Bos Taurus</i>	110	82

მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანის დალესტნის ზოგიერთი ძეგლი იძლევა ცხვრისა და მსხვილფეხა საქონლის მაღალ შეფარდებას და იქაც ეს შეფარდება მხოლოდ 1:4-ს აღწევს [20, გვ. 57, ცხრ. 15].

აქ მოტანილი მონაცემებით ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ მოსაზრება მტკვარ-არაქსელთა მესაქონლეობის საიალალო ფორმაზე გადასვლის თაობაზე არ შეესაბამება ფაქტებს, ანუ რეალურად არსებულ სიტუაციას. მაგრამ მესაქონლეობის საიალალო ფორმის უარყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ მტკვარ-არაქსელთა საკარმილამო მესაქონლეობის თავისებურებები. მითუმეტეს, რომ, როგორც ადრე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში საქონლის ჯოგების სახეობრივი შემადგენლობა სხვადასხვანაირი იქნებოდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შინაური ლორის გავრცელების ფაქტი. რადგან, როდესაც მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების ერთ ნაწილზე ღორის ძვლები თითქმის სულ არ გვხვდება [20, გვ. 57], ილტოს ნამოსახლარზე ამ ცხოველის ძვლების საერთო რაოდენობა საშუალებას იძლევა ღორისა და მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის თანაბარი ეკონომიკური მნიშვნელობა ვივარაუდოთ [27, გვ. 88].

სხვა შემთხვევაში, როგორც ქულბაქების მაგალითზე ვნახეთ, მსხვილფეხა საქონელზე მოდის მთელი ძვლოვანი მასალის 80% [9, გვ. 32].

სამწუხაოდ, დღეისათვის ჩვენ არ გაგვაჩნია იმდენი ოსტეოლოგიური მასალა, რომ ყოველ ცალკეულ ძეგლზე განცალკევებულად ვიმსჯელოთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასებულიც საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ მესაქონლეობაში მსხვილფეხა საქონლის წამყვან როლზე ვიღაპარაკოთ, რადგან ცხვრის რაოდენობრივი მატების გარკვეული ტენდენციის არსებობის მიუხედავად, მაშინაც კი, თუ ამ უკანასკნელის მაქსიმუმს ავიღებთ, იგი თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით მხოლოდ მსხვილფეხა საქონლის ხვედრითი წონის ტოლი შეიძლება იყოს და არა მასზე მეტი.

ამრიგად, თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელთა მესაქონლეობა საკარმილამო ხასიათისა უნდა ყოფილიყო და მასში წამყვანი ადგილი მსხვილფეხა საქონელს უნდა სჭროდა; თუმცა მისი ასეთი მნიშვნელობა, ბუნებრივი პირობების შესაბამისად, შესაძლოა ზოგ შემთხვევაში შეცვლილიყო კიდეც და მსხვილფეხა საქონელს წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ხვედრითი წონა გათანაბრდებოდა, ხოლო როგორც ილტოს ნამოსახლარის მაგალითზე ვნახეთ, ამგვარი შესაძლებლობა გარკვეულწილად მეღორეობასაც გააჩნდა.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, ჭირს იმის მტკიცება, თითქოს ყორლანების გამოჩენა მესაქონლეობის მკვეთრი აღმავლობით უნდა იყოს გამოწვეული, და არა მარტო ასეთ ვითარებაში, რადგან, მესაქონლეობის ნავარაუდევი მკვეთრი დაწინაურების შემთხვევაშიც კი, ამგვარი პირდაპირი კავშირის არსებობა ისეთ სოციალურ ძრვებთან, რომელთაც შეეძლოთ ჩვენში ყორ-

დანული დაკრძალვის წესის დამკვიდრება გამოეწვით, ნაკლებადაა მოსალოდნელი. თუმცა იმ მოსაზრებათაგან, რომლებიც მესაქონლეობის სოციოგენურ მნიშვნელობას ეხება, ზოგის მიხედვით სწორედ მეურნეობის ამ დარგს უნდა შეექმნა კლასებად დაყოფის მატერიალური საუძველი [25, გვ. 3].

ამ მოსაზრების მიხედვით, მესაქონლეობა, საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ საფეხურზე, უფრო მყარად, სტაბილურად აძლევდა საქონლის ჯოგების კერძო მფლობელებს ზემეტ პროდუქტს, ვიდრე პრიმიტიული მიწათმოქმედება, რის გამოც შესაძლებლად მიაჩინათ მეურნეობის განვითარებაში მისი საგანგებო სტადიად გამოყოფა, რომელთანაც ცდილობენ კანონზომიერად დააკავშირონ კლასების წარმოქმნა თვით ისეთ ზონებშიც კი, როგორიცაა „დიდ მდინარეთა ცივილიზაციები“ [24, გვ. 13].

ჩვენ, ზემოთ ჩატარებული კვლევის შედეგად, მითუმეტეს გვიჭირს გავიზიაროთ ეს მოსაზრება, რადგან მისი ერთ-ერთი ავტორის მიერ არგუმენტად მოტანილი ორი შემთხვევიდან, რომელიც მაიკობის კულტურასა და ნუბის ხორდაუდის სადგომს გულისხმობს, არც ერთი არშეიცავს მესაქონლეობის მაღალი დონის მაჩვენებელ ობიექტურ ნიშნებს. ასე, მაგალითად, ხორდაუდის სადგომზე ნაპოვნი იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნეგებისაგან დამზადებული საპრიალებელი, სირაქლემის კვერცხის ნაჭერები, ერთმანეთში არეული ქერის, რბილი და მაგარი ხორბლის მარცვლები, დუმპალმის ნაყოფი, ფინიკის კურკები და უნაბის ნაყოფი [25, გვ. 11-12].

როგორც ჩამოთვლიდან ჩანს, იგი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ აქ მესაქონლეობის განვითარებაზე ვილაპარაკოთ. ამიტომ ავტორის მიერ შემოთავაზებული ხორდაუდის სადგომის რეკონსტრუქცია, რომელიც გაკეთებულია ელობებიდის შუმერული ტაძრის მერძევეობის ფერმის გამოსახულების მიხედვით [24, გვ. 13], ჩვენი აზრით, მოკლებულია საფუძველი. ამგვარ ვითარებაში კი განსაკუთრებით უსაფუძვლოდ გამოიყურება ვარაუდი კლასობრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესში მესაქონლეობის პრიორიტეტული როლის შესახებ. გარდა ამისა, ბუნებრივი პირობების განსხვავებულობის გამო, შეუძლებელია დაცუშვათ, რომ მესაქონლეობას ერთნაირად მაღალი ხვედრითი წონა ექნებოდა დედამიწის სხვადასხვა ნაწილში. ამასთან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცალკე, საგანგებო დასაბუთებას მოითხოვს თეზისი წინაკლასობრივ საზოგადოებაში საქონლის ჯოგზე საკუთრების არსებობის შესახებაც.

და მაინც, მიუხედავად კლასორწარმოქმნის პროცესში მესაქონლეობის როლის განსაკუთრებულობის მატკიცებელი მოსაზრებისადმი ჩვენი სკეპტიკური დამოკიდებულებისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეურნეობის ეს დარგი, მიწათმოქმედებასთან ერთად, მთავარ როლს ასრუ-

ლებდა საზოგადოების ჯერ საარსებო მინიმუმით, ხოლო შეძლევ ზემდეტი პროდუქტით უზრუნველყოფის საქმეში, რასაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოება ქონებრივ დიფერენციაციასთან უნდა მიეყვნა.

რაც შეეხება მესაქონლეობის კავშირს მდიდრული „წინაკლასობრივი“ (უფრო სწორი იქნებოდა ადრეკლასობრივი გვეწოდებინა) სამარხების, კერძოდ ყორდანების გაძოჩნასთან, თუ ასეთ კავშირს დასაშვებად მივიჩნევთ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მესაქონლეობის მაღალპროდუქტიულობას კი არ უნდა მიეკუთვნოს, არამედ ამ დარგის მომთაბარულ ტიპს, რომლის წყალობითაც ის ტომები, რომლებიც ამგვარ მეურნეობას მისდევდნენ, მობილური და კარგად ორგანიზებული იყვნენ სამხედრო თვალსაზრისით. მათ შეეძლოთ ადვილად შეჭრილიყვნენ მტვიდლობიანი ბუნების მქონე მიწათმოქმედი ტომების ტერიტორიაზე და დაეჩქარებინათ იქ მიმდინარე სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის პროცესები, თუ რაღა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი იმ მომენტისათვის საწარმოო ძალა განვითარების სათანადოდ მაღალ დონეზე იქნებოდნენ. ამიტომ ამ შემთხვევაში, მთავარია არა მესაქონლეობის პროდუქტიულობა, არამედ ამ დარგის თავისებური, მომთაბარული ხასიათი, რომელსაც შეეძლო, როგორც საომარ ფაქტორს, კატალიზატორის როლი შეესრულებინა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაში. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული კონფლიქტების გამოწვევა, მომთაბარული მესაქონლეობის მქონეთა გარდა, მიწათმოქმედთა საზოგადოებაში მომხდარ დემოგრაფიულ „აფეთქებას“, ან მკვეთრი კლიმატური ცვლილებით განპირობებულ მათ გადასახლებასაც შეეძლო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. III ათასწლეულის შუა ხანებში, ადრეული ყორდანების გამოჩენაც სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის პროცესში მომხდარი ასეთი დაჩქარების შედეგიც შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც ჯერ კიდევ დაუდგენელი წარმოშობის ტომების არცთუ მშვიდობიან გადაადგილებასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული; ვფიქრობთ, სწორედ ამაზე მიგვანიშნებენ მტკვარ-არაქსულ ნამოსახლარებზე დადასტურებული გადამწვარი სამენებლო დონეები [25, გვ. 115].

G. Mindiashvili

ON THE CHARACTER OF LIVESTOCK-BREEDING IN THE "KURA-ARAXES" CULTURE AND THE CLASS-FORMING NATURE IN THIS BRANCH OF ECONOMY Summary

There is no consensus among scholars regarding the role of this or that branch of economy in the process of formation of class relations. Some believe that livestock-breeding must have played such a role and hence it should be identified as a special stage in the process of development of human economic activity.

Following this idea, some investigators of the Kura-Araxes culture are inclined to the view that the drastic changes in the 3rd millennium B.C. manifested clearly in the Southern Caucasus in the form of rich tumulus burials, occurred as a result of the growth of cattle population, i.e. the proportion of livestock-breeding in economy; the most popular hypothesis is that there was a transformation of home cattle-dreeding into distant sheep-breeding.

The article presents all the determinations of bone remains from various settlements of Kura-Araxes culture.

The analysis shows that in spite of a certain growth of the ratio of small sheep and goats in favour of the latter it did not exceed 1 to 4. This contradicts the hypothesis on transition from home livestock-breeding to distant sheep-breeding.

On the basis of this concrete example of livestock-breeding in the Kura-Araxes culture, the author questions the hypothesis on the special class-forming role of livestock-breeding in the global historical process, for owing to the diversity of natural conditions livestock-breeding is deprived of such possibility. In addition, the interpretation of the archaeological material of Hog-Daun (Northern Nubia) and the Maikopian culture as demonstrating a high developmental level of livestock-breeding is not quite well grounded.

However, without understanding the importance of livestock-breeding, it may be noted that this branch of economy – together with farming – led society both to property stratification and to class relations through a gradual increase of surplus products. As for the drastic leap in the development of social relations, which is ascribed to the high productivity of livestock-breeding, it would seem more correct to link changes to the mobility and good military organization of nomads or tribes engaged in distant sheep-breeding rather than to its high productivity. This facilitated

their penetration into territories of relatively peaceful farmers, thereby contributing as a military rather than an economic factor to an accelerated social differentiation of society.

However, it should be borne in mind that hostilities might be caused not only by the movements of the livestock-breeding tribes.

ლიტერატურა

1. გოგაძე ე. თრიალეთის ყორდანული კულტურის პერიოდზაცია და გენეზისი. თბ., 1976.
2. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედ კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
3. ორჯონიძე ა. სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბ., 1983.
4. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა. თბ., 1963.
5. ჩუბინიშვილი ტ. მტკვრისა და არაქსის ომდინარეთის უძველესი კულტურა. თბ., 1965.
6. ციციშვილი ა. შინაური ცხვრის ძვლოვანი ნაშთები სამგორისა და ღრმაღელის ბრინჯაოს დროის ყორდანული სამარხებიდან. – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები. ტ. II-III, 1959, გვ. 143-175.
7. ციციშვილი ა. უძველესი შინაური ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვალეულის ნაშთები ქვაცხელებიდან (ურბისი). – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები, ტ. LXVI, 1965, გვ. 191-203.
8. ციციშვილი ა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვაცხელების ფონდის საინვენტარო დავთრის მონაცემები ძვლოვან ნაშთებზე. განსაზღვრა გაკეთებულია ა. ციციშვილის მიერ. ხელნაწერი.
9. ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.
10. ჯაფარიძე თ. არქეოლოგიური გათხრები თბილისში. თბ., 1969.
11. აბიбулаев Օ. ა. Энеолит и бронза на территории Нахичеванской АССР. Баку, 1982.
12. ბურჭაკ-აბრაਮოვიჩ ნ. ი. Древний крупный рогатый скот Триалетского хребта в Цалкском районе. – Труды Естественно-исторического музея им. Г. Зардаби, вып. IX, Баку, 1954, с. 157-195.
13. დედაბიშვილი შ. შ. Памятники эпохи ранней и средней бронзы. – ТКАЭ, I. Тб., 1969, с. 35-75.
14. ჯავახიშვილი ა. ი. Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н.э. Тб., 1973.
15. ჯანელიძე Ч. П. К реконструкции природных условий эпохи существования раннеземледельческой культуры Восточной Грузии. – Человек и окружающая его среда, Тб., 1984, с. 7-11.
16. ჯაპარიძე Օ. მ. Эпоха ранней бронзы в Закавказье (III тыс. до н.э.). – Кавказ и Средиземноморье, Тб., 1980, с. 42-56.
17. კოთოვიჩ ვ. გ. К вопросу о древнем земледелии и скотоводстве в горном Дагестане. – Ученые записки Института истории, языка и литературы Дагестанского филиала АН СССР, т. IX, Махачкала, 1961, с. 86-98.
18. კუფტინ ბ. ა. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.
19. კუშნარევა კ. ხ., ჭუბინიშვილი თ. ნ. Древние культуры Южного Кавказа. Л., 1970.
20. მეჯლუმიან ს. კ. Палеофауна эпохи энеолита, бронзы и железа на территории Армении. Ереван, 1972.
21. მირცხულავა გ. ი., მირცხულავა ნ. დ. Археологическая экспедиция Иорского ущелья. – ПАИ, 1983 (1986), с. 30-31.
22. პიოტროვსკი ბ. ბ. Археология Закавказья. Л., 1949.
23. პიოტროვსკი ბ. ბ. Развитие скотоводства в древнейшем Закавказье. – СА, XIII, 1955, с. 5-15.
24. პიოტროვსკი ბ. ბ. Страницы древней истории Северной Нубии. – Древняя Нубия, М.-Л., 1964.
25. პიოტროვსკი ბ. ბ. Формы хозяйства способствующие образованию классов и становлению государства. – Тезисы докладов. Конференция "Возникновение раннеклассового общества", М., 1973, с. 3.
26. როსტუნოვ ვ. ლ. Куро-аракская культура на Центральном Кавказе (к вопросу об истоках и путях миграции). – Античность и варварский мир, Орджоникидзе, 1985, с. 3-42.
27. ციციშვილი ა. ლ. Костные остатки животных с поселения "Ильто". – Труды Кахетской археологической экспедиции, Тб., 1969, с. 76-88.
28. შამილაძე ვ. მ. Хозяйственно-культурные и социальные проблемы скотоводства Грузии (Историко-этнографическое исследование). Тб., 1979.

ალექსანდრე ორჯონიკიძე

მთბმარ-არაქსული ტრადიციები აღრმაღლი ყორლანების გაზრცელების ხაცაში

ცნობილია, რომ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უშარმაზარ არეალზე გავრცელებული მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა სხვადასხვა მხარეში სხვადასხვანაირად მოხდა. თავისებურად წარიმართა ამ კულტურის ბედი აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციაზე. მიზნევნ, რომ მის ჩაქრობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ძვ.წ. III ათასწ. მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში, კერძოდ კი – აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციაზე ახალი – ადრეული ყორდანების კულტურის გამოჩენამ და დამკიდრებამ [24, გვ. 135]. მართალია, ყორლანის ტიპის სამარხი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის არაა უცნობი [21, გვ. 120; 4, გვ. 93; 32, გვ. 309], ზოგი მის არსებობას უკვე ამ კულტურის ადრეული ეტაპიდანვე აღნიშნავს [27, გვ. 59], მაგრამ ის ძირითადად კოლექტიური სამარხია და ძირეულად განსხვავდება მომდევნო ხანის ყორლანისაგან როგორც დაკრძალვის წესით, ისე ინვენტარის ხასიათით [24, გვ. 135].

ახალი კულტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კაგბასიის ჩრდილოეთი მდებარეობებისათვის კარგად ცნობილი სამარხის ტიპი – ყორლანი, სწრაფად იკავებს ტრადიციული – მტკვარ-არაქსის კულტურის არეალის მთელ რიგ რაიონებს. განსაკუთრებით მყარად იკიდებს ის ფეხს იორ-ალაზნის ორმდინარეთში, შიდა და ქვემო ქართლის ვაკეზე, თრიალეთისა და ბედენის პლატფორზე. ამ კულტურის ძეგლებს ვწვდებით ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში [25, გვ. 95]. საფიქრებელია, საქართველოს მხრიდან ვრცელდება ის სომხეთის ტრადიციაზე [11]. უფრო სამხრეთით ეს კულტურა არ ჩანს [25, გვ. 95].

ადრეულ ყორლანებში ორ ჯგუფს გამოყოფენ: მარტყოფულს და ბედენურს, რომელთა შორის საერთოს ძირითადად დაკრძალვის ჩრდილოურ – ყორლანულ წესში ხედავნ, თორებ კულტურის ხასიათში საკმარ სხვაობას აღნიშნავენ. მარტყოფის ჯგუფის ყორლანები გამოირჩევა სიდიდით, მოზრდილი დასაკრძალვი ნაგებობით, რომელიც ხის მორებითაა აგებული. სამარხეული ინვენტარი დიდ მსგავსებას ავლენს მტკვარ-არაქსულ ნაწარმთან, რაც მკვლევარებს მათ გენეტიკურ კავშირზე აფიქრებინებს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კერამიკულ ნაწარმში. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი როგორც ფორმით, ისე ორნამენტით ბევრ საერთოს პოულობს წინარე კულტურის ნაწარმთან. მსგავსების მიუხედავად, მარტყოფის ჯგუფის თიხის ჭურჭლის ნაწილი და ლითონის ზოგიერთი ნივთი განირჩევა მტკვარ-არაქსულისაგან [25, გვ. 70].

მარტყოფულისაგან განსხვავებით ბედენური ჯგუფის ყორლანების უმტესობა ორმოიანია, რომელშიც ზოგჯერ დასაკრძალვი ხის ოთხადა ეტლია ჩადგმული. მარტყოფულთან

საგრძნობ სხვაობას ავლენს კერამიკაც. თიხის ჭურჭელი ზედმიწევნითაა დამუშავებული, მისი ზედაპირი ზოგჯერ მეტალის ბზინვარებამდევა მიყვანილი და შემკულია ფაქიზად ნაკაწრი გეომეტრიული სახის ორნამენტით, კოპების მტკრივით. ჩნდება ლითონის ახალი ფორმები და ტიპები, ტრადიციული დარიშხსანიანის გვერდით თავის იჩენს კალიანი ბრინჯაოს ნივთები და სხვ. [24, გვ. 287]. ჩამოთვლილ განსხვავებებთან ერთად სამარხეული ინვენტარი შეიცავს მტკვარ-არაქსის კულტურის დამახასიათებელ ელემენტებს, განსაკუთრებით თიხის ჭურჭლის ზოგიერთ ფორმასა და ორნამენტულ სახეში [3].

ადრეული ყორლანების ამ ორი ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულებისა და მათი მტკვარ-არაქსის კულტურასთან მიმართების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ მარტყოფული ჯგუფის ძეგლები ბედენურზე ადრეულია [4, გვ. 24; 24, გვ. 153; 34, გვ. 21]. ზოგიერთი მკვლევარი ადრეული ყორლანების ამ ჯგუფებს შორის განსხვავებულ თანმიმდევრობას არ გამორიცხავს, თვლის რა ბედენურ ძეგლებს მარტყოფულზე ადრეულად [38, გვ. 176; 30, გვ. 118]. ზოგს მარტყოფული ჯგუფის გაჩენა ბედენურის მტკვარ-არაქსულ კულტურაზე მძლავრი ზემოქმედების შედეგად მიაჩნია [5]. სხვა მოსაზრებით, მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის სინქრონულია მარტყოფულთან ერთად ბედენის ჯგუფის ძეგლები, ან სინქრონულობა ამ ჯგუფების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს შეეხება [3, გვ. 133; 25, გვ. 96; 9, გვ. 105; 8; 6, გვ. 76].

რა მოსდის მტკვარ-არაქსის კულტურას ადრეული ყორლანების გავრცელების ხანაში, ქრება იგი ახალი კულტურის გამოჩენის შედეგად, თუ მისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები კვლავაც განაგრძობს არსებობას, კონკრეტულად რა სახით ვლინდება ეს ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მატერიალურ კულტურაში, როგორ აისახა ის საცხოვრებლისა და სამარხის ტიპში, თიხის ჭურჭლის ფორმასა და ორნამენტში, ლითონისა და ქვის ნივთებში – ეს საკითხები ყოველთვის იწვევდა კავკასიის ბრინჯაოს ხანის მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს. იმ ეპოქალური ძვრების მიუხედავად, რაც ახალი კულტურის გამოჩენას მოჰყვა შედეგად, ვფიქრობთ, მტკვარ-არაქსული ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყოველი რეგიონის მატერიალურ კულტურაში შემორჩა. როგორც ჩანს, ეს ტრადიციები არაა ერთგაროვანი და ადრეული ყორლანების გავრცელების დროისათვის სხვადასხვა ლოკალური ვარიანტების ნიშნებს შეიცავს, ზოგჯერ რადგენადებ სახეშეცვლილს, ახალ კულტურასთან კონტაქტის გამო.

წინამორბედ კულტურასთან კავშირზე ამ ხანის სამარხებიც უნდა მიუთითებდეს. ყორლანს გარდა, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა უკავია დასაკრძალავ ნაგებობათა შორის, კვლავ გვხვდება წინარე ხანაში გავრცელებული ორმოსამარხი. იგი ცნობილია იღტოდან [26], ორხევიდან [14, გვ. 180], ახალციხის ამირანის გორიდან [17, გვ. 42].

მტკვარ-არაქსული ტრადიციები ჩანს საცხოვრებლის არქიტექტურასა და სამშენებლო საქმეშიც. იღტოს ნასახლარის ბაზურგადახურვიან ოთხკუთხა ნაგებობებს ზედა ნაწილები წნულთიხალესილი უნდა ჰქონდა [26, გვ. 42]. ხის კარკასზე ნაგები და თიხით შელესილი ბადანის ნასახლარის ოთხკუთხა შენობებიც [14, გვ. 177]. მის მახლობლად მდებარე მეორე ნასახლარზე – ორხევშიც, აღმოჩნდა კუთხეებმომრგვალებული შენობები შიდა მხარეს გამართული პლატფორმით, იატაკის ცენტრში მრგვალი, შევრილებიანი კერით და ცენტრალური ბოძის ორმოთი [31, გვ. 25]. ასეთივე უნდა ყოფილიყო ხაშურის ნაცარგორის შენობებიც [35, ვა. 25]. ამ ნიშნებით ეს ნაგებობები აგრძელებს შიდა ქართლში ადრევე ჩამოყალიბებულ ტრადიციას სამშენებლო საქმესა და არქიტექტურაში. ქვით ნაგები სწორკუთხა შენობები ჯავახეთიდან – სათხესა და დიგაშენი I ნასახლარიდან, ასევე ტრადიციულია სამხრეთ საქართველოს ამ მხარისათვის [13]. მართალია, ზოგიერთ ნასახლარზე ტრადიციული არქიტექტურიდან რამდენადმე გადახვევაც შეინიშნება, მაგრამ ამას სპორადული ხასიათი აქვს, არ ცვლის არქიტექტურასა და სამშენებლო საქმეში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს და საკუთრივ მტკვარ-არაქსის კულტურის შიგნით მიმდინარე პროცესებს უფრო უკავშირდება.

ადრეული პერიოდის არქიტექტურის ტრადიციებს ავლენს და მტკვარ-არაქსულ ნაგებობებს მოგვაცნებს საკუთრივ ბედენური კულტურის საკულტო ძეგლის ბერიკლდების სწორკუთხა, დერეფნიანი, კედელთან შემაღლების მქონე შენობებიც [20, გვ. 62]. ჩანს, რომ ათასწლოვანი პერიოდის განმავლობაში შემუშავებული მტკვარ-არაქსული ტრადიციები არქიტექტურაში ადრეყორდანული კულტურის დამკვიდრების დროსაც არ გამქრალა.

ეს ტრადიციები მეტალურგიაშიც შეინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ძერებია ლითონის იარაღთა ფორმებსა და ასორტიმენტში – აღარ ჩანს ზოგიერთი იარაღი და ჩნდება სრულიად ახალი ფორმები, კვლავც გრძელდება დარიშხანიდან სპილების გამოყენება, განსაკუთრებით – მარტყოფული ჯგუფის ყორდანთა ნაწარმში [25, გვ. 123]. ადრებრინჯაოს ხანის ლითონის იარაღთა ტიპოლოგია უჩვენებს არაერთ თანხვედრას მტკვარ-არაქსისა და ადრეყორდანულ კულტურათა იარაღს შორის [7]. აქვე უნდა ითქვას, რომ მარტყოფულ ყორდანთა ლითონის ნივთები ტიპოლოგიურად ნაკლებად უკავშირდება მტკვარ-არაქ-

სულ ფორმებს. საინტერესოა, რომ მტკვარ-არაქსულ ნაწარმთან ტიპოლოგიურად და ასორტიმენტითაც გაცილებით მეტ სიახლოვეს ბედენური კომპლექსების ლითონის იარაღი იჩენს [13]. მარტყოფულ და ბედენურ კომპლექსებს ძირითადად აერთიანებს პირამიდისებრთავიანი ისრისპირი და ფოთლისებრპირიანი სატევარი, რომელიც უცხოა მტკვარ-არაქსის კულტურისათვის და აქ ყორლანული კულტურის შემოსკლასთან ერთად ვრცელდება [25, გვ. 81]. საერთო მარტყოფისა და მტკვარ-არაქსის კულტურათა ლითონის იარაღში, ძირითადად, ბრტყელი ცული და ღარიანი სატეხია, რითაც სიახლოვე ჩანს ბედენურ კომპლექსებთანაც [25, გვ. 77, 82].

ადრებრინჯაოს ხანაში გავრცელებულია როგორც მოკლე და ფართოტანიანი, ისე ვიწრო და გრძელტანიანი ბრტყელი ცული [23, გვ. 132]. მტკვარ-არაქსის კულტურაში მისი პირველი ვარიანტია წამყვანი [29, გვ. 123], ადრეულ ყორლანებში კი უფრო ვიწრო ვიწროტანიანი ცული ჭარბობს [25, გვ. 77]. თუმცა, როგორც ჩანს, არც ფართოტანიანია მისთვის უცხო [25, ტაბ. XXIX]. რაც შეეხება მარტყოფულ ყუახვრელიან ცულებს, ისინი მხოლოდ ზოგადად ემსგავსება როგორც მტკვარ-არაქსულ, ისე ბედენურ ცალებს [25, გვ. 76]. მარტყოფულ ყორლანებსა და მტკვარ-არაქსულ კომპლექსებს შორის სიახლოვეს ღარიანი სატეხიც ამჟღავნებს. ამ იარაღის უმტესობა ბედენურ ყორლანებშია მიკლეული [25, გვ. 82]. მტკვარ-არაქსის კულტურაში ამგვარი იარაღი ცნობილია ბადანისა და უინვალის ნასახლარებიდან [14, ტაბ. LXX]. უნდა ითქვას, რომ ფორმის მიხედვით ვერ ხერხდება მტკვარ-არაქსული და ადრეული ყორლანების, განსაკუთრებით ბედენური წრის ღარიან სატეხთა მკვეთრი გამიჯვნა. ზოგჯერ მათ შორის მსგავსება დეტალებშიც ვლინდება. როგორც ჩანს, ამ კულტურებში ძირითადად მსგავსი ფორმის ღარიანი სატეხი იხმარებოდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს თეთრიწყაროს ყორლანებისა და ბადანის ნასახლარის სატეხები ერთნაირი თოხწახნაგა ღეროთი და ღეროს ზედა ნაწილში არსებული შესქელებით [14, ტაბ. LXXIV]. ასევე, ახლო მორფოლოგიურ მსგავსებას ავლენს ჟინვალის სატეხი მარტყოფის № 3 და ბედენის № 5 ყორლანთა სატეხებთან [26, ტაბ. LXXXIII; 25, სურ. 25; 3, სურ. 30]. ტრადიციულად მტკვარ-არაქსის კულტურას მიკუთვნებული სახერხული სატეხი რეწახნაგოვანი ტანით, ასევე უახლოვდება ბედენისა და ქვემო ქართლის ყორლანთა ცალებს [23, სურ. 59, 62].

ბედენური ზოგიერთი სატევარი წაგრძელებული სამკუთხა მოყვანილობის პირით ტიპოლოგიურად უკავშირდება მტკვარ-არაქსულ იარაღს. ასე მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ამ პერიოდის სატევრისპირები შეიძლება შევუდაროთ ბაკურციხის, კაჭრეთისა და ქორეთის № 1 ბედენური კულტურის სამარხთა სატევრისპირებს [33, ტაბ. XX; 2, სურ. 29]. ასევე, ქვემო ქართლის

№ 4 ბედენური ყორდანის სატევრისპირი [25, ტაბ. XXXVII] შეიძლება დავუახლოვოთ ქაცხელას C ფენის რამდენადმე გრძელყუნწიან იარაღს [19, ტაბ. 36]. კიდევ უფრო მჭიდრო პარალელები ეძებნება მას ირანში, გეო-თევეს K ფენისა და სტეფანაგერტის მტკარ-არაქ-სული იერის მქონე კერამიკის შემცველი ყორდანის მასალაში [29, სურ. 29, 35].

მტკარ-არაქსის კულტურის ხანაში გავრცელებული იარაღი – შუბისპირი – უცნობია მარტყოფული ყორდანებისათვის. ბედენის კულტურაში კი მას ვხვდებით ბაკურციხის ყორდანში [33, ტაბ. XX]. მარყუისებრბოლოიანი ეს იარაღი, მართალია, რამდენადმე განსხვავებული სახისაა, მაგრამ გამორიცხული არაა, წარმოადგენდეს მტკარ-არაქსის კულტურის მოკაულდეროიანი შუბისპირის შემდგომ განვითარებას. ბედენის კულტურაში გვხვდება შუბისპირის სწორლეროიანი ტიპიც. ხოვლეს ყორდანის № 2 ბედენური სამარხის შუბისპირი [25, სურ. 58] საერთო იერით ასევე მოგვაგონებს ცხინვალისა და ახალციხის იარაღებს [21, სურ. 33].

ბადანის ნასახლარის ყეამილიანი ცული, რომელიც მრავალ პარალელს პოულობს მტკარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე [14, გვ. 78], ძალზე უახლოვდება ქორეთის № 1 სამარხის იარაღს. ბედენის კულტურის ზოგიერთი საკინძის პროტოტიპებიც მტკარ-არაქსის კულტურაშია საძებარი [4, გვ. 31].

მტკარ-არაქსისა და ბედენის კულტურების სიახლოეს ლითონის იარაღის გარდა, ვფიქრობთ, ხაზს უსგამს ამ კულტურებისათვის კარგად ცნობილი, ხოლო მარტყოფული კომპლექსებისათვის უცხო იარაღის – ქვისა და ძვლის ისრისპირების – არსებობაც [25, გვ. 81]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მტკარ-არაქსული ტიპის ქვის ფუნწიანი ისრისპირები ბედენურ კომპლექსებში მაინც იშვიათია. მას ძირითადად ვხვდებით ხოვლეს ყორდანის № 2 სამარხსა და ზილიჩას № 2 ყორდანში [25, სურ. 39, 58]. ბედენური კულტურისათვის უფრო დამახასიათებელია ღრმად ამოჭრილფუძიანი ისრისპირი. იგი მანამდე უცნობი ხერხით – წვრილი პარალელური ამოღარვის ტექნიკითა დამუშავებული [13, გვ. 29]. ამ კულტურათ ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა ორივეგან ძვლის მოზრდილი ბიპირამიდული ისრისპირის არსებობაც. თუმცა, მტკარ-არაქსის კულტურაში იგი მაინცდამაინც ფართოდ არ გავრცელებულა. მას უმთავრესად შიდა ქართლის ძეგლებზე ვხვდებით. ბედენის კულტურაში კი იგი უფრო კახეთისა და ბედენის ყორდანებიდანაც ცნობილი.

ძეგლი ტრადიციების განგრძობაზე ლაპარაკობს მრგვალი, შევრილებიანი კერაც. ოღონდ ახლა ამგვარ კერას დამატებითი ელემენტიც უჩნდება ტყუპი შვერილის სახით, რომელზეც ზოგჯერ ზოო- ან ანთოროპორფული სახეებია გამოყვანილი. ციხიაგორის A ფენის ერთ კერას ფოსოებით გაკეთებული თვალებიანი ტყუპი შვერილი აქვს [6, გვ. 42]. ბერიკლდების ბედენუ-

რი ფენის მრგვალი კერებიც ასევე შემკულია ანთოროპორფული წყვილი გაძოსახულებით [20, გვ. 62]. ობსიდიანით ინკრუსტირებულთვალებიანი ტყუპი შვერილი აქვს ზველის კერასაც, რომელიც თავის დროზე, ახლო პარალელური მასალის არასებობის პირობებში მტკარ-არაქსის კულტურის არიგისა და ქარაზის კერებთან იქნა დაკავშირებული [9, გვ. 64]. მაგრამ ბერიკლდების ანალოგიური კერების აღმოჩენის შემდეგ [20, გვ. 62], რომელთა გენეტიკური სიახლოეს მტკარ-არაქსულ ცალებთან იმთავითვე იქნა შენიშვნული ალ. ჯავახიშვილის მიერ, ცხადი გახდა, რომ უახლოესი პარალელები ზველის ამ კერას შიდა ქართლის ბედენური კულტურის ძეგლებზე აქვს.

კერასთან დაკავშირებული ზოგიერთი სადგარიც ავლენს აღრეულ ტრადიციებს. მაგალითად, ცილინდრული სადგარი, რომლის უადრეს ცალს აღმოსავლეთ საქართველოში ქვაცხელას B ფენაში ვხვდებით [19, ტაბ. IV], არსებობას განაგრძოს ციხიაგორაზე, ბადაანზე, ღათომაზზე. იგი მიჩნეულია არაქსის აუზისათვის დამახასიათებლად და უცხოდ მტკარის აუზისათვის [16, გვ. 133]. თუმცა, ბოლო ხანებში ამგვარი სადგრის აღმოჩენა არაერთ ძეგლზე იმაზე მიუთითებს, რომ იგი უპეე არც აღმოსავლეთ საქართველოსათვისაა უცხო. ზველიდან და ლოდობანადან ცნობილია აღრეული გავრცელებული სხვადასხვა ტიპის სადგრის რამდენადმე ტრანსფორმირებული ვარიანტიც [9, ტაბ. 30, 32].

ახალმოსულ – მარტყოფულ და ადგილობრივ – მტკარ-არაქსულ კულტურათა შერწყმის ადგილის ლოკალიზაციას ადრეულ ყორდანთა კონცენტრაციის არეში – თრიალეთისა და იორალაზნის აუზში ახდენენ [6, გვ. 68]. შენიშვნულია ისიც, რომ მარტყოფული ჯგუფის კერამიკას მტკარ-არაქსის კულტურის თიხის ჭურჭელი ედება საფუძვლად [25, გვ. 72]. ორივე კულტურისათვის საერთო ხდება მსხლისებრი ან სამაწილადფანიანი ცალყურა ჭურჭელი, რომელიც ფორმით მჭიდროდ უკავშირდება მტკარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლურ და კულტურულად მასთან დაკავშირებული მხარეების მასალას. ამგვარი ფორმის ჩამოყალიბებას შეიძლება თვალი გავადევნოთ შიდა ქართლის საკანძი ძეგლების – ხიზანაანთ გორისა და ქაცხელას ნასახლარებზე. ზოგჯერ ამგვარი ჭურჭელი შემკულია დაშტრიჩული სამკუთხედების მწკრივთ, ტეხილხაზოვანი დაშტრიჩული ან წერტილებით შევსებული თავზახვეული ღენტებით, Z-ბრი სახეებით და სხვა ორნამენტით, რომელიც ძალზე მოგვაგონებს როგორც სინქრონული, ისე უშუალოდ წინამორბედი პერიოდის მტკარ-არაქსულ შემკობას, ფართოდ გავრცელებულს სომხეთში, დასავლეთ აზერბაიჯანში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიასა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში. მარტყოფული ყორდანებისათვის დამახასიათებელი ტოლჩა, რომელიც თითქმის ყოველთვის თან სდევს მსხლისებრ ჭურჭელს [25, გვ. 70], ასევე

ავლენს გვიანმტკვარ-არაქსული ხანის ამ ოლქების კერამიკულ ტრადიციებს. იგივეზე უნდა ძიუთითებდეს ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით შემკული ხოვლეს ყორდანის ჭურჭელიც [25, სურ. 59]. ამდენად, სახეზე გავქვს სამხრეთული წარმომავლობის ორნამენტით შემკული, შიდა-ქართლური ფორმის მქონე თიხის ჭურჭელი, რაც მტკვარ-არაქსის კულტურის ამ ვარიანტების კერამიკული ტრადიციების შერწყმად წარმოგვიდგება. რამდენადაც ამგვარად ორნამენტირებული მსგავსი ფორმის ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოს გარეთ ნაკლებადაა გავრცელებული, ეს პროცესი ძირითადად აქვეა სავარაუდებელი [13, გვ. 29]. ამგვარი ჭურჭელი, როგორც სადა, ისე ორნამენტირებული ტიპისა, წარმოადგენს მტკვარ-არაქსისა და მარტყოფის კულტურების ძირითად გამაერთიანებელს. მას მრავლად ვხვდებით ამ პერიოდის ძეგლებზე. ერთ ასეთ ძეგლს წარმოადგენს ბადანის ნასახლარი. აქ მტკვარ-არაქსულ ჭურჭელთან ერთადაა მარტყოფული ჯგუფისათვის დამახასიათებელი აღნიშნული ტიპის კერამიკაც [14, გვ. 76]. ილტოსა და ორხევის მასალაც შეიცავს თიხის ანალოგიურ ჭურჭელს [26, გვ. 57; 31]. ახალციხის ამირანის გორის გვიანდელი სამარხების უხვად ორნამენტირებული კერამიკაც ტიპიური ადრეულორდანული ნაწარმია [17, გვ. 82]. იგივე შეიძლება ითქვას ჯავახეთის ნასახლარების – სათხესა და დიგაშენის – ზოგიერთი ჭურჭლის მიმართაც, რომელთაც ახლო პარალელი მოეპოვება მარტყოფის ყორლანთა ინვენტარში [12, გვ. 16; 15, გვ. 43]. რამდენადმე განსხვავებულია ქვემო ქართლის ზოგიერთი ძეგლის – დანგრეული გორისა და დაით-მაზის თიხის ჭურჭელი, რომელიც ძირითადად მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთი ოლქებისათვის დამახასიათებელი იერის ნაწარმითა წარმოადგენილი [16, გვ. 136].

ტრადიციების განგრძობაზე მოუთითებს ასევე ხაშურის ნაცარგორის, კასბის ციხიაგორის, ილტოს და სხვა ნასახლარების მტკვარ-არაქსული, თუ ფორმითა და ორნამენტით მისი მსგავსი მარტყოფული თიხის ჭურჭლის თანაარსებობა ბედენურ კერამიკასთან [10; 6; 26].

ანალოგიური ჭურჭელი თავს იჩენს საკუთრივ ბედენური წრის ყორლანებშიც. იგი ცნობილია თრიალეთის XI ყორლანიდან [4, გვ. 20], დმანისის № 1 ყორლანიდან [28, ტაბ. 98], ქვემო ქართლის №№ 5 და 9 ყორლანებიდან [22, გვ. 157]. გვიანმტკვარ-არაქსული ხანით განსაზღვრულ ღრმახევისთავის კომპლექსებშიც [1] გახვდება ბედენურთან ახლო მდგომი ჭურჭელი. აქ აღმოჩენილი დერგები ახლო დგას ბედენის, წნორის ყორლანებისა და ხაშურის ნაცარგორის ბედენურ ჭურჭელთან [10]. ბედენურთან იჩენს კავშირის მისი კერამიკის შემცირის ზოგიერთი ხერხიც – შიგნიდან გამოყვანილი კოპები. ამგვარი ორნამენტის გამოჩენა ჩვენში სწორედ ბედენურ კულტურას უკავშირდება [9, გვ. 39]. ბედენურია ღრმახევისთავში აღმოჩენილი ისრისპირიც.

მტკვარ-არაქსის, მარტყოფისა და ბედენის კულტურათა ურთიერთობა, ძათი თანაარსებობა ჩანს სხვა ჭურჭლითაც. ქვემო ქართლის № 5 [25, სურ. 43] და ივანოვგას № 2 [37, ტაბ. 59] ბედენურ ყორლანთა ზოგიერთი ქოთანი ფორმითა და ორნამენტის ხასიათით მსგავსია როგორც მარტყოფის № 2 ყორლანის [25, სურ. 6], ისე შენგავითის [39, Form 198] ჭურჭლისა; ქვემო ქართლის № 5 ყორლანში აღმოჩენილი კათხა ფორმით სავსებით ისეთივეა, როგორიც თრიალეთის XXIV მარტყოფული ყორლანის ცალი. ამ ჭურჭლის დეკორიც სრულად იმეორებს მტკვარ-არაქსულ ორნამენტს [22, გვ. 155]; თრიალეთის XLVI ბედენური ყორლანის მტკვარ-არაქსული სარქველი კი შემკულია ბედენური ხერხით [4, გვ. 21]. ხაშურის ნაცარგორაზე, ციხიაგორაზე, ბადანზე, ღრმახევისთავის გვიანდელ კომპლექსებში გახვდება ჭურჭლის ტანზე ჩამოყოლებული სამი ვერტიკალური, პარალელური, რელიეფური ზოლი, ორნამენტის სახე – საერთო ამ ძეგლების მტკვარ-არაქსული და ბედენური კერამიკისათვის. მსგავსი მაგალითები საკმარისა.

უნდა ითქვას, რომ ბედენურ კომპლექსებში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული ტიპის კერამიკა თავისი წარმომავლობით არ არის ერთგვაროვანი. მასში თითქოს ხერხდება ამ კულტურის სხვადასხვა ლოკალური ვარიანტის ნიშნების გამოყოფა. როგორც ჩანს, აქ ძირითადად სამი ამგვარი ვარიანტია წარმოდგენილი: შიდა ქართლური, ჩრდილო კავკასიური და სამხრეთული [11]. შიდა ქართლური ზარისებრი ფორმის კერამიკა, ტრადიციული ამ რეგიონისათვის [23, გვ. 104], კველაზე უკეთა წარმოდგენილი ხაშურის ნაცარგორაზე [10]; ჩრდილო კავკასიურადაა მიჩნეული ქვემო ქართლის № 9 ყორლანის მასალა, რომლის უახლოესი პარალელებია ყარაბუღაზენტსა და გატინკალეზე [22, გვ. 155-156]. მაგრამ შერეულკერამიკან კომპლექსებში თითქოს ამ კულტურის სამხრეთული იერის მქონე თიხის ჭურჭელი უფრო ჭარბობს [11]. ასეთი სურათი ჩანს ხაშურის ნაცარგორაზე, ციხიაგორაზე, ილტოზე, ზველში, მარტყოფის № 2, დანანისის № 1 და ქვემო ქართლის № 5 ყორლანებში. ორნამენტის ხასიათით მასში ერთანდება მარტყოფული ჭურჭელიც, რომლის გენეტიკურ კავშირზე შიდა ქართლის მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან ზემოთ უკვე იყო ლაპარაგი. საფირებელია, რომ ბედენის კულტურის ურთიერთობა ამ ვარიანტთან უფრო მჭიდრო უნდა ყოფილიყო და მას ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ჰქონოდა ადგილი.

ხასიათდება რა ევროპისა და წინა აზიის სხვადასხვა კულტურათა ელემენტების არსებობით [3; 4], ბედენის კულტურის კერამიკული კომპლექსი სიახლოებებს ყველაზე მეტად მაინც მტკვარ-არაქსული კულტურის თიხის ჭურჭელთან ავლენს [25, გვ. 131]. როგორც ფიქრობენ, მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურათა ურ-

თიერთობის შედეგად ძირითადად შიდა ქართლში უნდა ჩამოყალიბებულიყო ბედენის კულტურა, რომელიც შემდგომ ვრცელდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში [25, გვ. 143]. ხაშურის ნაცარგორის მაგალითზე მართლაც ჩანს ამ კულტურათა ხანგრძლივი ურთიერთობის კვალი [10]. თანხმელები მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭელი ქმნის ცდუნებას, უფრო მეტად დაძველდეს ბედენური კულტურის შიდა ქართლში გამოჩენის დრო და ეს ნასახლარი ამ კულტურათა ერთ-ერთ ადრეულ საკონტაქტო ძეგლად წარმოგვიდგეს. მაგრამ ნაკლებად სარწმუნო ჩანს მოსაზრება ბედენური კულტურა შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურასთან ურთიერთობის საფუძველზე წარმოქმნილად მივიჩნიოთ [25, გვ. 138], რადგან ხაშურის ნაცარგორის შერეულყერამიკიან უადრეს პორიზონტშიც კი ბედენური კერამიკა უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი [10].

რამდენად ხანგრძლივი იყო ეს ურთიერთობა, მთლად ნათელი არ არის. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობის შემდეგ ყველა იმ ნასახლარზე, სადაც ამ კულტურათა თანაარსებობაა შენიშვნული, ცხოვრება საერთოდ ქრება და აღარ გრძელდება ადრეყორდანულ ხანაში, რაც ადრეყორდანული კულტურის მატარებელი ტომების სტაციონარული ტიპის ცხოვრებასთან შეუგუბდლობითაა ახსნილი [25, გვ. 175]. თუმცა, ზოგიერთი ნასახლარის მონაცემებით თითქოს ისე ჩანს, რომ ახალი კულტურა კარგად მოერგო მტკვარ-არაქსულ გარემოს და ამ კულტურის სამუშაოების გამგრძელებელი გახდა [8]. ბედენურ ძეგლებზე აღმოჩენილი ძვლის თოხები, კაუის ნამებლის ჩასართები, ხელსაფეხვავები, მარცვლეულის გასანიავებელი ხის ნიჩები მოწმობს, რომ ამ კულტურის მატარებელი ტომები ბინადარ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ [18, გვ. 30]. შესაძლოა, ეს არ იყო მთელი ამიერკავკასიისათვის საერთო მოვლენა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იგი მტკიცდება იმ ნასახლართა მაგალითზე, სადაც კარგად ჩანს, რომ ადრეყორდანული კულტურის მატარებელი მოსახლეობა საცხოვრებლად იყენებდა წინარე – მტკვარ-არაქსული კულტურის წიაღში ჩამოყალიბებული ნაგებობის ტრადიციულ ტიპს, სარგებლობდა ამ კულტურისათვის დამანასიათებელი მრგვალი, შვერილიანი კერით, ლითონის ზოგიერთი იარაღით და სხვ. სტრატიგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოველივე ამას აქ სისტემატური ხასიათი ჰქონდა და ამ კულტურათა თანაარსებობა დროის საკმაო მონაკვეთში გრძელდებოდა [13].

ბედენის კულტურას უკავშირებენ მტკვარ-არაქსისა და მარტყოფის კულტურათა განადგურებას [24, გვ. 285; 6, გვ. 7]. თუმცა, შესაძლოა, ეს მოსაზრება ყველა რეგიონს თანაბრად არ შექოს. იმ ნასახლარებზე, სადაც ამ კულტურათა თანაარსებობა შეინიშნება, არსებობას ერთდროულად წყვეტს აქ წარმოდგენილი ყვე-

ლა კულტურა, მათ შორის ბედენურიც. ამიტომ, საეჭვოა ეს მოვლენა ბედენის კულტურას მიეწეროს. მტკვარ-არაქსის კულტურის ჩაქრობა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში შესაძლოა განსხვავებულ მიზეზებთან იყო დაკავშირებული [13].

A. Orjonikidze

KURA-ARAXES TRADITIONS IN THE PERIOD OF THE SPREAD OF THE SO-CALLED CULTURE OF EARLIER KURGANS

Summary

A new culture, the so-called Culture of the Earlier Kurgans, emerged by the second half of the 3rd millennium B.C. in the area of the spread of the traditional Kura-Araxes culture in Eastern Georgia.

Archaeological data testify to the fact that newcomers failed to eliminate the traditions of Kura-Araxes culture that counted centuries by that time. On the contrary, the facts of adoption of the traditional type of dwelling, usage of round hearths, certain types of metal and bone tools clearly indicate that they, in turn, were affected by the existing traditions. Stratigraphic data attest to the systematic and continuous character of such conditions for a certain period of time.

Traditions of the Kura-Araxes culture were preserved in the material culture of almost all regions of Eastern Georgia. These traditions, however, are not homogeneous and do not comprise traits characteristic of various local variations of the above culture.

Termination of the Kura-Araxes culture in Eastern Georgia is often linked to the late group of the Earlier Kurgans, so-called Bedeni culture, but their coexistence and simultaneous disappearance, as attested at several settlements, calls for revision of the cited viewpoint.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., განიანი კ. ღრმასხევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980.

2. ბუჩუკური ა. კაჭრეთის მცწ. III ათასწ. დასასრულის გორასამარხი. – არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1985, გვ. 9-13.

3. გობეჯიშვილი გ. ბედენის გორასამარხების კულტურა. თბ., 1980.

4. გოგაძე ე. ორიალეთის ყორლანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.

5. თურმანიძე კ. ამიერკავკასიის განვითარების მიმართულებების შესახებ (ძვწ. 3500-1400

- წწ.). – არქეოლოგიური კრებული, II, თბ., 1998, გვ. 26-50.
6. მახარაძე ზ. ციხიაგორის მტკვარ-არაქ-სული ნამოსახლარი. თბ., 1994.
 7. მახარაძე ზ., ორჯონიგიძე ა., მინდიაშვილი გ. საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის ლითონის იარაღის ტიპოლოგია. თბ., 1999 (ხელნაწერი).
 8. მინდიაშვილი გ. ადრეული ყორღანები სამხრეთ კავკასიაში. სადისერტაციო მაცნე, თბ., 1993.
 9. ორჯონიგიძე ა. სამცხე-ჯავახეთი ადრებრინჯაოს ხანაში. თბ., 1983.
 10. ორჯონიგიძე ა. შერეულგერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან, პრეპრინტი. თბ., 1992.
 11. ორჯონიგიძე ა. მტკვარ-არაქსულ და ბედენურ კულტურათა ურთიერთობისათვის სამხრეთ კავკასიაში. თბ., 1996.
 12. ორჯონიგიძე ა. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I. – ძიებანი, I, 1998, გვ. 15-22.
 13. ორჯონიგიძე ა. მტკვარ-არაქსის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში. საფოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2000.
 14. საქართველოს არქეოლოგია, II. თბ., 1993.
 15. ქიქოძე ზ., კოლი ფ., მინდიაშვილი გ. ორჯონიგიძე ა. ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან. – ძიებანი, 2, 1998, გვ. 42-51.
 16. ღლონტი ლ. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპოდიციის შედეგები (1965-1971), თბ., 1975, გვ. 129-136.
 17. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა. თბ., 1963.
 18. ძიძიგური ლ. ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა. თბ., 2000.
 19. ჯავახიშვილი ა., ღლონტი ლ. ურნის I. თბ., 1962.
 20. ჯალაბაძე მ. ბედენის კულტურა შიდა ქართლში (ბერიკლდეების ნამოსახლარი), საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1998.
 21. ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961.
 22. ჯაფარიძე თ. ბრინჯაოს ხანის ყორღანები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპოდიციის მუშაობის შედეგები (1965-1971), თბ., 1975, გვ. 137-165.
 23. ჯაფარიძე თ. ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბ., 1976.
 24. ჯაფარიძე თ. საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1991.
 25. ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვ.წ. III ათასწლეულში. თბ., 1998.
 26. დედაბრიშვილი შ. შ. პамятники эпохи ранней и средней бронзы. – ТКАЭ, I, 1969, с. 35-75.
 27. დედაბრიშვილი შ. შ. Курганы Аланской долины. Тб., 1979.
 28. ხახიანი კ., გლიგაშვილი ე., კალანდაძე გ., ცქვითინიძე ვ. – О работе экспедиции Машаверского ущелья в 1987 г. – ПАИ, 1987 (1995), с. 62-69.
 29. კუშნარევა კ. ხ., ჭუბინიშვილი თ. ნ. Древние культуры Южного Кавказа. Ленинград, 1970.
 30. ლორქიპანიძე Օ. დ. Наследие древней Грузии. Тб., 1989.
 31. მირცხულავა გ. ი., მირცხულავა ნ. დ. Экспедиция Иорского ущелья. – ПАИ, 1988 (1997), с. 24-26.
 32. მუნახავ რ. მ. Кавказ на заре бронзового века. Москва, 1975.
 33. პიცხელაური კ. ნ. Исследования Кахетской археологической экспедиции. – ПАИ, 1980 (1982), с. 17-20.
 34. პიცხელაური კ. ნ. Центральное Закавказье в конце III и начале II тыс. до н.э. – Кавказ в системе палеометаллических культур Евразии, Тб., 1987, с. 21-26.
 35. რამიშვილი ა. თ. Раскопки в Хашурском районе в 1984-86 гг. – ПАИ, 1986 (1991), с. 22-25.
 36. რამიშვილი რ. მ., ჯორბენაძე ვ. ა., გლონთი მ. გ., მუხигуლაშვილი ნ. ზ., რობაკიძე ც. ვ., ჩიხლაძე ვ. ვ., ციკლაური დ. კ., მარგველაშვილი მ. გ., რხეულიშვილი გ. მ., ლომიძე ც. შ., ციკლაური ი. დ., ცერეტელი კ. ბ. – Работы Жинвальской комплексной археологической экспедиции. – ПАИ, 1981 (1984), с. 59-68.
 37. შათბერაშვილი ვ. გ. Результаты полевых работ Марабда-Ахалкалакской экспедиции. – ПАИ, 1988 (1997), с. 63-64.
 38. Burney Ch. Eastern Anatolia in the Chalcolithic and Early Bronze Age. – AS, VIII, 1958, pp. 157-209.
 39. Sagona A. The Caucasian region in the Early Bronze Age. 1984.

გურანდა ფხაკაძე

ადრებრინჯაოს ხანის ზიარჭურჭლის დანიშნულებისა და გამოცელების შესახებ

ფიჩორის გორა-ნამოსახლარზე (გალის რ-ნი, სოფ. ფიჩორი), კერძოდ კი მის ცენტრალურ ბორცვზე, ადრებრინჯაოს ხანის ორი კულტურული პორაზონტი გამოვლინდა – მე-8 და მე-7. ზოგჯერ ისინი კულტურული ფენების სახელწოდებით არიან მოხსენიებული.

ქვედა, მე-8 ფენაში (C₁₄-ით ძვ.წ. XXIII ს.) აღმოჩნდა ნიმუშებიანი, ხის ბაქნინი, თიხით მოლესილი ოთხკუთხა წაგრძელებული ფორმის სათავსოს ნაშთები, რომლის იატაკზე რიყის ქვით მოკირწყლებული წრიული მოედანი გაიწმინდა. მოედანზე ეწყო ირმის რქის ძირი, ოთხმხრივი ყალიბი (ოთხი სხვადასხვა ნივთისათვის), ცულისა და თოხის ყალიბები, ხის სახვნელი, ქვის იარაღები, დანახშირებული მარცვლეული და კერამიკა. ეს სათავსო თავიდანვე საკულტოდ იყო მიჩნეული. კერამიკულ მასალაში ადგილობრივ ტრადიციულ თიხის ნაწარმთან ერთად აღმოჩნდა შავად და მუქწაბლისფრად ნაპრიალები პირგადაშლილი, ყელგმოყვანილი, ბიკონუსურტანიანი ქილების, ქოთნების, სასმისების და მაღალფეხიანი ვაზების, თხელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ამათ შორის გამოირჩევა ერთი მუქი წაბლისფერი, შესანიშნავად გაპრიალებული ორმაგი ჭურჭლის – ზიარჭურჭლის ფრაგმენტი. შემორჩენილია ორი ჭურჭლის შემაერთობელი კედელი და შეერთების ადგილას პორიზონტალურად დაძერწილი ფართო, შუაში დარით გაყოფილი ყური [1, ტაბ. XXVI]. ფრაგმენტის მიხედვით იგი წარმოადგენდა სასმისს, რომელიც ორი აბსოლუტურად ერთნაირი ჭურჭლისგან შედგებოდა. თითოეულს ჰქონდა ოდნავ გაღმოშლილი გვირგვინი, მოკლე, გამოყვანილი ყელი და ვიწრო ძირი. ზიარჭურჭლი მომცრო ზომისა იქნებოდა (დაახ. 6,5 სმ სიმაღლისა) (ტაბ. I). ჭურჭლის ეს ფორმა სადღეისოდ იშვიათობას წარმოადგენს და კავასისის ადრებრინჯაოს ხანის მრავალრიცხოვან ნასახლარებსა და სამაროვნებიდან მხოლოდ რამდენიმეა ცნობილი.

თითქმის ასეთივე ფორმის ორმაგი ზიარჭურჭლი აღმოჩნდილი იყო თრიალეთში, ბეშთაშენის ციხე-სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, თიხატეპნილ მოედანზე, ძირა III ფენაში, მტკვარარაქსული შავრიალა ვარდისფერისარჩულიან ნაწარმს შორის, მაღალფეხიან ვაზებთან, სასმისებთან და დიდი ზომის ქოთნებთან ერთად. ეს უკანასკნელი მდიდრულადა შემკული ჩაღრულ-ამობურული და ჭრილი ორნამენტით, რომელიც ზოგჯერ, ბ. კუფტინის აზრით, რაღაც შინაარსის მატარებელია [1, გვ. III]. ზიარჭურჭლი შედგება ორი ერთნაირი შეტყუპებული სასმისისაგან, რომელიც ერთმანეთით მუცლის ნახვრეტითა შეერთებული. თითოეული სასმისი ოდნავ პირგადაშლილია, მსუბუქად გამოყვანილი ყელით და ბრტყელი ძირით ხასიათდება. აქვთ საერთო ნახვგარსფერული ყური, მიძერწილი პირსა და კორპუსზე

მაღლე – 6,7 სმ, პირის დმ – 8,2 სმ, კორპ. გარშ. – 8,8 სმ) [1, ტაბ. CXXIV] (ტაბ. I₂).

ზიარჭურჭლის შესანიშნავი ნიმუში, ეწ. „მარანი“, როგორც მას გ. კობეჯიშვილი უწოდებდა, აღმოჩნდა ბედენის პლატოზე გათხრილ № 5 ყორლანში ეწ. „გადაჭრილი გორის“ ცნობილ აკლდამაში. ყორლანის ყრილის ქვეშ განლაგებული მუხის ხის დასაკრძალვი დარბაზი, დასაკრძალავი ოთხთვალი ეტლი, ხის საკაცე, ვერცხლის შტანდარტი, ვერცხლისა და ოქროს სამკაული, ლითონის ნივთები და მეტალისებური ბრწყინვალების კერამიკა სოციალურად დაწინაურებულ პიროვნებაზე მიუთითებდა. ამასვე ამტკიცებდა აკლდამის ჩრდ.-აღმ. კუთხეში დაკრძალული ორი თანმხლები პირი. გერმანე კობეჯიშვილი სავსებით დასაბუთებულად მიიჩნევდა მას ტომის ბელადის აკლდამად (ძვ.წ. III ათასწ.).

ბედენის ზიარჭურჭლი ორი შეწყვილებული კოჭობისაგან შედგება. თითოეული წარმოადგენს პირგადაშლილ, მკეთრად პრიფილირებულ, ცილინდრულყელიან და სფეროსებურტანიან ჭურჭელს ბრტყელ ძირზე, რომელსაც მხარზე ეწ. „მარგალიტისებური“ ორმაგი კოპების მწერივი შემოუყვება (ტაბ. I₃). კოჭები შეერთებულია მოკლე ფართო ნაწილით, რომელშიაც წვრილი ნახვრეტი გადის. ზიარჭურჭლს კორპუსზე საერთო მრგვალგანიველიანი, პორიზონტალური ყური აქვს დაძერწილი (სიმაღლე – 10 სმ, პირის დმ – 8 სმ) [2, გვ. 75, 87, სურ. 15, ტაბ. 34].

ზიარჭურჭლი ცნობილია დოლინსკოეს სამარხებიდან, კერძოდ, კალინოვსკის სამაროვნის № 2 ყორლანიდან (9 კომპლექსი). იგი წარმოადგენს ერთმანეთთან შეერთებულ სადა, გლუვზედაპირიან, უყურო ორ კოჭებისებურ ჭურჭელს; თითოეულ მათგანს აქვს ოდნავ გაღმოშლილი პირი, სუსტად გამოსახული ყელი; ერთმანეთთან შეერთებულია მოკლე ფართო ნაწილით, რომელშიც ნახვრეტი გადის [9, გვ. 68, სურ. 74] (ტაბ. I₄).

ჩრდილო კავკასიიდან ცნობილია სამი სასმისისაგან შემდგარი ზიარჭურჭლიც (ტაბ. I₅). ველიკენტის კატაკომბაში აღმოჩნდა სამი მინიატურული მაღალფეხიანი თასი ერთმანეთთან შეერთებული კორპუსებითა და ნახვრეტით. თითოეულ მათგანს თავისი ყური აქვს მიძერწილი გვირგვინსა და კორპუსზე [7, გვ. 222, სურ. 26].

ზიარჭურჭლი აღრებრინჯაოს შემდეგაც გვხდება. შავკრიალა ორი შეწყვილებული სასმისი აღმოჩნდა წარგლის შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანზე (სამარხი № 100, კენოტაფი). ზიარჭურჭლი შედგენილია კორპუსით შეერთებული პირგადაშლილი ბიკონუსური ფორმის ორი კოჭებისაგან, ორად გატოტვილი საერთო ყური პირსა და კორპუსზეა დაძერწილი (აღ. რამიშვილის გათხრები).

რამდენადმე განსხვავებული ეგზემპლარი „მარნისა“ აღმოჩნდა სადულას № 2 ყორლანში. იგი

წარმოადგენს ბირთვისებურტანიან ჭურჭელს, რომელსაც სამი მომაღლო ყელი აქვს დაძრწილი. ჭურჭლის ძირი და სამივე ყელის საფურცელი ჭრილი სამკუთხედებითა შემცილი [3, სურ. 30]. ზოგი მკვლევარი მას დედაქლლებრთის კარპად მიიჩნევს, ადარებს რა მას დვინისა და კარმირბლურის კერპებს [12, გვ. 69, სურ. 80]. ასეთი ინტერპრეტაცია ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყერება, მით უფრო, რომ ქალვთაებათა შესანიშნავი რეალისტური და სქემატური გამოსახულებები საყველთაოდ ცნობილია უკვე ადრესამიწათმოქმედო კულტურებიდან. უფრო ლოგიკური იქნება სადულის ჭურჭელი დედაღვთაებისათვის განკუთვნილ წმინდა სასმელის ჩასახმელად მივიჩნიოთ.

უფრო გვანდელი ორმაგი კოჭბისებური ჭურჭელი აღმოჩნდა დმანისის რ-ნის, სოფ. ორწყლების სამარხში (კ. კახიანის გათხრები), სამაგი ჭურჭელი – ქოლხეთის დაბლობზე, ყულევის ნასახლარზე (რ. პატუაშვილის გათხრები). მრავალსამისინი ზიარჭურჭელი ცნობილია მელი-ღელე I საკულტო ძეგლიდან (კ. ფიცხელაურის გათხრები) და სხვ. ორმაგი ჭურჭლის ერთეული ეგზემპლარები არის კოლხურ და ყობანურ კულტურაში [10, გვ. 271].

ამგვარი ჭურჭელი მახლობელ აღმოსავლეთში უძველესი ეპოქებიდანაა ცნობილი; ორმაგი სასმისი აღმოჩნდა ნეოლითურ მერიძლეში, გერცეის კულტურაში, სუზა 2-ში [15, გვ. 76, 220, სურ. 14, 33, 79], წინასტორიულ მერსინში [17, გვ. 194, სურ. 124, 127], ხალკოლითურ ბიბლოსში, თევე-გავრას VIII ფენაში [21, სურ. 169], ალიშარ-ჰუკში [19, სურ. 239], ტროა I-ში, თევე-ჰისარში [20, სურ. 18], თევე-სიალკში [18, ტაბ. XIX_{1,3, 6, 7}], შუა აზიაში – ძვ.წ. III ათასწ. ბაქტრიაში [14, სურ. 3] და სხვ.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს კვიპროსზე ეუნუს ადრებრინჯაოს ხანის სამაროვანზე აღმოჩნდილი ზიარჭურჭელი. იგი ორ შეწყვილებულ ყელმაღალ ქილას წარმოადგენს, შემაერთებელი ნაწილით, რომელშიც ნახვრეტი გადის. ზიარჭურჭლის საერთო ყური თრივე ჭურჭლის გვირგვინზე მიძერწილი და ზემოთ ანთროპომორფული გამოსახულებით მთავრდება [5, სურ. 23].

ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან შეიძლება დავასახელოთ კარპატისპირეთის სპილენძის ხანის ძეგლები [16, ტაბ. IV] და ტრიპოლიედან ე.წ. „ბინოკლისებური“ ჭურჭელი. რათქმა უნდა, ეს არასრული ნუსხა იმ ძეგლებისა, სადაც ამგვარი კერამიკა იყო გავრცელებული. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ არასად ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ძეგლებზე ერთმანეთის ზუსტი ანალოგი არ გვხვდება. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ფორმებით, ისე შეერთების ადგილით და წესით, ყურის მოყვნილობით და მიმაგრების მანერით.

ცხადია, რომ აქ საერთოა მხოლოდ იდეა.

აქად. ბ. კუფტინი განიხილავდა რა თრიალეთში მოპოვებულ ორმაგ სასმისს, პირდაპირ უკავშირებდა მას მცირე აზისა და ეგვიპტურ სამყაროს, სადაც ისინი ასევე შავრიალა, ხში-

რად ვარდისფერსარჩულიან კერამიკასთან და წითელპრიალა ფეხიან ვაზებთან განვდება (ალიშარი, ტროა, პისარ I). ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს აკად. ღ. ჯაფარიძე. გ. გობეჯიშვილი კი ფიქრობდა, რომ თუნდაც სამხრეთის ზეგავლენით გაჩენილმა ასეთმა ჭურჭელმა კავკასიაში გარკვეული ცელილებები განიცადა და შეძნილი თავისებურებანი მტკვარ-არაქსის კულტურიდან ძვ.წ. I ათასწ. შუასანებამდე შეინახა [2, გვ. 75].

ამით ამოიწურება არქეოლოგიურ ლიტერატურაში ზიარჭურჭლების განხილვა და მათზე გამოთქმული მოსაზრებები. ალბათ იშვიათობის გამო ისინი სპეციალური შესწავლის საგნად არავის გაუხდია. თუმცა უნდა ითქვას, რომ მას ყველა ავტორი ერთხმად ზოგადად სარიტუალო დანიშნულებას ანიჭებს. შედარებით დეტალურად ამით დანიშნულებაზე აკად. რიბაკოვი გაჩერდა თავის ნაშრომში, რომელიც ძეგლი სლავების წარმართული რელიგიების პვლევას მოუძღვნა [13, გვ. 186]. იგი ტრიპოლიეს ორმაგ, ე.წ. „ბინოკლისებური“ ჭურჭლის მნიშვნელობას ორ ახსნას უძებნის. ერთის მიხედვით, „ბინოკლისებური“ ჭურჭელი წვიმის გამომწვევა, მაგიურ რიტუალში მონაწილეობდა, რადგან ის უძირო იყო და მასში ჩასხმული წმინდა წყალი, იქვე მიწაზე იღვრებოდა და მაგიურად იწვევდა წვიმის მოსვლას, ეს კი სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო იმდროინდელი მოსახლეობისათვის, მით უმეტეს ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში. მეორე ახსნა პომეროსის „ილიადას“ 23-ე სიმღერის ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, პატრიკლეს დაკრძალვის სცენიდან. სიმღერაში ნათქვამია, რომ მთელი დამჟღმერთების სწორ აქილევსს ხელში ეჭირა ორმაგი თასი, რომლითაც განუწყვეტლივ იღებდა ღვინოს ოქროს დიდი ჭურჭლიდან და ასხამდა დედამიწას [13, გვ. 187]. მართალია, თვითონ ტრიპოლიეს ზიარჭურჭლების მნიშვნელობის ასახსნელად ეს არ გამოდგება, რადგან უძირო სასმისი სითხეს ვერ დაიჭირდა, მაგრამ თავისთავად იგი საინტერესო მიგნებაა.

თავიდანვე ცხადია, რომ ორმაგი და სამმაგი ჭურჭელი წვეულებრივი ხმარებისათვის არ იყო განკუთვნილი, მას რაღაც განსაკუთრებული, ექსტრაორდინალური დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ამის ერთ-ერთი მანიშნებელი მისი იშვიათობაცაა.

ჩვენ ზემოთ აღვინიშნეთ, რომ ბედენის აკლდამის ზიარჭურჭლებს არქ. გ. გობეჯიშვილმა თავიდანვე „მარანი“ უწოდა. ასევე „მარანს“ უწოდებდა მათ ი. კიკვიძეც. იგი თვლიდა, რომ ამ სასმისებით რიტუალური, წმინდა სამელი ისმებოდა და ვაზის გამოჩენამდე ეს უნდა ყოფილიყო არაყ და ლუდი, რომელთა მიღება-დამზადება იმ პირობებშიც კი მარტივი იქნებოდა [8, გვ. 103]. რაც შეეხება მეღვინეობა-მევენახობას, იგი უფრო მოგვიანო მოვლენად მიაჩნია და ძვ.წ. II ათასწ. უკავშირებს.

სადღეისოდ, ჩვენ ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ყურძენი და ვაზი უძველესი დროიდან დავადასტუროთ. შელავერის „დანგრეულ გორაზე“ № 1 შენობაში 4 ცალი ყურძნის წიპრა აღმოჩნდა (ძვ.წ. V-IV ათასწ.), ხო-

ლო შულავერის გორის ნასახლარზე – 6 წიპწა. ყურძნის წიპწები იყო შომუ-თევეჭეც. ვაზის წიპწები ნანაზი იქნა ხიზანაანთ გორაზე (ძვ.წ. III ათასწ.) და ურბნისში, ქვაცხელას C₁ ფენის შენობის ბაქაზე (ძვ.წ. 2800 წ.), რომელიაც ზემდან სასმისი ეფარა. სპეციალისტების ვარაუდით დაპირქვავებული სასმისის ქვეშ წიპწის პოვნა მეტყველებს იმაზე, რომ ურბნისის ბინადარი უკვე იცნობდა ყურძნიდან წვენის მიღების საიდუმლოებას. „წიპწების ფილოგენურმა ანალიზმა წიპწების ფორმის, ზომის, წონის განსაზღვრამ დამტკიცა, რომ შულავერის წიპწების სახით, საქმე გვაქვს საკმაოდ დიდი ხნის გაკულტურებული ვაზის წიპწებთან, რომელიც კულტურულ ვაზთან მეტ სიახლოვეს იჩენს, ვიდრე ველურთან“ [4, გვ. 21].

საინტერესოა, რომ მკვლევარები (პროფ. მ. რამიშვილი, ალ. ნეგრული) მიჩნევენ, რომ უკვე ძვ.წ. III ათასწ. არსებობდა ყურძნის რამდენიმე ჯიში: საღვინე (ქვაცხელას) და სასუფრე ვაზის ჯიში (ხიზანაანთ გორას) წიპწების მიხედვით [4, გვ. 18, 24]. ძვ.წ. VIII-VII ს. უკვე ორი ჩამოყალიბებული ვაზის ჯიში დადასტურდა – „რქაწითელი“ და „მწვანე“ (უფლისციხე, ნინოწმინდის სამროვანი); ჯიშები განსაზღვრა პროფ. მ. რამიშვილმა. დაახლოებითი გამოთვლით მათ ჩამოყალიბებას ადამიანთა 10 თაობა მაინც დასჭირდებოდა. თუ თითო თაობას, სულ ცოტა 30 წლით განვსაზღვრავთ, ძვ.წ. II ათასწ. გადავაძიჯებთ.

დასაკლეულ საქართველოდან ყურძნის წიპწები გამოვლინდა ანაკლიის თიხა-გუბუზაზე, ვაზის მერქნის ნაშოები – ნოსირში თიხატკეპნილ უქნაში (III ათასწ. ბოლო – II ათასწ. დასაწყისი) და სხვ.

ამავე პერიოდში შეგავსი მასალები აღმოჩენილია ვერაზის სამხრეთ ლექებში. მაგ. კორუკუთევეზე (4500-3000 წწ.), ხელობაშუაზღვისპირეთში კრეტაზე და სხვ. ამ და სხვა მრავალი ფაქტის, მასალისა და დეტალური კვლევის საფუძველზე, პროფ. რევაზ რამიშვილი თავის საფურადებო ნაშრომში „ქართული ვაზისა და ლინის ისტორია“, რომელიც ახლახან დაისტაბდა, სრულიად დამაჯერებლად ასკვნის, რომ „ამ პერიოდის ევრაზიასა და, კერძოდ, საქართველოში ვაზი და ვენაზი უკვე დამკიდრებულია და რომ საქართველო ერთ-ერთი უპირველესი კერაა მთელ ევრაზის კონტინენტზე“ [4, გვ. 23]. და მეორე, რომ „ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში 8-7 ათასი წლის წინათ მიწათმოქმედების და კერძოდ კი მევენახების, როგორც დარგის, ჩანასახი უკვე არსებობდა“ [4, გვ. 20].

როგორც არქეოლოგიური, ისევე ეთნოგრაფიული მასალები მეტყველებენ, რომ თავდაპირებელად ვაზი და ვენაზი საერთო ტომის, ტაძრისა თუ საკულტო ცენტრის კუთვნილება იყო და, ბუნებრივია, მოპირდათ იმ მიწებზე, რომელიც ტაძარს ეკუთხოდა. ვაზი თავიდანვე წმინდა მცენარედ ითვლებოდა და ვენაზი საერთო ტომის, ტაძრისა თუ სამელი დამტკიცა, მისგან მიღებული სასმელი დამტკიცა, მისგან მიღებული ისმებოდა [8, გვ. 204]. ეს მოვლენა კარგად აისახა „მარანისა“ და „ზედაშეს“ კულტებში. ვენაზისა და ვაზის მოვლა ადვილი არ იყო, მას ბევრი შრომა

და გამოცდილება სჭირდებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ვაზის მოსავლელად გამოყოფილი იყო პიროვნებები, რომელნიც სპეციალურად ამ საქმით იყვნენ დაკავებული, შესაძლოა ეს მათი საქმიანობა სოციალური დაწინაურების მიზეზიც კი გამხდარიყო; ყოველ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ისინი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. თანდათან ვაზი შეერწყა სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს და იქცა აგრარული დამტკიცა, რომ შულავერის წიპწების სახით, საქმე გვაქვს საკმაოდ დიდი ხნის გაკულტურებული ვაზის წიპწებთან, რომელიც კულტურულ ვაზთან მეტ სიახლოვეს იჩენს, ვიდრე ველურთან“ [4, გვ. 21].

საინტერესოა, რომ მკვლევარები (პროფ. მ. რამიშვილი, ალ. ნეგრული) მიჩნევენ, რომ უკვე ძვ.წ. III ათასწ. არსებობდა ყურძნის რამდენიმე ჯიში: საღვინე (ქვაცხელას) და სასუფრე ვაზის ჯიში (ხიზანაანთ გორას) წიპწების მიხედვით [4, გვ. 18, 24]. ძვ.წ. VIII-VII ს. უკვე ორი ჩამოყალიბებული ვაზის ჯიში დადასტურდა – „რქაწითელი“ და „მწვანე“ (უფლისციხე, ნინოწმინდის სამროვანი); ჯიშები განსაზღვრა პროფ. მ. რამიშვილმა. დაახლოებითი გამოთვლით მათ ჩამოყალიბებას ადამიანთა 10 თაობა მაინც დასჭირდებოდა. თუ თითო თაობას, სულ ცოტა 30 წლით განვსაზღვრავთ, ძვ.წ. II ათასწ. გადავაძიჯებთ.

დასაკლეულ საქართველოდან ყურძნის წიპწები გამოვლინდა ანაკლიის დიხა-გუბუზაზე, ვაზის მერქნის ნაშოები – ნოსირში თიხატკეპნილ უქნაში (III ათასწ. ბოლო – II ათასწ. დასაწყისი) და სხვ.

უფრო გვიან ვაზის მოყვანა დაიწყეს სასოფლო, საგარეულო და საოჯახო მიწებზე. როგორც ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ, ვენაზის უხვ მოსავალსა და ვაზზე ზრუნვა გამოხატული იყო რელიგიურ-მაგიურ მოქმედებებში და რიტუალებში, რომელიც ჯერ ტაძრებსა (ხატობა) და ვენახებში, შემდეგ კი სახლებშიც (დღესასწაული) სრულდებოდა. ღვინოს ასხამდნენ ქვევრებსა და ჭურებში, ინახავდნენ მარაში, რომელიც წმინდა, საკულტო ადგილად ითვლებოდა [4, გვ. 66]. პირველი ჩამოსხმის ღვინო ყველაზე წმინდა იყო, მას „ზედაშე“ ეწოდებოდა და მისი დალევა მხოლოდ საღვთო დღესასწაულებზე იყო დაშვებული. „ზედაშეს“ დასავლეთ საქართველოში პირდაპირ „საღვთოს“ უწოდებენ. ეს საკითხები შესანიშნავადაა გაშუქებული ცნობილი მეცნიერის ვ. ბარდაველიძის ნაშრომებში, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენ სიტყვას აღარ გავარდებთ. დავძენთ მხოლოდ, რომ, მისივე აზრით, „ზედაშე“ განსაკუთრებული ფორმის კერამიკული ითვლებოდა სასმისით ისმებოდა. ასეთი სასმისი უნდა ყოფილიყო სწორედ „მარაში“. იგი შესდგებოდა ორი, სამი ან მეტი ჭურებშისგან, რომლებიც ერთმანეთთან იყო შეერთებული [6, გვ. 68, 67]. სასმისი „მარაში“ რიტუალური დანიშნულებისაა, განსაკუთრებულ დღესასწაულებში იხმარება და ნაყოფიერებისა და სიუხვის გარდა სიწმინდისა და ღვთაებრივი სიძლიერის მომზიჭებელია.

კერამიკული „მარანის“ შესანიშნავი მაგალითია კახეთში, მელილელე I საკულტო ძეგლზე აღმოჩენილი ჭურჭელი, რომლის მხრებზე მასთან შეერთებული რამდენიმე პატარა სასმისია დაძერწილი (კ. ფიცხელაური). აქევა ღვინის შესანახი ქვევრებიც (ძვ.წ. II ათასწ. მეორე ნახ.).

ჩვენს მიერ განხილული ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე აღმოჩენილი ზიარჭურჭლებიც, ჩვენი აზრით, შესაძლოა სწორედ „მარნებად“ მივიჩნიოთ, მით უფრო რომ საგანგებო ვითარებაში იყო აღმოჩენილი: სამ შემთხვევაში წარჩინებულ პირთა სამარხებში (ბელენის აკლდამა, ველიკეტის კატაკომბა, დოლინსკოეს ყორდანი), ხოლო ორ შემთხვევაში საკულტო მოედნებზე (ფიჩორი, ბეშთაშენი), რაც მათ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ დანიშნულებას გამორიცხავს. ამ მაზნისათვის გამოიყენებოდა ის მომცრო ზომის კოჭები, სწორკედლა კათხები და სხვადასხვა ფორმის სასმისები, რომლებიც ყველა ძეგლზე დიდი რაოდენობით გვხვდება. არქეოლოგისათვის მანც მხელია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ძვ.წ. III ათასწლეულში ადრებრინჯაოს ხანაში სრულიად გაკულტურებული ვაზი, ვენახი და ღვინო არსებობდა, თუმცა მეღვნე-მევენახეობის სპეციალისტების მიერ მრავალმხრივი კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნები სწორედ ასეთ მოსაზრებას უჭერს მხარს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგანია, რომ ჩვენ მიერ განხილული ზიარჭურჭელი – მარანი სწორედ სადღესასწაულო-სარიტუალო ღვინის სასმელად იყო განკუთვნილი.

G. Phakadze

ON THE DISTRIBUTION AND FUNCTION OF EARLY BRONZE AGE DOUBLE VESSELS

Summary

Double vessels are rather rare. They occurred on Early Bronze sites of Georgia: Pichori, Beshtasheni and Bedeni; North Caucasus: Kalinovka, Velikent; Near East: Mersin, Susa, Alishar, Hissar, Troy I, Gawra III, Sialk, etc. Europe: Carpathian region, Tripolye and etc. The singularity of findings of such type of vessels on a wide Eurasian territory points to their peculiar function.

The analysis of archaeological materials of Georgia (ancient remains of grape seeds) and ethnological evidence proves the existence of cultural vine even in the 3rd millennium B.C. In the author's view, double vessels were special forms of pottery for ritual wine-drinking in honour of mother Goddess, other Gods and at public festivities.

ლიტერატურა

1. ბარამიძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულებში. სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, 1998.

2. გობეჯიშვილი გ. ბელენის გორასამარხების კულტურა. თბ., 1980.

3. დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. სადუღას ველის შუა ბრინჯაოს ხანის № 2 გორასამარხი. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. VI, თბ., გვ. 56-63.

4. რამიშვილი რ. ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია. თბ., 2001.

5. შანუაშვილი ბ. დიდი დედის არქეტიპი და მისი სიმბოლური სახეები მტკვარ-არაქსის კულტურაში (ძვ.წ. IV-III ათასწლ.) – ენა და კულტურა, № 1, თბ., 2000, გვ. 79-95.

6. ბარძელიძე ვ. ვ. ძველი რელიгиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

7. გაჯიევ მ. გ. რანнеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа. М., 1991.

8. კიკვიძე ი. ა. ზემლედელი და ზემლების კულტ ვაკეთის მეცნიერებები. თბ., 1988.

9. კორენევსკი ს. ა. ძველი მეცნიერებები. თბ., 1993.

10. კრუნივ ე. მ. ძველი ისტორია სამხრეთის კულტურის. თბ., 1960.

11. კუფტინ ბ. ა. არქეოლოგიური გამომკითხვები სამხრეთის კულტურის მეცნიერების მიერ. თბ., 1941.

12. კუშნარევა კ. ხ. ძველი მეცნიერებები. თბ., 1977.

13. რიბაკოვ ბ. ა. ძველი სამხრეთის კულტურის მეცნიერები. თბ., 1981.

14. სარიანი ვ. ა. ძველი ბაქტრია. თბ., 1981.

15. ჩაილდ გ. ძველი ვაკეთის კულტურის მეცნიერები. თბ., 1956.

16. Banner J. Der Kupferzeit des Karpaten. Acta Archaeologica Akad. Scientes Hungary, 1961, XIII.

17. Garstand G. Prehistoric Mersin. Oxford, 1983.

18. Ghirshman R. Fouilles de Sialk près de Koshan, VII. Paris, 1938.

19. Osten H. H., von. Alishar Hüyük I. Chicago, 1938.

20. Schmidt E. F. Excavations at Tepe-Hissar Damghon. Philadelphia, 1937.

21. Tobler A. Excavations at Tepe-Gawra, vol. I, Philadelphia, 1934.


ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I₁ – ზიარჭურჭლის ფრაგმენტი ფიჩორიდან; I₂ – ბეშთაშენიდან; I₃ – ბედენიდან; I₄ – კალინოვკიდან; I₅ – ველიკეტიდან.

Description of plate

Tab. I₁ – Double vessels from Pichori (fragment); I₂ – Beshtasheni; I₃ – Bedeni; I₄ – Kalinovka; I₅ – Velikent.

Ѳаð. I




ნანა ხახუტაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი

უძველესი რპინის მეტალურგიის ახალი პერა ჩაქვისფერის ხეობაში

ადამიანისათვის ცნობილ ლითონთა შორის ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი მეტალი, რომელმაც კაცობრიობის ჯულტურის წინსვლაში ისეთივე როლი ითამაშა, როგორც რკინამ. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი დაინტერესება, რასაც ამ ლითონის წარსულის გარკვევაში იჩენენ თანამედროვე მეცნიერები. აღსანიშნავია, რომ დღესაც მეცნიერული დავისა და მსჯელობის საგანია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გაეცნო ადამიანი თავდაპირველად რკინას, სად, როდის ან ვინ დაეუფლა მას პირველად.

სადგომი (მიწის სამუშაოების გამო იგი ნაწილობრივ განადგურებული აღმოჩნდა). ამ აღმოჩენამ წარმოშვა ვარაუდი ჩაქვისწყლის ხეობაში რკინის სახელოსნოების არსებობის თაობაზე. საყურადღებო გარემოებაა, რომ სადაც კი ზღვის ტერასაზე ამგვარი ნამოსახლარებია დადასტურებული, მახლობლად, ზღვის ნაპირიდან მეტნაკლები დაშორებით, დასტურდება რკინის საწარმო კერები: გონიოს დიუნური დასახლების უკან – ჭოროხ-ჭარნალის საწარმოო კერა; ქობულეთ-ფიჭვნარის დიუნური დასახლების უკან –



სურ. 1

ბოლო 40 წლის მანძილზე ქართველმა არქეოლოგებმა სერიოზული კვლევა აწარმოეს ადრეული ხანის რკინის საწარმოო კერების შესწავლის პროგრამით (ი. გძელიშვილი, რ. აბრამიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, თ. მიქელაძე, ალ. რამიშვილი, გ. ინანიშვილი და სხვები). ბათუმის მიდამოებიდან დიდი კავკასიონის მისადგომებამდე მათ დააფიქსირეს რკინის წარმოების უნიკალური სამთო-მეტალურგიული ცენტრი, რომელშიც 4 საწარმოო კერა იყო გაერთიანებული და რომელიც 400-მდე არქეოლოგიურ ობიექტს მიითვლიდა. ეს კერები წარმოდგენილია მდინარეების – ჭოროხის, ჩოლოქ-ოჩხამურის, სუფსა-გუბაზულის და ხობ-ოჩხომურის ხეობების მთისწინა ზოლში [17, გვ. 41-178]. 2000 წელს მათ შეემატათ კიდევ ერთი, ახალი, ჩაქვისწყლის ხეობის რკინის საწარმოო კერა.

ჩაქვის ტერიტორიის სანაპირო ზოლის შესწავლა ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაიწყო [6, გვ. 119-132]. აქ გამოვლინდა მაგნეტიტური ქვიშების მოპოვებასთან დაკავშირებული დიუნური

ნოლოქ-ოჩხამურის საწარმოო კერა; ურეკის დიუნური დასახლების უკან – სუფსა-გუბაზულის საწარმოო კერა [1, გვ. 42-46; 7, გვ. 104-111].

ძეგლი დაბა ჩაქვის სოფ. ჩაისუბნის ტერიტორიაზეა დაცული და ზღვის სანაპიროდან დაახლოებით 3,5-4 კმ-ით არის დაშორებული. ის განთავსებულია ჩაის პლანტაციით დაფარულ ბორცვზე, აღმოსავლეთის ექსპოზიციის ფერდობზე. ფერდობის ის მონაკვეთი, სადაც ხელოსნებს წარმოების ნარჩენები დაუყრიათ (წილები, ქურის შელესილობის ნატეხები და სხვ.), ნაწილობრივ თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. როგორც ცნობილია, ამის ძირითადი მიზეზია წილებში ლითონის (რკინის) მაღალი შემცველობა, რასაც ლითონის გამოდნობის ტექნოლოგიის განუვითარებლობით ხსნან. კერძოდ, ცივი ბერვის ქურებში, როგორც ცნობილია, შეუძლებელია ფუჭი ქანისა და ლითონის სრული გამორიშორება [14, გვ. 38-40]. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ასეთი სურათი დასტურდება არა მარტო აღნიშნულ ძეგლზე, არამედ ჭოროხის, ჩო-

ლოქ-ოჩხომურის, სუფსა-გუბაზეულის და ხობოჩხამურის ხეობებში წარმოდგენილ რკინის საწარმოო ყველა ობიექტზე [11, გვ. 19-25; 12, გვ. 17-34; 9, გვ. 199-202].

შესასწავლად შერჩეული მიკრორაიონი განლაგებულია აჭარის მთაგრეხილის მთისწინეთის სუბტროპიკულ ზოლში. აღნიშნული ტერიტორია დასერილია ხევების ხშირი ქსელით. ამ რაიონში წარმოდგენილია წითელი მიწების ძლიერი საფარი, რომელიც შექმნილია შუა ეოცენური ხანის ტუფოგენური ქანების გამოქარვა-დაშლის შედეგად. წითელი თიხების შრე, თითქმის ყველგან, გადახურულია დელუფიური წარმოშობის მოყვითალო თიხებით [14, გვ. 38-39].

გასათხრელ ობიექტს ჩრდილოეთის მხრიდან ჩამოუდის მდინარე ზღვიწყლიაბირი (როგორც ჩანს, მდინარის სახელის ეტიმოლოგია მომდინარეობს ზღვის წყლის პირისაგან), რომელიც დასავლეთით უერთდება მდ. მეჩხერს, შემდეგ ორივენი – ჩაქვისწყალს, რომელიც ზღვაში ჩაედინება.

გასათხრელი უბის ფართობმა 400 კვ მ შეადგინა. ნიადაგი აქ მოყვითალო თიხნარია. აღნიშნული ნიადაგები, როგორც წესი, ადგილ-ადგილ წარმოდგენილია ცეცხლგამძლე და მნელადლლობადი დელუფიური თიხებით (მათი დნობის ტემპერატურა ცელსიუსით 1450°-მდე). ნიშანდობლებია, რომ ცეცხლგამძლე თიხით მდიდარი ზოლი დიდი და მცირე კავკასიონის სუბტროპიკულ მთისწინეთს მთელ სიგრძეზე მოყვება [17, გვ. 192-194]. ასეთი თიხების მარაგი დასტურდება სოფ. ჩაისუბის ტერიტორიაზეც. როგორც ცნობილია, ცეცხლგამძლე და მნელადლლობადი თიხების საბადოთა ქონება ერთი განმსაზღვრელი პირობათაგანია მოცუმულ რეგიონში ლითონდამუშავებული წარმოების ორგანიზაციისათვის. საამისო მეორე პირობას წარმოადგენს ლითონის წარმოებისათვის აუცილებელი ე.წ. „მაგარი“ ჯიშის საწვავის ქონება [17, გვ. 189-192]. ამ მხრივაც, აღნიშნულ რეგიონში მეტად ხელსაყრდენი პირობები არსებობდა. აქ წარმოდგენილია მერქნის ისეთი ჯიშის, როგორიცაა წაბლი, მუხა, წყავი, ბზა, კაკალი და ა.შ.

რკინისსადნობი სახელოსნო, რომელსაც პირობითად „ჩაისუბანი I“ უწოდეთ, არსებითად დაზიანებული არ აღმოჩნდა. სახელოსნოს ნანგრევების გათხრა, როგორც წესი, გადანაყრის გათხრით დაიწყო, სადაც კულტურული ფენის სიღრმე დაახლოებით 40-50 სმ-ს აღწევდა. გადანაყრში ამოღებულ იქნა წილებისა და ქურის შელესილობის ფრაგმენტები, საბერვლის საქშენი მიღებისა და წინაანტიკური ხანის კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. წილები ღია ნაცრის-ფერი შეფერილობისაა, რაც ი. გმელიშვილისა და დ. ხახუტაიშვილის დაკვირვებით, მათი სიძვლის მანიშნებელია [17, გვ. 41-178; 14] (ტაბ. I).

შესასწავლი უბის ჩრდილო-დასალევი სექტორის მე-II კვადრატში, პირველი ბარის პირის აღების შემდეგ, გამოიკვეთა მოწითალო შეფერილობის მოედანი, რომელიც სამხრეთ-ჩრდილოეთი მიმართულებითაა დამხრობილი და მე-12

კვადრატშიც გრძელდება. როგორც შემდგომ გამოიკვეთა, აქ საქმე გვქონდა სპეციალურ, ქვის შედგენილ მაგიდასთან, ე.წ. „საუეპელასთან“, რომელიც ქურის მახლობლად იმართებოდა და რომელზეც ხდებოდა ქურიდან ამოღებული რკინის გუნდის დამუშავება, რათა იგი გაენთავის უფლებინათ დნობის პროცესში მიტმასნილი მინარევებისაგან. მოედანი პერიმეტრის გარშემო შემთხვევლით იყო საშუალო ზომის ფლეთილი ქვებით, ხოლო შიდა სივრცის იატაკი, როგორც ჩანს, ბრტყელი ქვებითა და საშუალო სისქის კერამიკის (შესაძლებელია შელესილობის ხარჩენები) ფრაგმენტებით მოზაიკურად იყო მოკირწყლული. გავარვარებულ წილასთან შეხების გამო მოედნის შიგნით თიხა წითლადაა შეფერილი.

„საუეპელას“ სამხრეთით, დაახლ. 150 სმ-ის მანძილზე, ფერდის ქვედა დონეზე, ერთმანეთისაგან 50 სმ-ის დაშორებით აღმოჩნდა ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ორი რკინისსადნობი ქურა.

რკინისსადნობი ქურა „ჩაისუბანი I-1“ გამოვლინდა ჩრდილო-დასავლეთ სექტორის I-კვადრატში. ქურა დიდი ზომის მოსწორებულბრიანი ქვებისაგანაა ნაგები. მისი კონსტრუქცია ტიპიურია, წერტილზე მდგარი წაკვეთილი კონუსის ფორმის. ქვების ზედა წყობა შემორჩენილია სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ მონაკვეთებში. ქურის ორი მესამედი ამოღვანილია ქვებით, ხოლო ძირისაკენ კედლები თიხითაა შელესილი. ქურის ძირს, რომელიც ასევე თიხითაა შელესილი, ნახევარსფერული ფორმა აქვს. ქურა ჩაჭრილია თიხნარ გრუნტში. მაღალი ტემპერატურის (1200°-1600°) ზემოქმედების შედეგად, ქურის კედლების მიმდებარე თიხები 10-15 სმ სისქეზე წითლადადა გამომწვარი. ასეთი სურათი დასტურდება უკლებლივ ყველა სახელოსნოს გათხრის დროს, როგორც ჩოლოქის, ისე ჭოროხის და სხვა საწარმოო კერებში. ქურის შიდა სივრცე ამოვსებული იყო ქურის კედლების მოსაპირკეთებელი ქვებით, ქურის შელესილობის ფრაგმენტებით, აგრეთვე ნაცრით, ნახშირის ფხვილითა და თიხით. ქურაში სხვა ჩანაყარის გვერდით გამოვლინდა საქშენი მიღის ერთადერთი ფრაგმენტი. მოუხედავად იმისა, რომ ქურის შიდა სივრცეში წარმოდგენილი ნაშირი „დამწვარი“ თიხის ნაწილაკებთან იყო შერეული, ქურის 50 და 85 სმ-ის სიღრმეებიდან ავილეთ ნიმუში რადიონახშირბადის მეთოდით დასათარიღებლად.

რკინისსადნობი ქურა „ჩაისუბანი I-1“-ის გადარჩენილი ნაწილის ზომებია: სიმაღლე – 118 სმ, სიგანე ზედა დონეში – 60 სმ, შუა დონეში – 36 სმ, ქვედა დონეში – 30 სმ (ტაბ. I₂).

რკინისსადნობი ქურა „ჩაისუბანი I-2“ გამოვლინდა პირველი ქურის ჩრდილოეთით და თავს-დება ჩრდილო-დასავლეთ სექტორის 1 და 2 კვადრატებში. კონსტრუქციულად იგი პირველი ქურის მსგავსია და ჩაბრუნებული პირამიდის ფრამა აქვს. შემორჩენილია ქვის წყობის სამი რიგი, აქედან მე-2 და მე-3 რიგი უკეთაა დაცული. კედლები ნაგებია მეტ-ნაკლებად მოსწო-

რებული ფლეთილი ქვებით. ქვის სამოსელის გადარჩენილი ქვედა რიგი და ქურის ძირი თიხითაა შელესილი. ქურის შიდა ზედაპირი ძლიერი ცეცხლის ზემოქმედების შედეგად წითლად და შავადაა შეფერილი. ქურის პრეპარაციის პროცესში, მის შიდა სივრცეში, კედლის შელესილობის ფრაგმენტთან ერთად დაფიქსირდა დიდი და საშუალო ზომის წილების ფრაგმენტები. შეიძლება ოქვას, რომ ქურა მთლიანად წილებით იყო შევსებული და მისი გამოყენება აღარ ხდებოდა. უნდა ვიფაქროთ, რომ ქურამ „ჩაისუბანი I-2“ უუნქციონირება უფრო აღრე შეწყვიტა, ვიდრე ქურამ „ჩაისუბანი I-1“.

ქურა „ჩაისუბანი I-2“-ის გადარჩენილი ნაწილის სიმაღლეა 110 სმ, ხოლო სიგანე მიწის ზედაპირზე – 75 სმ; შუა დონეზე – 48 სმ; ქვედა დონეზე – 48 სმ (ტაბ. I₂).

გათხრების შედეგად მოპოვებული კერამიკული ნაკეთობები, მართალია, მცირე რაოდენობისაა, მაგრამ ისინი ქურა-სახელოსნოებისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიმუშებს წარმოადგენენ. უპირველეს ყოვლისა გამოვყოფდით საქშენი მილების ფრაგმენტებს. ვ ნიმუში ქურის მომსახურების ხაზის გარე მონაკვეთის დეტალი უნდა იყოს. მათ ზედაპირზე შენარჩუნებული აქვთ მოყავისფრო ფერი, ხოლო შიდა მხარე, კვამლის ზემოქმედების შედეგად, შავადა შეფერილი. საქშენი მილის (შტვირის) ერთი ფრაგმენტი უეჭველად ქურის სივრცის დეტალია, რადგან მისი ზედაპირი წილის ნაღვენითია დაფარული (ტაბ. II).

გადანაყარში წარმოდგენილი იყო ფართო კანელურებით შემკული დიდი ზომის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი (ტაბ. II₃). ჭურჭლი დამზადებულია კოლხური სამეთუნეო ნაწარმისათვის დამახასიათებელი თიხით, რომელიც შეიცავს ქარსის მსხვილ ნაწილაკებს და „გამჭლევებისათვის“ დამატებული აქვს მაგნეტიტური სილა [10, გვ. 79-92]. ასეთი სახის ჭურჭლი ფრიად ნიშანდობლივია ქურა-სახელოსნოების თანხმლები კერამიკული მასალისათვის. ამგვარი ნაწარმი, როგორც ცნობილია, აღმოჩენილი იყო რკინისადნობი სახელოსნოების – „ცეცხლაურის“, „ლეღვას“, „ჭარნალის“, „ასებანას“ და ა.შ. – გათხრების დროსაც [17, გვ. 41-178], აგრეთვე ციხისძირის ნამოსახლარის წინაანტიკური ხანის ფენაში (ძვ.წ. IX ს.) [2, გვ. 102-154], „ნამჭედურის“ ნამოსახლარის III (ძვ.წ. X-VII სს.) და IV ფენებში (ძვ.წ. XI-X ს.) [15, გვ. 13-18; 16, გვ. 49], სოხუმის მთის ქვედა ფენაში [4, გვ. 49-50], გაღმა ყულევის ნამოსახლარის IV ფენაში [5, გვ. 32-33], დიუხურ სამოსახლოებზე ურეკში, ფიჭვნარსა და ბობიყვათში. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი საქმაოდ დიდია – ძვ.წ. XI-VII საუკუნეები. ამ ჭურჭლის თანდათანობითი ევოლუცია კარგად ჩანს ნამჭედურის მაგალითზე. პირველად ის „ნამჭედური“ IV-ის ფენაში ჩნდება, ხოლო „ნამჭედური“ III-ის ჭურიოდში ვრცელდება კოლხოს მთელზღვისპირა ზოლში. მისი არეალი სამხრეთი

ჭოროხამდე აღწევს, ხოლო ჩრდილოეთით სოხუმის მიდამოებსაც მითვლის.

გადანაყარში ამოღებულ სამეთუნეო ნაწარმში ყურადღებას იქცევს თიხის ჭურჭლითა რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებიც წინაანტიკური ხანის ეკუთვნის. მათ შორის წარმოდგენილია დერგის პირველის, ხუფის ნიმუშები. გამოვყოფით დერგის ფრაგმენტს (ტაბ. II₂). მას აქვს გარეთ გადაშლილი, ოთხუთხაგანგვეთოანი პირისგვირგვინი, რომელსაც გარეთა კიდე შემკული აქვს დაკბილული იარაღით შესრულებული ღრმა ჭდებით. ჭურჭლი დამზადებულია მორგვზე, სილანარევი თიხისაგან, რომელშიც მაგნეტიტისა და ქარსის მინარევებიცაა. მსგავსი ჭურჭლი დადასტურებულია ბათუმის ციხის (ძვ.წ. VIII-VII სს.) წინაანტიკური ხანის ფენაში [3, გვ. 59-66], ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე [8, გვ. 21-33], ნამოსახლარ „ნამჭედურის“ III და IV ფენებში [15, გვ. 13-18].

ქვის ინვენტარიდან გამოვყოფდით რიყის ქვისაგან დამზადებულ სანაყის ნიმუშებს, აგრეთვე ქვის უროებსა და სასრუსებს (ტაბ. III). ისინი ძირითადად ფლესის ანუ ღნობის ხელშემწყობი ნედლეულის დასანაწევრებლად გამოიყენებოდა. ერთ-ერთი სანაყის ფრაგმენტებზე სამი ღრუიკითხება (მეორეზე – ერთი). უნდა აღინიშნოს, რომ მდ. ოჩხომურის ორივე ნაპირას მიკვლეული რკინის სადნობი ქურების (ე.წ. ჭოლას ჯგუფი) გათხრებამდე მსგავსი სანაყები არ იყო აღმოჩენილი. დ. ხახუტაშვილი თავის დროზე თვლიდა, რომ ამ სახაფებს ძაღნის საფეხვავად იყენებდნენ [13, გვ. 3-38], მაგრამ მოგვიანებით, როდესაც მაგნეტიტზე მომუშავე ქურების გათხრების დროსაც გამოჩნდა მსგავსი სანაყი („ასკანა IV“, „მზიანი I“, „მზიანი II“, „მშვიდობაური I“, „ნაგომარი I“ რკინისსადნობი სახელოსნოებზე), ჩამოყალიბდა აზრი, რომ ისინი ღნობის დამაჩქრებელი, ანუ ხელშემწყობი ფლესების დასაფეხვავად უნდა გამოიყენებინათ, რაც უფრო დამაკერებელია, ვინაიდან სანაყითა ღრმულების დიამეტრი უფრო წვრილი ფრაქციის მისაღებად იქნებოდა ვარგისი, რაც ფლესებისათვის უფრო მიზანშეწონილი ჩანს. მეორე ნიმუშს ორივე მხარე სამუშაო ჰქონდა, ვინაიდან ორივე მხარეზე იკითხება საშუალო ზომის ფლოსოები.

ჩვენ მიერ გათხრილი რკინისსადნობი სახელოსნო „ჩაისუბანი I“ კერამიკული მასალის მიხედვით ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით თარიღდება. ქურების ასაკის დადგენისათვის დამატებით მასალას მოგვცემს რკინვე ქურიდან აღებული ნახშირის სინჯების ანალიზი, რომელიც ჩვენი გერმანელი კოლხების დახმარებით გაკეთდება იქნისა და ბოხუმის უნივერსიტეტის ლაბორატორიებში.

რკინისსადნობი სახელოსნოს გათხრებმა ჩაქვისწყლის ხეობაში გააფართოვა ადრერკინის ხანაში რკინის მეტალურგიით დასაქმებული ძველი კოლხების მოღვაწეობის არეალი. ახალი აღმოჩენების შუქზე მეტ დამაჯერებლობას იძენს დ. ხახუტაშვილის მოსაზრება, რომ ძველ კოლხეთს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა რკინის ადრეული მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების საქმეში; რომ რკინის წარმოების

სწრაფი აღმავლობა კოლხეთში განპირობებული იყო როგორც ადგილობრივ მეურნეობაში რკინაზე მზარდი მოთხოვნილებით, ასევე საგარეო ბაზარზე მოთხოვნილების სტაბილურობით.

N. Khakhutaishvili, G. Tavamaishvili

ONE MORE CENTRE OF ANCIENT IRON METALLURGY IN CHAQVISTSQALI BASIN

Summary

One more centre of ancient Colchian iron metallurgy has been brought to light by archaeological excavations carried out on the territory of the village of Chaisubani (Chaqvistsqali basin).

Two iron foundries - "Chaisubani I" and "Chaisubani II" were investigated here in 2000. The following archaeological material has been obtained: furnaces for smelting iron; stone table-anvils designed for bloom processing, areas for disposal of waste products, clay nozzles of blast bellows, stone mortars to crush fluxes, pottery of Colchian type, etc.

On the grounds of pottery finds, the foundries are datable to the 10th-8th cent. B.C.

ლიტერატურა

1. თავამაიშვილი გ. არქეოლოგიური გათხები ბობოვათის ქვიშაზვინულებზე. – სდსბ, XVI, 1988, გვ. 42-46.

2. ინაიშვილი ა. პეტრა-ციხისძირის 1962-1965 წლების არქეოლოგიური გათხების შედეგები. – სდსბ, IV, 1974, გვ. 102-154.

3. კანიძე ა., ხახუტაიშვილი დ. მასალები ბათუმის ძეგლი ისტორიისათვის. – სდსბ, XVIII, გვ. 59-66.

4. კალანდაძე ა. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი, 1954.

5. მიქელაძე თ., ფხაგაძე გ., ბარამიძე გ., ლორთქიფანიძე გ., მუსხელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები. – საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები 1973 წელს, თბ., 1974, გვ. 32-33.

6. რამიშვილი ა. ზღვისპირა ზოლის ძეგლი ნამოსახლარები ჩაქვის რაიონში (1960 წლის არქეოლოგიური დაზვერვების მასალები). – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, III, 1964, გვ. 119-132.

7. რამიშვილი ა. ფიჭვნარის ზღვისპირა სადგომების დათარიღებისათვის. – მაცნე, № 2, გვ. 104-111.

8. ჩაგლევიშვილი ი. არქეოლოგიური გათხები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983 წელს. – სდსბ, XVI, 1987, გვ. 21-33.

9. ხახუტაიშვილი დ. რკინის წარმოების ძეგლკოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხები მდ. ჩოლოქის ხეობაში 1971 წელს. – მაცნე, № 4, 1974, გვ. 199-202.

10. ხახუტაიშვილი დ. რკინის წარმოების ძეგლკოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხები ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობაში 1970 წელს (რკინის სადნობი სახელოსნო „ცეცხლაური I“). – სდსბ, V, 1975, გვ. 79-92.

11. ხახუტაიშვილი დ. რკინის წარმოების ძეგლკოლხური კერა სუფსა-გუბაზეულის ხეობაში. – სდსბ, VI, 1977, გვ. 19-25.

12. ხახუტაიშვილი დ. მასალები ძეგლკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის. – სდსბ, VII, 1978, გვ. 17-34.

13. ხახუტაიშვილი დ. რკინის წარმოების ძეგლკოლხური კერა ხობ-ოჩხომურის ხეობაში. – სდსბ, IX, 1980, გვ. 3-38.

14. გველიშვილი ი. ა. Железоплавильное дело в древней Грузии. Тб., 1964.

15. მიკელაძე თ. კ., ხახუტაიშვილი დ. ა. Древнеколхидское поселение Намчедури. Тб., 1985.

16. მიკელაძე თ. კ. Исследования по истории древнего населения Колхида и Юго-Восточного Причерноморья. Тб., 1974.

17. ხახუტაიშვილი დ. ა. Производство железа в древней Колхиде. Тб., 1987.

სურათისა და ტაბულების აღწერილობა

სურ. 1 – აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რკინის წარმოების უძველესი კერების გავრცელების რეაცია.

ტაბ. I – 1. ჩაქვის ტერიტორიაზე გამოვლენილი რკინისსადნობი სახელოსნოს სიტუაციური გეგმა და ჭრილი; 2.1. რკინისსადნობი ჭურა „ჩაქვის 1-1“; 2.2. რკინისსადნობი ჭურა „ჩაქვის 1-2“.

ტაბ. II – 1. საქშენი მიღების ფრაგმენტები; 2-4. თიხის ჭურჭლს ფრაგმენტები.

ტაბ. III – სანაყები, ქვის უროები, სასრესები.

Description of the Figure and Plates


Fig. I - Map showing distribution of the ancient metallurgic centres in the eastern Black Sea littoral.

Pl. I - 1. Situation plan and section of the iron foundry discovered on the territory of Chaisubani; 2.1. furnaces for smelting iron - "Chaisubani I-1"; 2.2. furnaces for smelting iron - "Chaisubani I-2".






Pl. II - 1. Fragments of blast bellows; 2-4. Fragments of clay ware.

Pl. III - mortars, stone hammers, grinders.

♂♂δ. I



1




2

2.1




2.2

0 20 40 60 80 100 μm

გაბ. II



გაბ. III



ლამარა სახაროვა

შრომის იარაღი პრლექტ და ყობანერ პულტერები

კოლხური და ყობანური კულტურებისათვის დამახასიათებელი, შრომასთან დაკავშირებული იარაღი კარგად ესადაგება მეურნეობის დარღობრივ პროცესებს – მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მეთუნეობას, ხითხურობას, მეტალურგიულ წარმოებას, მელითონეობას, ყოფით საქმიანობას, მაგრამ ამავე დროს ასახავს განვითარების დონეს და ამ იარაღთა წარმომავლობას.

ცნობილია, რომ ძევლი კოლხების მეურნეობის ერთ-ერთ ეკონომიკურ საფუძველს მიწათმოქმედება წარმოადგენდა, რომელსაც ჯერ კიდევ ნეოლითურ ხანაში ჩაეყარა საფუძველი. ამას ხელი შეუწყო ქვეყნის ხელსაყრელმა ეკოლოგიურმა გარემომ, ხორბლეულის უძველესი ენდემური ჯიშების არსებობამ და მაღალი დონის ლითონის იარაღის წარმოებამ, რომელიც მძლავრ ტექნიკურ ბაზას ქმნიდა მიწის მეურნეობისათვის. ბუნების მრავალმხრივობამ მიწის მეურნეობის ნაირსახეობა გამოიწვია, ამ უკანასკნელმა კი – მეურნეობის შესაბამის იარაღთა მრავალფეროვნება. კოლხური კულტურის ნივთიერი ძეგლები საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ მიწის მეურნეობისათვის საჭირო იარაღის წარმოქმნა-განვითარებას, რაც ვერ ხერხდება ყობანურ კულტურაში.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველო ხა-სიათლება ნესტიანი, სუბტროპიკული ჰავით. დიდმა ტენიანობამ ხშირი ტყეების არსებობა განაპირობა, რასაც ერთვოდა დიდი ჭაობიანობა კოლხეთის დაბლობში. ასეთ პირობებში კოლხთა მიწის მეურნეობა ტყისა და ჭაობის ტიპის მეურნეობად ყალიბდებოდა. საჭირო იყო მიწის განთავისუფლება ტყისაგან და ჭაობისაგან, რაც შრომის რთულ პროცესს გულისხმობდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა ამ პროცესის გონივრული-პრაქტიკული გადაწყვეტილება ხელოვნური მიწაზვინულებისა, მდინარეული შლამისა და სადრენაჟე არხების გამოყენებით და, რაც მთავარია, შრომის თანმიმდევრობით [18, გვ. 204]. არქეოლოგიურმა გათხრებმა შემოგვინახა ის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იარაღი, რომელიც ამ პროცესს ემსახურებოდა. ნიადაგის ტყისაგან გასაწმენდად იხმარებოდა ცულები, ბრტყელი ცულები, სეგმენტები, წალდები, ცულსაკაფები და თოხები.

თოხები სამიწათმოქმედო იარაღის ყველაზე მრავალრიცხოვანი არტეფაქტია. ბრინჯაოს თოხები უკვე ორ ასეულზე მეტია დაღასტურებული კოლხურ განძებში, საკულტო მოედნებზე და ნასახლარებზე. სატარე ხვრელი თიოქმის ყველას ერთნაირი აქვს – მრგვალი, შიგნით მილისებურად მეტ-ნაკლებად წაზიდული. ტანის

მოყვანილობის მიხედვით თოხები მრავალგვარია – ფართო, მომრგვალებულპირიანი (ფიჩორი, ანაკლია, ისპაანი); ფართო, ფრთებივით განზე გაშლილი პირით, ოდნავ მოხრილი ან სწორი (გუური, შრომა, ურეკი და სხვ.); არის სამკუთხა ფორმის თოხები (ურეკი), რომბისებური და ენასავით წაგრძელებულპირიანი (სამეგრელო, სვანეთი) და ბოლოს ვიწრო, შვეტილტანაანი, წელში მოხრილი თოხები. ჩვეულებრივ, თოხები სპილენძისაგან არის ჩამოსხმული ყალიბში. ზოგი მათგანის ქიმიურ შედგენილობაში მცირე რაოდენობის კალას უჩვენებს. კალიანია უმთავრესად ეჩო-ქარჩისებური თოხები, რადგან მათ მეტი ფიზიკური დატვირთვა ჰქონდათ. ტიპოლოგიური მრავალფეროვნება განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სამუშაო ფუნქციით და ნიადაგის თავისებურებით. ამ თვალსაზრისით, ზოგადად თოხები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა – ფართო-პირიანებად და ვიწროპირიანებად [3, გვ. 160].

ახოს აღების შემდეგ ნიადაგი მუშავდებოდა თოხით და სახვნელით. უკანასკნელი წლების გათხრებმა ხის სახვნელები დაადასტურა ფიჩორის პროტოკოლზე ფენაში და ჩოლოქისპირა ნამოსახლარის I ათასწლეულის საწყის ფენაში, ხოლო ძვ.წ. VII საუკუნიდან გავრცელებას იწყებს რენის სახნისები, რომელთაც თვისობრივად ახალი ეტაპი შექმნეს კოლხების მიწის მეურნეობაში [2, გვ. 76-78].

რამდენიმე სიტყვა ე.წ. სეგმენტურ იარაღზე. სეგმენტური იარაღი მაინცდამაინც სამიწათმოქმედო იარაღებთან გვხვდება და გვაფიქრებინებს მათ გამოყენებას მეურნეობის ერთ დარგში, კერძოდ კი მიწის მეურნეობაში. ძვ.წ. VII-VI საუკუნეები ბრინჯაო-რკინის თოხების, სეგმენტებისა და სახნისების ბუმია (ნიგვზიანი, ურეკი, ერგეტა).

„მოდგომილი ყანის მოსაწევად“ იხმარებოდა როგორც ლითონის ნამგალი, ასევე ცხოველის ყბაში ჩაწყობილი ქაჯის დაკბილულჩასართებთანი ნამგალიც. კოლხური კულტურა ძირითადად უყუნწო ნამგლებით ხასიათდება. სატარეზე მათ ჰქონდათ ერთი ან ორი სამანჭვლე, რომელზედაც ტარი მაგრდებოდა [3, გვ. 167-168].

მოწეული მარცვლეული მუშავდებოდა მრავალგვარი ქვის ხელსაფქვავებით, სასრესებით და სანაებით, რომლებიც ასე მრავლადა და-დასტურებული კოლხურ ნასახლარებზე.

მოტანილი მასალა ცხადჰეოს, რომ კოლხეთში მიწის მეურნეობის მთელი სისტემა იყო შექმნილი. ამიტომ შეიძლებოდა კიდევ უფრო მეტი მასალის მოტანა, იარაღთა უფრო დიფერენცირებულად განხილვა, მაგრამ ვთვლით, რომ საკითხთან დაკავშირებით ესეც საკმარისია (ფაბ. Ia).

რა შეიძლება ითქვას ყობანური კულტურის მიწის მეურნეობაზე, რა იარაღითაა იგი წარმოდგენილი?

გარკვეული ეკოლოგიური პირობების გამო, ცხადია, მიწათმოქმედება იქ ვერ ავიდოდა ისეთ დონეზე, როგორც კოლხეთში და ამას მოწმობს ის მცირე, ძუნწი არქეოლოგიური მონაცემები, რაც ყობანური კულტურიდან არის ცნობილი. მაგალითად, ხუთიოდე თოხი, კაუის ნამგლის ჩასართვი, ყუნწიანი ნამგლები და ნასახლარებზე დაფიქსირებული ხელსაფქვავები, სასრეს-სანაცები და სხვა (ტაბ. Ib). ბრინჯაოს სამი თოხი აღმოჩენილია ულუბაგანალის ნამოსახლარზე ძვ.წ. X-VIII ს. ფენაში და ეკუთვნის პირვიწრო თოხების კატეგორიას. რკინის ასეთივე თოხი აღმოჩენილია ამავე ნასახლარის ძვ.წ. VII-VI ს. სათავსოში. მეტეთე თოხის მხოლოდ ყუის ნაწილია აღმოჩენილი პიატიგორსკის მიდამოებში. როგორც ჩანს, იგი პირფართო თოხების გარიანტს ეკუთვნის, რადგან პირის მკეთრი გაგანიერება სატარე ხვრელიდანვე იწყება. ვ. კოზენკოვა თვლის, რომ თოხები არ არის დამახასიათებელი ყობანური კულტურისათვის და მიუთითებს ორი მონათესავე (კოლხური და ყობანური) კულტურის კავშირ-ურთიერთობაზე [15, გვ. 17]. ცხადია, რომ მიწათმოქმედებით ძირითადად მთისწინა ზოლი იქნებოდა დაკავებული, მაგრამ მეურნეობის წამყვანი დარგი, როგორც ჩანს, მესაქონლეობა იყო. ხორბლეულის ნაკლებობას კი, შეიძლება, კოლხეთიდან შეტანილი მარცვლეულით ივეს ბდნენ.

ყუნწიანი ნამგლები (მეტ-ნაკლებად მოკაუჭებული), რომლებიც უფრო მყარად მაგრდებოდა სატარეში (ვიდრე კოლხურ კულტურაში გავრცელებული მანგლებიანი ნამგლები), ჩვენი აზრით, იქნებ უფრო ცელისებური მოქმედების იარაღი იყო, რომლითაც ბალახს ცელავდნენ სათიბებში და საქონლისათვის ზამთრის მარაგს ამზადებდნენ. ამ აზრისაკენ გვიბიძვა იმ გარემოებამ, რომ ყუნწიანი ნამგლები დადასტურებულია სვანეთშიც, სადაც მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა მეურნეობაში. მაგრამ სვანეთშივე გვაქვს გრძელპირა თოხები და მანგლიანი ნამგლებიც, რაც კოლხურ კულტურასთან აკავშირებს მათ. მესაქონლეობის მაღალ დონეს უნდა გულისხმობდეს უამრავი ბრინჯაოსა და რკინის დანების აღმოჩენა ყობანური კულტურის გავრცელების სფეროში [12, გვ. 6; 14, გვ. 7].

მოტანილი მასალა, ჩვენი აზრით, ნათლად ასახავს მიწათმოქმედების განვითარების არათანაბარ დონეს კოლხურ და ყობანურ კულტურებში (ტაბ. I).

ხითხურობასთან დაკავშირებული იარაღები კოლხურ კულტურაში საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი და ამ დარგის მაღალ შესაძლებლობაზე მიუთითებს. ეს იარაღებია: ცული, ცულ-სატეხი (ბრტყელი ცული), ხელეჩო, ღორეჩო, სატეხი და ჯერჯერობით ერთადერთი ბრინჯაოს საორხელო დანა ლუხვა-

ნოს განძიდან, რომელიც ქართულ ეთნოგრაფიაში მიჩნეულია სახვეწ-სათლელ იარაღად [5, გვ. 32]. ე.ი. ამ დარგშიც გარკვეული სისტემა არსებობდა – იყო საპობი და სატეხი საშუალებები, შემდეგ ამოსაღებები, ამოსაჩორქნი, ღრმულების გასაკეთებელი და სახვეწ-გასასალაშინებელი იარაღები (ტაბ. IIa).

ყობანურ კულტურაშიც დამოწმებულია ცულები, ცულ-სატეხები, სატეხები (ტაბ. IIb). მაგრამ აქ არ არის ცულ-სატემა, საორხელო დანა, ხელეჩოები, წალდი, ე.ი. არ ახასიათებს ის მრავალფეროვნება იარაღისა, რაც კოლხური კულტურის ამ დარგისათვისაა დამახასიათებელი. არსებითი მნიშვნელობა აქვს რაოდენობასაც. მაგალითად ცულ-სატეხი (ბრტყელი ცული)¹ კოლხურ კულტურაში დამოწმებულია ორმოცამდე, ყობანურში კი – სულ ათიოდე, თუ არ ჩავთვლით ტრაპეციის ფორმის უშვერილებო ცულ-სატეხებს. საინტერესოა, რომ ეს ტრაპეციის ფორმის მარტივი ცულ-სატეხები ყობანურ კულტურაში თანაარსებობენ შვერილებიან (კოტებიან) ცულ-სატეხებთან ერთად, მაგალითად, ბორგუსტანის განძში [11, გვ. 12]; პიატიგორსკში, კონსტანტინოვსკაიას პლატოზე № 3 სამარხში და სერუენ-იურტში [11, გვ. 7; 12, გვ. 15]. ასეთი თანხვედრა კოლხურ კულტურაში არ დასტურდება, რადგან ტრაპეციის მსგავსი უშვერილებო ცულ-სატეხები კოლხურ სამყაროში ცნობილია ადრებრინჯაოს ხანაში (იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, შიდა ქართლი). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქვაცხელას ნასახლარის ძირა ფენაში, რომელსაც ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ, აღმოჩენილია ცულ-სატეხის ჩამოსასხმელი ქვის ფალიბიც [9, გვ. 17].

ადრებრინჯაოს შემდეგ ერთგვარი წყვეტილია, ხოლო გვანბრინჯაოს ხანაში იწყება უკვე გვერდშვერილიანი (მეტ-ნაკლებად) ცულ-სატეხების გავრცელება. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ცულ-სატეხები მორფოლოგიური თვალსაზრისით გარკვეულ მსგავსებას იჩენენ მცირე და წინა აზიურ ცულ-სატეხებთან და ეს ფაქტი არაერთხელ იქნა შენიშვნული ქართველი არქეოლოგების მიერ (ო. ჯაფარიძე, დ. ქორიძე, ლ. სახაროვა, თ. მიქელაძე). მაგრამ, რომ ცულ-სატეხება, განსაკუთრებით ჩრდილო კოლხეთში, მიიღო თავისებური, დახვეწილი ფორმა, აშკარაა. ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო კოლხური ცულის ნატიფი ფორმების ზეგავლენით. კოლხური ცულ-სატეხების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კპლევა და მიმართება მცირე და წინა აზიურ

¹ ბრტყელი ცულების არსებობა ემთხვევა ყუახვრელიანი ცულების არსებობას და ცხადია, რომ მათ ცულის ფუნქცია არ ექმნებოდა. ყველაზე მართვულად მიგვაჩნია ა. იესენის მიერ შემოთავაზებული ტერმინი – ცულ-სატეხი.

მასალებთან [17, გვ. 33-34; 21, გვ. 75-78; 8, გვ. 20-25], საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ იარაღის ამ ფორმამ კოლხეთის საშუალებით შეაღწია ყობანურ კულტურაში. ამის დასტურია ყობანი აღმოჩნდილი, ვ. კოზენკოვას მიერ III ტიპად გამოყოფილი ცულსატეხების აშკარა მსგავსება აჭარა-გურია-იმერეთში აღმოჩნდილ ცულ-სატეხებთან [15, გვ. 13]. (ტაბ. III).

რაც შეეხება კოლხურ ცულებს, ალბათ, ყველა არ იხმარებოდა სამუშაოდ, განსაკუთრებით ორნამენტირებული ცულები, რომელთაც უფრო საბრძოლო და საკულტო დანიშნულება ჰქონდათ. შრომის პროცესისათვის ძირითადად კოლხური ცულების II და III ტიპები გამოიყენებოდა. ესენია ყუადაწახნაგებული და ყუაორფერდა ცულები. ცულების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კვლევა უკვე გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ. შეგახსენებთ მხოლოდ დასკვნას, რომ კოლხური ცულის ყველა ტიპი თავისი ვარიაციებით კოლხურ სამყაროშია შექმნილი. ამის დასტურია აქ აღმოჩნდილი მისი შორეული, თუ უშუალო პროტოტიპები. მაშასადამე კოლხური ცულების გენეტიკა და ევოლუციური განვითარებაც მხოლოდ კოლხეთში იყითხება. აღნიშნულის თვალსაზრისით ნიშანდობლივია: ძირითად მორფოლოგიურ ნიშანთა და დამზადების ტექნიკურ საშუალებათა ერთგვარობა, ყალიბების დადასტურება; უამრავი შემოქმედებითი ვარიაციები; საერთოდ კოლხური ბრინჯაოსათვის დამახასიათებელი შემკბის „გრაფიკული“ სტილი და ბოლოს კოლხური ცულის ფორმის გარდასახვა რკინის ცულებში, ე.ი. ამ ფორმის ტრადიციად ქცევა [6, გვ. 34].

ამრიგად, კოლხურ კულტურაში გავრცელებული ხითხურობის იარაღი თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით აშკარად ჭარბობს ყობანურ კულტურაში გავრცელებულ მსგავს იარაღს და მიუთითებს ამ დარგის განვითარების უპირატესობაზე.

რომ არსებობდა მტკრელი, სახარატო იარაღი, ამის დასტური უნდა იყოს ლითონის ჭურჭლის წარმოება, რომელიც ლითონწარმოების კონკრეტულ დარგს გულისხმობდა. კოლხურ და ყობანურ კულტურებში დადასტურებულია ლითონის შემდეგი ჭურჭლი – ჯამები, თასები, ტოლჩები, ქვაბ-ქოთნები, ქვაბები და ვაზები. რაოდენობრივი თვალსაზრისით ეს ჭურჭლი აშკარა უპირატესობით არის წარმოდგენილი კოლხურ კულტურაში, თუ, რა თქმა უნდა, ბრილისა და თლიას სამაროვნებს ყობანს არ მივაკუთვნებთ. არადა ამ აზრის დამკვიდრებას აშკარად ცდილობენ ვ. კოზენკოვა და ბ. ტეხოვი, მაგრამ ეს სხვა თემაა. ჯამ-თასების გარდა, რომლებიც ერთი ფურცლისაგან იკვერებოდა, ლითონის ჭურჭლის გარკვეული ფორმები (ქვაბ-ქოთნები, ტოლჩები, ვაზები) იქმნებოდა მანჭვლების საშუალებით. ასეთი ჭურჭლის დამზადება მეტად რთულსა და მაღალგანვითარებულ პროცესს გულისხმობდა, რაც ნათლად აქვე აღწერილი ბ. კუფტინს [17,

გვ. 35]. ეს პროცესი იმის მანიშნებელია, თუ შრომის რამდენ იარაღს იყენებდნენ ამ დროს – საჭრეთელს, ჩაქუჩს, ყალიბს და სხვ.

კოლხური ბრინჯაოს ჭურჭლის ჩამოყალიბებაზე, როგორც არაერთხელ, სრულიად სამართლიანად იქნა აღნიშნული, დიდი გავლენა იქონია ადგილობრივმა კერამიკულმა ფორმებმა და დეკორატიულმა მოტივებმა (ბ. კუფტინი, ო. ჯაფარიძე, გ. გობეჯიშვილი, ო. ლამბაშიძე, ე. გოგაძე, ლ. სახაროვა), რომლებიც დროისა და მოდის მოთხოვნილებით სხვადასხვა ვარიანტებში ისატებოდა. გავიხსენოთ ნაოხვამუს, ნოსირის III-II ფენების კერამიკა; დიხა-გუძუბას ვაზა (შეადარეთ ბრილის ვაზას) და სხვა უფრო გვიანდელი მასალები. ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბრინჯაოს ჭურჭლითა გენეტიკური კავშირი ადგილობრივ კოლხურ კერამიკულ ფორმებთან მტკიცე საფუძველია მათი კოლხურობის სამტკიცებლად [4, გვ. 46-48]. რ. აბრამიშვილი ეთნიკურ ატრიბუციასაც კი ანიჭებს ზოომორფულ, დაცემეტილ ყურებს, რაც ძალიან საინტერესოა აღნიშნულის თვალსაზრისით.

ბრინჯაოს ჭურჭლიმა გავრცელება ჰპოვა, ყობანურ კულტურაში, განსაკუთრებით ყაბარდისა და ჩრდ. ოსეთში. აქ გავრცელებულია როგორც ტოლჩები, ასევე ქვაბ-ქოთნები, თასები და ვაზები. ა. იესენი [10, გვ. 43], ბ. პიოტროვსკი [19, გვ. 55], ბ. კუფტინი [17, გვ. 68-69] და ე. კრუპნოვი [16, გვ. 29-30] აღნიშნულ ბრინჯაოს ჭურჭლითა წარმომავლობას ზოგადად კავკასიას უკავშირებენ. მაგრამ ქართველი არქეოლოგები, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ითვალისწინებენ რა შეგავსი კერამიკული ფორმებისა და დეკორის ადრეულობას და შემდგომ თანადროულობასაც, მხარს უჭერენ მოსაზრებას მათი ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ. მართლაც, ფორმა და განსაკუთრებით ზოომორფული ყურები ყობანურში ვერ შეიქმნებოდა, რადგან იქ ამის საფუძველი არ არსებობდა.

ამრიგად, ყობანურ კულტურაში დადასტურებული ზოომორფულყურიანი ქვაბ-ქოთნები და ტოლჩები კოლხურ კულტურასთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის შედეგია.

მეთუნეობაშიც განვითარების განსხვავებული დონეა. მაშინ როცა კოლხური კერამიკა მორგვზეა დამზადებული, ყობანური კერამიკა ხელითაა ნაძერწი.

და ბოლოს, რამდენიმე სიტყვა სამთამადნომეტალურგიული და ლითონწარმოებაზე, რომელიც წარმოადგენდა მძლავრ ბაზას ზემოთ აღნიშნული მრავალფეროვანი ლითონის იარაღის დამზადებისათვის. გასულ წლებში ჩატარებულმა კვლევა-მიებამ დაადასტურა სამთამადნო წარმოების უძველესი გამონამუშევრების – მაღაროების არსებობა რაჭა-ლეჩხუმში, აფხაზეთში, სვანეთსა და ჭოროხის აუზში [1, გვ. 52]. როგორც ჩანს, ითხრებოდა სპილენძის, ანთიმონის, დარიშხანის მანგულები და სხვა მინერალები. აღწერილია ის შესაძლებლობები, თუ როგორ

გამოჰქონდათ მაღნეული მაღაროებიდან. აღმოჩენილია საკმაოდ მრავალფეროვანი, საგარაულო იარაღი მაღნის თხრისა და ადგილზე დამუშავებისათვის. ასეთ იარაღებად მასწავლით ქვის უროები, სატეხები, როდინები, სახეები, ხის გობები და სხვ. რაჭის ერთ-ერთი მაღაროს კედელზე შერჩენილია ლითონის სატეხის პირის კვალიანაბეჭდი [1, გვ. 55]. დასაშვებად მიგვაჩნია მესხეთსა და გურია-აჭარაში გავრცელებული ცულების ერთი სახეობის გამოყენება მეტალურგიულ წარმოებაში. მხედველობაშია ჩვენ მიერ ცალკე ჯგუფად გამოყოფილი რიგი ცულებისა, რომელთაც ახასიათებთ მარაოსებურად გაშლილი პირი, ჩაქუჩისებურად გამოყვანილი, დაბრტყელებული ყუა და დაბალი, სწორი ტანი [7, გვ. 171].

მელიოთნეობის ამსახველია სახელოსნოები და მასთან დაფიქსირებული გამდნარი ლითონის გაძმოსასხმელი ციცხვები, სანაყები, თიხის ტიგელების ფრაგმენტები, წილები, ზოდები და, რაც მთავარია, სხვადასხვა იარაღის ჩამოსასხმელი ყალიბები და მისი ფრაგმენტები. ეს სახელოსნოები განთავსებული იყო როგორც საბაბოებთან, ასევე მთისწინა ზოლში და ბარში ნასახლარებთან ახლოს. ასეთი სახელოსნოები დაფიქსირებულია რაჭა-ლეჩხუმ-სვენეთში, აფხაზეთში, ცენტრალურ კოლხეთში, აჭარა-გურაში და სხვა.

ყობანური კულტურის გავრცელების სფეროში სპილენძის და სხვა მაღნეულის გამოსავლები ცნობილია, მაგრამ ჯერჯერობით არ არის მიკვლეული ძველი გამონამუშევარი-მაღაროები. ლითონწარმოების სახელოსნოები დაფიქსირებულია ყაბარდოში, დიგორიაში, ზემისკოეს და სერეჯ-იურტის ნამოსახლარებზე. აქაც დამოწმებულია ცაცხვები, სანაყები, ყალიბები და მისი ფრაგმენტები. მაგრამ სიმძლავრის თვალსაზრისით და რაოდენობრივ-მრავალფეროვნებითაც კოლხური აღმოჩენები დიდად ჭარბობენ ყობანურს.

კოლხური და ყობანური კულტურებისათვის დამახასიათებელმა შრომის იარაღის წარმოჩენამ ნათელი მოპფინა იმ დიდ უპირატესობას, რაც არსებობდა კოლხური მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვთარების საქმეში.

თუ სამიწათმოქმედო იარაღების სიმცირე ყობანურ კულტურაში აიხსნება არახელსაყრელი ბუნებრივ-ცკოლოგიური პირობებით, სხვა დარგების განვითარების შედარებით დაბალ დონეს ამით ვერ ავხსნით. ცხადია, რომ შრომის ლითონისაგან დამზადებული იარაღი, მისი ფორმები ყობანში სამხრეთიდან მიედინებოდა. ყობანში დადასტურებული ლითონწარმოების სახელოსნოები შესაძლებელია სამხრეთიდან შემოტანილი მაღნეულის ბაზაზე მუშაობდნენ. ამიტომ სამართლიანად გვეჩვენება ა. იესენის მოსაზრება, რომ ყობანი სამხრეთული მაღნის ბაზაზე იყო დამოკიდებული [10, გვ. 138]. ბ. ტეხოვი სრულიად ობიექტურია, როცა წერს, რომ გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა კავკასიონის

სამხრეთი კალთიდან გავრცელდა ჩრდილოეთში, რომ ძირითადი ლითონის ნაწარმი სამხრეთიდან მიედინებოდა, რომ ძირითადი მეტალურგიული ბაზა ყობანური კულტურისა იყო რაჭა-ლეჩხუმისერეთისა და სამხრეთი ოსეთის მთიან ზოლში [20, გვ. 188-192]. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს რეგიონები მას შეჰქავს ცენტრალურ-კავკასიურ ანუ ყობანური კულტურის სამხრეთულ ვარიანტში, რასაც მის კვალდაკვალ იმეორებს ვ. კოზენკოვაც [14, გვ. 13]. ეს სრულიად უსაფუძვლო და არაარგუმენტირებული მოსაზრებაა. მაგრამ ეს ცალკე განსახილველი პრობლემაა, რომელიც ამჯერად სცილდება ჩვენ კონკრეტულ საკითხს.

L. Sakharova

TOOLS AND IMPLEMENTS IN COLCHIAN AND KOBAN CULTURES (Summary)

Tools characteristic of the Colchian and Koban cultures reflect the processes occurring in different branches of agriculture, level of their development and at the same time, clarify origin of the tools.

The material adduced in the present paper (mattocks, axes, segments, sickles, ploughs, iron coulters, etc.) testify to the existence of a whole system of agriculture in Colchis. The comparatively lower level of farming in Koban deduced on the grounds of scarcity of archaeological finds, was apparently due to specific ecological conditions, while on the other hand, the use of iron and bronze knives point to the high development of cattle-breeding.

The variety and great number of carpentry tools, characteristic of Colchian culture, clearly exceeds those coming from Koban culture, pointing to their Colchian origin and higher level of development of carpentry in Colchis.

Manufacturing of bronze vessels belonging to a specific branch of metalwork (pan-pots, mugs, vases, bowls, etc.) testifies to the existence of the lathe. The assumption that zoomorphic handled mugs and pan-pots are of Colchian origin is backed by the shapes and decoration of local, i. e. Colchian pottery.

The level of development of pottery is also different in these cultures. Unlike Kobanian, the Colchian pottery is manufactured on the potter's wheel.

Mining-metallurgical industry and metalwork had created a solid basis for variety in the manufacturing of Colchian metal tools. Studies carried out in recent years have brought to light the most ancient mining centres in Racha-Lechkhumi-

Svaneti, Abkhazia and Chorokhi basin. Stone hammers, chisels, axes, mortars, wooden wash-tubs, etc. were used in mining and primary processing of ore. Excavated foundries contain casting ladles for pouring smelted iron, mortars, clay crucibles, flux, bars, moulds and their fragments. Ore exposures are also attested in the area of spread of Koban culture, though, ancient mines have not been discovered yet. Metallurgical foundries are mainly evidenced at the settlement sites, revealing casting ladles, mortars, fragments of moulds, etc. Nevertheless, judging by the intensity and volume of metalwork, the Colchian finds numerically exceed by far the Koban ones.

The author assumes that iron tools and their shapes were introduced to Koban from the south. A. Iessen's view that Koban depended upon the southern mining base seems absolutely correct [10, p. 138]. The assumptions of B. Tekhov [20, p. 188] and V. Kozenkova [14, p. 13], that the principal iron articles were brought to Kuban from the south and the main metallurgical base for this region was Racha-Lechkhumi-Imereti and highland part of South Ossetia - are, perhaps, very close to truth. However, it must be noted that the above regions are included in the area of Koban culture without any serious grounds.

ლიტერატურა

1. ინანიშვილი გ., ჩართოლიანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ. საქართველოს უდელების სამთამადნო წარმოების ძეგლები. – ძიებანი, № 2, 1998, გვ. 52-58.

2. მიქელაძე თ. კოლხეთის აღრერკინის ხანის სამაროვნები. თბ., 1985.

3. სახაროვა ლ. გვიანი ბრინჯაოს ხანის ლექების სამიწაომოქმედო იარაღების შესწავლისათვის. – მაცნე, № 1, 1964, გვ. 156-169.

4. სახაროვა ლ. უძველესი ბრინჯაოს ჭურჭელი. – სხ, № 12, 1965, გვ. 46-48.

5. სახაროვა ლ. ბრინჯაოს განძები ლექებ-მიღან. თბ., 1976.

6. სახაროვა ლ. კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ. – ძიებანი, № 1, 1998, გვ. 34-39.

7. სახაროვა ლ. ბრინჯაოს ცულების ერთი სახეობის შესახებ. – კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები (ძიებანი, დამატებანი, VI), 2001, გვ. 171-172.

8. ქორიძე დ. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების კლასიფიკაციისა და გენეზისის საკითხებისათვის. – სსმმ, XXVIII-B, 1969, გვ. 5-28.

9. ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. ურბისი, I. თბ., 1962.

10. იესсен ა. ა. კ вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, 120, 1935, с. 7-237.

11. იესсен ა. ა. Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. – МИА, 23, 1951, с. 75-124.

12. კოზენკოვა ვ. ი. Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры, восточный вариант, САИ, выпуск В 2-5, М., 1982.

13. კოზენკოვა ვ. ი. Кобанская культура, западный вариант, САИ, выпуск В 2-5, М., 1989.

14. კოზენკოვა ვ. ი. Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (узловые проблемы происхождения и развития кобанской культуры). М., 1996.

15. კოზენკოვა ვ. ი. Материальная основа быта кобанских племен. Западный вариант. САИ, выпуск В 2-5, М., 1998.

16. კრუპნივ ე. ი. Жемталинский клад. М., 1959.

17. კუფტინ ბ. ა. კ вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе. – ссв^ \++-B, 1944, с. 291-436.

18. ლორდკიპანიძე Օ. დ. Наследие древней Грузии. Тб., 1989.

19. პიოტროვსკი ბ. ბ. Урарту, древнейшее государство Закавказья. Л., 1940.

20. თეხოვ ბ. ვ. Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э., М., 1977.

21. Maxwell-Hyslop Byr. Bronze lugged axe or adze blades from Asia. – Iraq, volume XIV, London, 1952.

ტაბულების აღწერა

ტაბ. I – a. კოლხური და b. ყობანური სამოწაომოქმედო იარაღი.


ტაბ. II – a. კოლხური და b. ყობანური ხითხურობის იარაღი.

Description of the Plates


Pl. I. a. - Colchian and b. Kobanian agriculture tools

Pl. II. a. - Colchian and b. Kobanian carpentry tools


Фа. 1



б



გაბ. II



რეგაზ პაპუაშვილი, თენგიზ ესებუა

ცამაშის სამაროვანი

2001 წლის მაისში სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლებს ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიშის ცაცხვის უბნის მცხოვრებლებმა მურთაშ და მედეა ტუფურიებმა აცნობეს, რომ მათ საკარმიდამო ნაკვეთში საცხოვრებლი სახლის უკან, დაფნის პლანტაციაში, მიწის დამუშავების პროცესში რამდენჯერმე აღმოჩნდა სხვადასხვა ლითონისაგან და თიხისაგან დამზადებული ნივთები. მათვე წარმოადგინეს თიხის, ბრინჯაოს, რკინის ნაწარმისა და რამდენიმე მძივისაგან შედგენილი კოლექციაც.

სამეცნიერო სამსახური სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა ჯგუფი დაუყოვნებლივ გაემართა აღმოჩნდის ადგილისაგან. ტერიტორიის ზედაპირულად დათვალიერებისას მრავლად შეინიშნებოდა ადამიანის ძვლისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. იმთავითვე გამოითქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული ტერიტორია უძველეს სამაროვანს, ხოლო ნივთები სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენდა.

პირველი ინფორმაცია უახლესი არქეოლოგიური აღმოჩნდის შესახებ გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის გაზეთ „ორიონში“ (2001 წ. მაისი, № 5 (41)), ამავე უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებლისა და არქეოლოგიური პლევის ცენტრის ასამირანტის ბეჭან აკობის მიერ. საგაზეთო სტატიაში ნათლად, ლაკონურად და პოპულარული ენით განსაზღვრულია ძეგლის ხასიათი (კოლხური სამაროვანი მეორადი დაკრძალვით) და ზოგადი თარიღი (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი). სტატიაში მითითებულია ანალოგიური ხასიათის ძეგლებიც ზუგდიდის რაიონის სოფ. ერგეტაში და ხობის რაიონის სოფ. დღვაბაში. მცირე ინფორმაცია ამ აღმოჩნდის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „ზუგდიდშიც“ (2001 წ. აგვისტო № 28).

2001 წლის ივლისში კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმთან ერთად, აღნიშნულ ფართობზე და მიმდებარე ტერიტორიებზე განახორციელა მცირე მასშტაბის სავალე-არქეოლოგიური სამუშაოები. განისაზღვრა ძეგლის ადგილმდებარეობა. იგი ძეგლად ცაცხვის უბანში, ხობი-ზუგდიდის ტრასის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 30 მ სიმაღლეზე, ტრასიდან აღმოსავლეთით 80 მ, მდ. ჯუმიდან სამხრეთით 500 მ-ზე, მერთაშ ტუფურიას სახლის უკან, დაფნის პლანტაციაში, რომელსაც სამხრეთიდან ნაკადული ჩაუდის (ტაბ. I). ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით იწყება ბორცვების რიგი, რომელიც თანდათან მაღლდება და ურთის მთას შეერწყმის. დაფნის პლანტაციაც და შესაბამისად, არქეოლოგიური ძეგლიც, კირქვებისაგან შედგენილ ლორდიან, ეროზირებულ ნიადაგშია გამართული. წყალდი-

დობებისა და წვიმების შედეგად ნიადაგი ზოგჯერ მოისილება, ზოგჯერ კი – გადაირეცხება.

შევნიშნავთ, რომ მითითებული ადგილი აღნიშნულია ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილი დირექტორის ბესარიონ გოგოლიშვილის მიერ 1941 წელს შედგენილ რეკაზეც-დასმული პირობითი ნიშნის მიხედვით აქ ადგილი ჰქონია ბრინჯაოს ცალკეული იარაღის აღმოჩნდის ფაქტს. თუმცა რა აღმოჩნდა – დღეისათვის უცნობია.

მოხერხდა 16 მ² ფართობის მცენარეული საფარისაგან განთავისუფლება და მისი ნაწილობრივ გათხრა 40 სმ სიღრმემდე. არქეოლოგიური მასალა თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტის გარდა არ დაფიქსირებულა. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ადამიანის ძვლები. ძვლები სხვადასხვა ზომის ფრაგმენტებითა წარმოდგენილი. ზოგიერთ მათგანს აშკარად ეტყობა ცეცხლის ზემოქმედების კვალი. ყველა ძვალი გათეთრებულია, გამოფიტული და ძნელად გამოირჩევა კირქვიან ნიადაგში. თხრილის სამხრეთ მონაკვეთში ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი ძვლების გროვა გამოიკვეთა. ძვლები გვამბისაგან გამოცალგვების შემდეგა მოგროვებული. დადასტურდა ყბებზე შესახსრებული კბილების სამი ჯგუფი. მსგავსი გროვები შენიშნულია ერგეტის, დღვაბისა და ურეკის სამაროვნების საკულტო მოედნებზედაც [4, გვ. 55-64]. არსებობს საფუძველი სამაროვანის ეს მონაკვეთი საკულტო მოედნის ნაწილად მოვიაზროთ. საკულტო მოედნის მთლიანობაში წარმოჩნდა და ცალკეული სამარხების გამოვლენა მომავალი გათხრების საქმეა.

ნივთიერი მასალა მიწის დამუშავების პროცესში სხვადასხვა დროსაა აღმოჩნდილი.

მოპოვებულია:

1. ჭურმილიანი ხელადა, ნაკლული აღდენილია ტუფურიების ოჯახის წევრის თამარ ტუფურიას მიერ), აკლია პირ-ყელი და ყური. აქვს ბიკონუსური კორპუსი და ბრტყელი ძირი. ყელსა და მხრებს შორის მოქცეული არე სამკუთხედებით, მრგვალი და ირიბი ჭდეებითა შემცული (ტაბ. II₁).

2. სამისი, სადა, აქვს სწორი გადაშლილი პირი, კპრცხისებური კორპუსი და ბრტყელი ძირი. აკლია ყური (ტაბ. II₂).

3. ჯამი, ნახევარია შემორჩენილი, სადა, პირ-მოყრილი, აქვს სწორი ძირი (ტაბ. II₃).

4. სატევარი, ბრინჯაოსი, სამადაა გატეხილი. აკლია ყუნწის ნაწილი და წვერი. განივევეთში ლინზისებურია. ზედა ნაწილში მხრებიდან მომრგვალებულია და აღმოჩნდის შემდეგ ბავშვების მიერაა ნალესი (ტაბ. II₄).

5. სატევარი, ბრინჯაოსი, ორადაა გატეხილი. აკლია ყუნწის ნაწილი. ჩამომტკრეული აქვს ფხები. მხრებიდან ყუნწზე გადასვლის ადგილას სამაჭვლე ნახვრეტია დატანილი. შემორჩენილი

პირი განივეტში რომბისებურია. სიგრძეზე გასდევს მახვილი ქედი (ტაბ. II₅).

6. სატევარი, რკინის, ძლიერ დაჟანგული, აკლია კუნწი, წვერი და ფხების ნაწილი. განივაკეტში ლინზისებურია (ტაბ. II₆).

7. აბზინდა, ბრინჯაოსი, ძლიერ დაჟანგული. ექტონი ცეცხლის კვალი. სამადაა გატეხილი. აქვს სწორი მხრები. უჩვეულოდ დიდი ზომისაა (სიგრძე 17,3 სმ; სიფართე 4 სმ). ორნამენტი არ იყითხება (ტაბ. III₁).

8. აბზინდა, ბრინჯაოსი, ძლიერ დაჟანგული, ეწ. პეპლისებური ფორმის. ფუძეზე გასდევს დარი, მასზე დატანილი ექსი ნახვრეტით (ტაბ. III₂).

9. ფიბულა, ბრინჯაოსი, ერთწლილადი, რკალისებრი. რკალის ბოლოები შევიწროებულია. განივაკეტში წრიულია, ზედაპირი წინვისებრი ორნამენტითა დაფარული. შემორჩენილია ზამბარა. აკლია ენა და მიმღები (ტაბ. III₃).

10. სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოსი, კარგად დაცული, ოვალური ბოლოები ერთმანეთზე გადასული და დაბრტყელებულია (ტაბ. III₄).

11. სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოსი, კარგად დაცული, ოვალური ბოლოები ერთმანეთზე გადასული და დაბრტყელებულია (ტაბ. III₅).

12. რგოლი, ბრინჯაოსი, კარგად დაცული, გახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივეტიანი ღეროსაგან (ტაბ. III₆).

13. რგოლი, ბრინჯაოსი, კარგად დაცული, გახსნილი. დამზადებულია მრგვალგანივეტიანი ღეროსაგან (ტაბ. III₇).

14-16. სამაჯურები, ბრინჯაოსი, 3 ცალი. დამტვრებული, დეფორმირებულია სამიერ მათგანი დამზადებულია მრგვალგანივეტიანი ღეროსაგან (ტაბ. III_{4,5,6}).

17. სამაჯური, რკინის, მრგვალგანივეტიანი ღეროს ფრაგმენტებითა წარმოდგენილი (ტაბ. III₇).

18. ძეწკვი, ბრინჯაოსი, წარმოდგენილია ერთმანეთზე გადაბმული შვიდი ოვალური რგოლით (ტაბ. III₈).

19. სამაჯური, ბრინჯაოსი, კარგად დაცული. დამზადებულია ნახევარწრიული განივაკეტის მქონე ღეროსაგან. ზედაპირი დაფარულია რელიფური ორნამენტით. ბოლოები შემკულია ცხველების (ვერძის?) თავების სკულპტურული გამოსახულებით (ტაბ. III₁₅).

20. სამაჯური, ბრინჯაოსი, კარგად დაცული. დამზადებულია მრგვალგანივეტიანი ღეროსაგან. ბოლოები გახსნილია, შესქელებული და დაკეჭილი, შუა ნაწილში შეზნექილია და ბურცობებითა შემკული (ტაბ. III₁₆).

21. სამაჯური, ბრინჯაოსი, კარგად დაცული. დამზადებულია მრგვალგანივეტიანი ღეროსაგან. დაბოლოებულია ბურთულებით (ტაბ. III₁₇).

22. სამაჯურის ფრაგმენტი, ბრინჯაოსი, შემორჩენილია ერთი ბოლო, რომელიც შესქელებულია და ორნამენტირებულია (ტაბ. III₁₄).

23. მძივები, 21 ცალი, სხვადასხვა მასალი-საგანაა დამზადებული. ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმებითა და ზომებით. უმეტესობა სარდიონისაა. ზოგი მათგანი ცეცხლში მოწვედ-

რის გამო გათეთრებულია. არის ლურჯი მინის ბიონუსური მძივებიც (ტაბ. III₁₃).

24. გარდა აღნიშნულისა, ამავე სოფლის მკვიდრმა თეიმურაზ სიჭინავამ გადმოგვცა თავის ყანაში ნაპოვნი ბრინჯაოს ზარაკი (თ. სიჭინავას დანა მ. ტუფურიას დაფნის პლანტაციისაგან 100 მ აღმოსავლეთითა დაცილებული). ზარაკის აკლია ენა. მისი ზედაპირი ვერტიკალურად მიმართული სწორი და ტეხილი დარქედებითა შემკული (ტაბ. III₁₈).

წარმოდგენილი ნივთები შეიძლება ორ პირობით ჯგუფად გაიყოს:

პირველ ან უფროს ჯგუფში შესაძლოა გაერთიანდეს ბრინჯაოსა და რკინის სატევრები, აბზინდები, ფიბულა, მრგვალი და ოვალური სასაფეთქლე რგოლები, სადაც მეტ-ნაკლები რაოდენობით დაფიქსირებულია კოლხური კულტურის სხვადასხვა ელემენტი. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი ზოგადად ძვ.წ. II ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებითა და I ათასწლეულის პირველი ნახევრითა განსაზღვრული, უმეტეს შემთხვევაში ძი - ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით [9, გვ. 189-219; 5, გვ. 200-228; 11, გვ. 32-68; 7, გვ. 28-38].

თიხის სასმისისა და ჯამის ფორმალურ-ტიპოლოგიური ანალიზი არ იძლევა საშუალებას ვიწრო ქრონოლოგიურ დიაპაზონში მათი თარიღის დაკონკრეტებისათვის, რაც შეეხება ბიკონუსური ფორმის ურმილიან ხელადას, მსგავსი ჭურჭელი სავარაუდოდ ძვ.წ. VIII საუკუნიდან ჩნდება [11, გვ. 136-153] და ძვ.წ. IV-III საუკუნეებამდე განაგრძობს არსებობას [3, გვ. 33-36].

მეორე, ან უმცროს ჯგუფში უნდა გაერთიანდეს მთლიანად დაცული ბრინჯაოს სამი სამაჯური და ერთიც სამაჯურის ფრაგმენტი.

სამაჯური, რომელიც ბოლოვდება ვერძის თავების სკულპტურული გამოსახულებით (ტაბ. III₁₅), რამდენადმე ჩამოგავს ძვ.წ. V საუკუნის შეს ხანებით დათარიღებულ ვანის № 11 სამარხში აღმოჩენილ ოქროს სამაჯურს [6, გვ. 47, სურ. 53], თუმცა, ვანის სამაჯურის ღერო გრავირებული არაა. უფრო მოგვიანო იერისაა ზურგშეზნექილი, ბოლოებდაკეჭილი, ბურთულებით დაბოლოებული და ბოლოშეზნექილი ორნამენტირებული (ტაბ. III_{14,16,17}) სამაჯურები. გავრცელებული თვალსაზრისით, ამგვარი სამაჯურების ზოგად თარიღად ძვ.წ. IV-I საუკუნეებია მინეული [2; 3].

შესაძლოა ამავე ჯგუფში გაერთიანდეს ბრინჯაოს ზარაკიც, რომლის მსგავსიც ნამარნუს ელინისტური ხანის ფენაშია აღმოჩენილი [10, გვ. 31-39].

ცენტრალურ კოლხეთში დღემდე ცნობილი სამაროვნები თარიღდება ან ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით ან ამავე ათასწლეულის მეორე ნახევრით. ცაიშის სამაროვნიდან

მომდინარე შემთხვევით მონაპოვარში კი, როგორც ვნახეთ, ორივე ქრონოლოგიური ჯგუფისათვის დამახასიათებელი არტეფაქტებია თავმოყრილი. სამაროვანზე საკელე-არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელების შემთხვევაში ისეთი დახურული კომპლექსების გამოვლენაა მოსალოდნელი, რომელიმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააკონკრეტოს და შეავსოს ძვ.წ. I ათასწლეულის ქრონოლოგიური შპალა, პოზიტიური როლი ითამაშოს დაკრძალვის რიტუალისა და იმდროინდელი რწმენა-წარმოდგენების მართებული გააზრებისათვის, საერთოდ, ისტორიისა და კულტურის მრავალი პრობლემის ახლებური ინტერპრეტაციისათვის.

R. Papuashvili, T. Esebua

TSASHI NECROPOLIS

Summary

In May 2001 Murtaz and Medea Topuria, residents of the village of Tsashi (Zugdidi district) informed the staff members of the Scientific Centre of Samegrelo that they had occasionally found some clay and metal items during ploughing their plot behind the house in the laurel plantation. They presented a collection consisting of clay, bronze, iron objects and beads.

The collection comprised 22 more or less intact items and 21 beads, viz., handled jar, jug, basin, 2 bronze daggers, iron dagger, 2 bronze buckles, 2 pendants, 2 circlets, chain, 3 bracelets of plain bronze, 4 decorated bronze bracelets and a fragment of an iron bracelet. Besides, several fragments of clay ware, bronze items and a bronze bell were found by T. Sichinava at his own plot some 100 m eastward of the place where the first discoveries were made.

The exact place of the finds is situated behind the house of M. Tupuria (v. Tsashi, Tsatskhvi district), to the right of the Khobi-Zugdidi highway, 30 m above sea-level, 80 m eastward of the highway and 500 m southward of the river Jumi (Pl. I).

Numerous bone fragments were scattered on the surface. A small-scale exploratory ditch revealed a compact heap of human skeleton bones. The work carried out and materials obtained testify to the existence of a necropolis there.

The items collected can be tentatively divided into two groups. The first or major group consists of bronze and iron daggers, buckles, fibula, pendants and plain bracelets (Pl. II, 4-6; Pl. III, 1-6, 11-12). Homogeneous artefacts are generally dated to the last centuries of the 2nd millennium and the first half of the 1st millennium B.C., more precisely, to the 8th-7th cent. B.C.

A bracelet with a representation of a ram, bracelets with flattened ends and concave back, the ones with endings in the shape of beads, having thickened ends and bearing a decoration as

well as the bell can be attributed to the second and correspondingly, minor group (Pl. III, 14-18).

In case archaeological excavations are conducted at the necropolis, intact burial complexes belonging to different chronological periods of the 1st millennium B.C. are likely to come to light.

ლიტერატურა

1. გვინჩიძე გ. ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. თბ., 1988.
2. თოლოროდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.
3. ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა. ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხური კერამიკა ვანიდან. – ვანი, V, თბ., 1981.
4. ჰაბუაშვილი რ. გვინძბრიჯო-ადრეკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის. – ძიებანი, № 5, 2000, გვ. 55-64.
5. ჯაფარიძე ო. დაფართველოს არქეოლოგია. თბ., 1991.
6. ჭყონია ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. – ვანი VI. თბ., 1981.
7. გოგაძე ე. მ. К вопросу о хронологии и периодизации памятников колхидской культуры. – ВГМГ, XXVII–B, 1984, с. 28–54.
8. იესსენ ა. ა. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, 120, 1935, с. 7–235.
9. ლორკიპანიძე ი. დ. Наследие древней Грузии. Тбилиси, 1989.
10. მიქელაძე თ. კ. К археологии Колхиды. Тбилиси, 1990.
11. რამიშვილი ა. თ. Раскопки приморских стоянок в Пичвиари (Кобулети) в 1960–1964 и 1967 гг. – СА, № 1, 1975, с. 136–153.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – ცაიშის სამაროვნის სიტუაციური გეგმა.
- ტაბ. II – ცაიშის სამაროვნის ნივთიერი მასალა: 1-3. თიხა; 4-5. ბრინჯაო; 6. რკინა.
- ტაბ. III – ცაიშის სამაროვნის ნივთიერი მასალა: 1-6, 8-12, 14-18. ბრინჯაო; 7. რკინა; 13. სხვადასხვა მინერალისაგან დამზადებული მძივები.


Description of the Plates

Pl. I – Situation plan of Tsashi necropolis.


Pl. II – Material obtained at Tsashi necropolis: 1-3. clay ware; 4-5. bronze daggers; 6. iron dagger.

Pl. III – Material obtained at Tsashi necropolis: 1-6, 8-12, 14-18. bronze items; 7. iron item; 13. beads made of various minerals.


გაბ. I



გაბ. II



ঘৰ্য. III



გოდერძი ნარიმანიშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი

ქვეყნის მთავრობის მოწვევის მინისტრის მიერ განცხადება (სტილისტური ანალიზი, პროცესუალური საკითხი)

საქართველოს ტერიტორიაზე მოხატული კერამიკის უძველესი ნიმუშები არახლო I-ის ძვ.წ. IV ათასწლეულით დათარიღდებულ ფენაშია აღმოჩენილი [32, გვ. 11]. იგი მცირე რაოდენობით გვხვდება ძვ.წ. III ათასწლეულის ძეგლებზედაც [25, გვ. 35, 36]. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში, თრიალური კულტურის გავრცელების არეალში, მოხატულმა კერამიკამ ფართო გავრცელება ჰქონა [26, გვ. 122-129]. შემდგომში, დაახლოებით ათასი წლის განმავლობაში იგი აღარ გვხვდება. ამ დიდი პაუზის შემდეგ ქართლის ტერიტორიაზე მოხატული კერამიკა ხელმეორედ მხოლოდ აქემენიდურ ხანაში გამოჩნდა და ძვ.წ. IV-III სს-ში იმდენად გავრცელდა, რომ ამ პერიოდს მოხატული კერამიკის ხანასაც უწოდებენ [30, გვ. 90].

საკვლევი პერიოდის მოხატული კერამიკა საქართველოს ტერიტორიაზე პირველად სოფ. კუშჩი, 1947 წელს იქნა აღმოჩენილი ბ. კუჭტინის მიერ [34, გვ. 7-10]. შემდგომში ქართლში გაითხარა მრავალი ძეგლი, სადაც აღნიშნული ეპოქის სხვა მასალასთან ერთად მოხატული კერამიკის მრავალი ნიმუშიც აღმოჩნდა (სამადლო, უფლისციის, ციხიაგორა, თელათვარი, შავსაყდარა, ეცო და სხვ.). უნდა ითქვას, რომ ძვ.წ. V-I სს-ის მოხატული კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა მონოქრომულია და წითელი საღებავითაა მოხატული. პარალელურად გვხვდება ოთორი კონცენტრული ხაზებით მოხატული ჭურჭელიც. პოლიქრომიული კერამიკა წარმოდგენილია სულ რამდენიმე ნიმუშით ნასტაკისიდან და ციხიაგორადან, რომელზედაც დატანილი ორნამენტი შავი, წითელი და ოთორი საღებავითაა შესრულებული [13, გვ. 57, 58, ტაბ. III₂, V₂₈].

ჩვენი წერილის მიზანია ქართლის ძვ.წ. V-I სს-ის წითლად მოხატული კერამიკის შესწავლა, რომლის წარმოშობისა და ქრონოლოგიის პრობლემაზე დღეისათვის მრავალი, ხანდახან ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული [ლიტერატურა დაწვრილებით იხ. 30, გვ. 90; 37, გვ. 69-79]. ამ საკითხს, ჩვენი აზრით, წითლად მოხატული კერამიკის სტილისტურ ანალიზთან ერთად, ამ მასალის შემცველი, შედარებით კარგად დათარიღებული კომპლექსების პარალელურმა განხილვამ უნდა მოვნიოს ნათელი.

წითლად მოხატული კერამიკის ორნამენტის სტილისტურმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ ამ მასალაში შეიძლება გამოიყოს ოთხი ძირითადი სტილი: 1) სამკუთხედების სტილი; 2) სამად-

ლოს სტილი; 3) კაზრეთის სტილი და 4) სამთავროს სტილი.

1) სამკუთხედების სტილი. ამ სტილის მოხატულობა, როგორც წესი, დატანილია ჭურჭლის გაპრიალებულ ან ანგობირებულ ზედაპირზე. დეკორის მთავარ დეტალს წარმოადგენს სამკუთხედები, რომლებიც ხშირად სხვა ორნამენტთან ერთადაც გვხვდება (თევზიფხური, ზიგზაგები, ჰორიზონტალური ხაზები), თუმცა ამ შემთხვევაში ისინი მეორად დატვირთვას ატარებენ. ამ სტილში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ჯგუფი: а) სამკუთხედები წვერით ზემოთ (ტაბ. I₁₋₂₃) და ბ) სამკუთხედები წვერით ქვემოთ (ტაბ. I₂₄₋₃₅).² ამ ორი ძირითადი ჯგუფის გარდა გვხვდება სამკუთხედებით მოხატული კერამიკის ისეთი ნიმუშებიც, რომელთა ორნამენტი ატარებს როგორც ა, ისე ბ ჯგუფებისათვის დამასასიათებელ ნიშნებს, მაგრამ მათი სტილისტური ანალიზისათვის დღეისათვის საკმაო მასალა არ მოგვპოვება (იხ. ტაბ. II_{13, 14, 17, 19}).

ა ჯგუფის მოხატულობის ძირითადი ნაწილი ჭურჭლის ტანზე, ერთ ან ორ ფრიზადაა განლაბებული. სამკუთხედები ჩასმულია ჰორიზონტალურ ხაზებს შორის. ერთ ფრიზად განლაბებული სამკუთხედების ერთი ნაწილი მთლიანად ბადისებრი ორნამენტითა შევსებული (ტაბ. I₉). სხვა ჭურჭლებზე დატანილი სამკუთხედების ერთი ნაწილი ბადისებრი ორნამენტით ნაწილობრივივა შევსებული (ტაბ. I_{12,15,17}). ორ ფრიზარზე ბადისებრი ორნამენტით შევსებულ სამკუთხედებითვე შევსებული სამკუთხედები (ტაბ. I_{10,11,13}). ერთ ღოჯზე შეუვსებელ სამკუთხედებს შორის ჩახატულია ბადისებრი ორნამენტით ნაწილობრივ შევსებული სამკუთხედი (ტაბ. I₁₄), ორი ჭურჭლები კი შეუვსებელი სამკუთხედებითაა შემული (ტაბ. I_{16, 18}).

ორ ფრიზად განლაბებული სამკუთხედები ორნამენტის შემდეგი კომბინაციითაა წარმოდგენილი: а 1 – ზედა ფრიზზე ბადისებრი ორნამენტი და ირიბი ხაზებია, ქვედაზე – ირიბი ხაზები (ტაბ. I₉); а 2 – ორივე ფრიზზე ერთმანეთში ჩახატული სამკუთხედებია (ტაბ. I₂₀); а 3 – ორივე ფრიზზე ირიბი ხაზებით შემჯული სამკუთხედებია (ტაბ. I₂₁); а 4 – ზედა ფრიზზე ერთმანეთში ჩახატული სამკუთხედებია, ქვედაზე კი ბადისებრი ორნამენტით შევსებული სამკუთხედები (ტაბ. I₂₂); а 5 – ორივე ფრიზზე სამკუთხედები ბადისებრი ორნამენტითაა შევსებული (ტაბ. I₂₃). а 5 ორნამენტით შემკულ ორყურა ღოჯზე

² თითოეული ნივთის აღმოჩენის ადგილი, სამარხის № ან შესაბამისი ფენა მითითებულია ტაბულების აღწერილობაში.

ბაზალეთიდან ფრიზების გასამიჯნავად თევზი-ფხური ორნამენტია გამოყენებული, ჭურჭლის შიდა პირი კი წვერით ქვემოთ მიმართული, ბა-დისებრი ორნამენტით შეცსებული სამკუთხედე-ბითაა დაფარული (ტაბ. I₂₃). აქე უნდა ითქას, რომ ორ ფრიზად მოხატული ყველა ჭურჭლის ყელი და ყური მოხატულია (ტაბ. I₁₉₋₂₃).

ბ ჯგუფის მოხატულობა ერთგვაროვანია – წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედები შევსებულია ირიბი ხაზებით. ამ მოხატულობის ცალკეულ ნიმუშებს შორის განსხვავება მხო-ლოდ ჭურჭლის ყელისა და მუცლის გაფორ-მებაში შეინიშნება – სამკუთხედების ზემოთ და ქვემოთ დატანილია ჰორიზონტალური ხაზები, ზიგზაგები, ბადე ან თევზიფხური ორნამენტი (ტაბ. I₂₄₋₃₄). ზემოთ აღწერილი ორნამენტის მსგავსია შავსაყდარა II-ის № 12 სამარხში აღ-მოჩენილ ერთ დოქზე არსებული მოხატულობა, თუმცა ამ შემთხვევაში ნახატში ჩართულია წვე-რით ზემოთ მიმართული სამკუთხედებიც (ტაბ. I₃₅). აღნიშნული ჭურჭელი ტიპოლოგიურად ახ-ლოს დგას ბ ჯგუფის ორნამენტით შემცულ დო-ქებთან დაჭრილების სამაროვნიდან (ტაბ. I_{33,34}).

როგორც უკვე ითქვა, ა და ბ ჯგუფების მო-ხატულობის გარდა არსებობს სამკუთხედებით მოხატული კერამიკის კიდევ რამდენიმე ნიმუში, რომელთა გაერთიანება სტილისტური ნიშნების მიხედვით შეუძლებელია. მცხეთიჯვრის ეგზემ-პლარზე წვერით ქვემოთ და წვერით ზემოთ მი-მართული სამკუთხედები ერთმანეთში კბილანე-ბივითაა ჩამჯდარი (ტაბ. II₁₄), ითხვისში მოპო-ვებული ერთი დოქის ყელსა და მხარზე წვერით ქვემოთ მიმართული, ერთმანეთში ჩახატული სამკუთხედებია, მუცელზე კი ჰორიზონტალური ხაზითაა გამოყოფილი ამავე ტიპის ორნამენტით შევსებული, წვერით ქვემოთ და ზემოთ მიმარ-თული სამკუთხედები (ტაბ. II₇). ითხვისის მეო-რე დოქის ყელზე წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედებია, ტანის ძირითადი ნაწილი კი თევზიფხური და ბადისებრი ორნამენტითაა და-ფარული (ტაბ. II₁₉). შავსაყდარაზე შემთხვევით მოპოვებულ დოქზე ა და ბ ჯგუფების ორნამენტთან ერთად მცირე ზომის მთლიანად შედებილი სამკუთხედები – შევრონებია დატა-ნილი (ტაბ. II₁₃).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სამკუთხედებით მოხატული კერამიკის გაჩენა ქართლში მკვლე-ვართა მიერ ძვ.წ. V ან IV საუკუნეში ივარაუ-დება და მისი წარმომავლობის შესახებ სხვა-დასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ამ ორნამენ-ტის ქართლის ტერიტორიაზე გავრცელება ჩვე-ნი აზრით, ორი მომენტით უნდა იყოს განპირო-ბებული. პირველი ადგილობრივი გვიანბრინჯაო-ადრენერგინის ხანის კერამიკაა, სადაც ხშირად გვხვდება ნაკაწრი ან ნაპრიალები, ბადისებრი ორნამენტით ან ირიბი ხაზებით შეცსებული სამ-კუთხედები (ტაბ. II_{20-26,45,48}), რომლებიც ძალზე ახლოს დგას ჩვენი საკვლევი პერიოდის სამ-კუთხედების სტილთან (ნაკაწრი ორნამენტი –

ტაბ. II₂₇₋₃₁; წითელი სალებავით დატანილი – ტაბ. II₃₂₋₄₂). რაც შეეხება მეორე მომენტს, კერ-ძოდ წითლად მოხატვის იდეის შემოტანას, იგი უთუოდ აქემენიდურ ირანთან ურთიერთობის შე-დეგი უნდა იყოს.

სამკუთხედების ბ ჯგუფის თარიღის განსაზ-ღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვა-ნის მდიდრულ სამარხებს, სადაც წვერით ქვე-მოთ მიმართული სამკუთხედებით შემცულ ჭურ-ჭელთან (ტაბ. I₃₀₋₃₂) ერთად იმპორტული მასა-ლა და მონეტებია აღმოჩენილი, რაც ამ კომპ-ლექსებს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით ათარი-ღებს [10, გვ. 202; 11, გვ. 91]. ასეთივე მოხატუ-ლობა აქვს ტახტიძის მოპოვებულ დოქებსაც (ტაბ. I₂₇₋₂₉), რომელთა თარიღი, ასევე იმპორ-ტულ მასალაზე დაყრდნობით, ძვ.წ. IV ს-ით განისაზღვრება. ამგვარად, ბ ჯგუფის მოხა-ტულობის თარიღი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახე-ვარი უნდა იყოს.

ჯერ-ჯერობით არაა აღმოჩენილი ისეთი კარგად დათარიღებული კომპლექსები, რომელთა საშუალებით მოხდებოდა ა ჯგუფის მოხატულობის შედარებით ზუსტი თარიღის განსაზღვრა. ზედა თარიღისათვის შეიძლება გამოდგეს ვარსიმანათკარის № 175 სამარხის კომპლექსი (ტაბ. VII₅₁₋₅₉), რომელშიც არქაული ტიპის ილარებია აღმოჩენილი (ტაბ. VII₅₈), თუმცა ზუსტი თარიღის განსაზღვრა ამ შემთხვევაში შეუძლებელია. ასეთივე სურათს იძლევა კუშჩის № 3 სამარხიც (ტაბ. VII₁₃₋₂₇), რომელშიც მოხატულ დოქებთან ერთად ძვ.წ. V ს-ისათვის დამახასიათებელი მინის სანელსაცხებლება მოპოვებული (17, გვ. 72.). ამგვარად, ა ჯგუფის მოხატულობის გაჩენის სავარაუდო თარიღიად შეიძლება მივიჩნიოთ აქემენიდური ხანის ის მონაკვეთი, რომელიც წინ უსწრებდა ბ ჯგუფის ორნამენტის წარმო-შობას. შემდგომ ხანაში ეს ორი ორნამენტი უნდა თანაარსებობდეს, რის მაგალითადაც შეიძ-ლება გამოდგეს შავსაყდარა II-ის № 2 სა-მარხის კომპლექსი (ტაბ. VIII₁₆₋₁₈). აქ აღმოჩე-ნილი ორი ჭურჭლიდან ერთი ა ჯგუფის ორნა-მენტითაა შემცული (ტაბ. VIII₁₆), მეორე კი რო-გორც ზემოთ უკვე ითქვა, ბ ჯგუფის ორნა-მენტის მსგავსადაა მოხატული (ტაბ. VIII₁₈), თუმცა იგი ამ ორნამენტის კლასიკურ ნიმუშად ვერ ჩაითვლება.

სამკუთხედებით მოხატული კერამიკის გან-ვითარების გვანდელ ეტაპზე, კერძოდ ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრიდან, მათთან ერთად ჭურ-ჭელზე ჩნდება შევრონები – მთლიანად შედები-ლი სამკუთხედები. ეცოს ორ ეგზემპლარსა (ტაბ. II_{7,9}) და თელათგორის ნასახლარზე აღ-მოჩენილ ჭურჭლის ფრაგმენტზე (ტაბ. II₁₀) შევრონები და წვერით ზემოთ მიმართული, ბადისებრი ორნამენტით ნაწილობრივ შეცსებუ-ლი სამკუთხედები თანაბარი დატვირთვისაა.

2) სამაღლოს სტილის მოხატულობა დატა-ნილია ჭურჭლის ანგობირებულ ან ნაპრიალებ ზედაპირზე. კერამიკა შემცულია შევრონებით,

ზოომორფული და ანთროპომორფული ფიგურებით, გეომეტრიული ფორმებით (ტაბ. III_{1,2}; IV; V). ეს სტილი ხშირად დიდი ზომის ჭურჭელზე – ქვევრებსა და თაღარებზე გახვდება (ტაბ. III₂; IV_{1,2,41}). ასეთი ორნამენტი დიდი რაოდენობით სამადლოს ნაქალაქარზე იქნა გამოვლენილი, კერძოდ კი მის ქვედა ელინისტურ ფენას უკავშირდება, რომელიც იმპორტულ მასალაზე – შავლაკიან სანელსაცხებლებსა და ლანგრებზე დაყრდნობით ძვ.წ. III ს-ით თარიღდება [30 გვ. 47]. სამადლოს სტილის მოხატულობა გამოვლენილია ისეთ ნასახლარებზე, როგორიცაა მჭადიჯვრის გორა (ტაბ. III₁) და ციხიაგორა (ტაბ. V₁₋₃; VI_{7,8}). იგივე სტილი დადასტურებულია სამადლოს ზედა ელინისტურ ფენაშიაც, რომელიც ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან იმპორტირებული ამფორის კოსების (ტაბ. IV₃₂) საფუძველზე ძვ.წ. II ს-ით თარიღდება [30, გვ. 43, 47].

მხოლოდ შევრონებით შემკული ჭურჭელი ეცოს (ტაბ. II_{1,2}), მარაბდის (ტაბ. II₅), შავსაყდარას (ტაბ. VIII₁₀) და დაჭრილების (ტაბ. II₆) სამაროვნებიდან მართალია, ახლოს დგას სამადლოს სტილთან, მაგრამ იგი არ ატარებს ამ სტილისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს, ქრონილოგიურად კი, ალბათ, ოდნავ ადრეულიც უნდა იყოს.

ქართლის არქეოლოგიურ ძეგლებზე დადასტურებულია უნიკალური კერამიკის რამდენიმე ნიმუში, რომლებზედაც სამადლოს სტილისაგან განსხვავებული ანთროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებებია დატანილი (ტაბ. III_{3,4}). ნახატი ამ შემთხვევაშიც მონიქრომულია და ჭურჭლის ანგობირებულ და გაპრიალებულ ზედაპირზე შესრულებული. ამ მოხატულობის ორი ნიმუში ნატახტარიდან, მათი სამარხეული კომპლექსებიდან გამომდინარე (ტაბ. VIII₁₋₇; VIII₁₋₁₅), წინ უსწრებს სამადლოს სტილს და სამკუთხედების სტილის ბ ჯგუფის თანაბროულია.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სამადლოს სტილის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც წინამორბედ ხანში გავრცელებულმა კერამიკამ, ისე იმ ახალმა მოვლენებმა, რაც ქართლის სამეფოს ელინისტურ სამყაროსთან ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს.

3) სამადლოს სტილის პარალელურად, სამადლოს ნაქალაქარის ქვედა ელინისტურ ფენაში [31, გვ. 12, 25, ტაბ. VII₆₄, XXV_{321,322}] გვხვდება გამარტივებული მოხატულობა, რომელსაც ჩვენ კაზრეთის სტილს უწინდებთ – ჭურჭლის უხეშ ან ნაპრიალებ ზედაპირზე წითელი საღებავია დატანილი, ორნამენტს კი შეღებილ ნაწილებს შორის დატოვებული ჰორიზონტალური ხაზები ქმნის (ტაბ. VI_{1-4,9-12,14,19}). ასეთი კერამიკა მრავლადაა ციხიაგორისა [13, გვ. 58, ტაბ. III₂, V₁] და თელათგორის [42, გვ. 67, ტაბ. 166] ნასახლარების გვანელინისტურ ფენებში. იგი გვხვდება სამაროვნებზეც (ტაბ. VI_{3,4,10,11,14}). ასეთი მასალა განსაკუთრებულად დამა-

ხასიათებელია კაზრეთის თელების ველის სამაროვნისათვის (ტაბ. X_{1-13,35-42}), რომელიც ძვ.წ. პირველი ს-ის I ნახევრით თარიღდება.

4) სამთავროს სტილის მოხატულობა დატანილია ჭურჭლის ხაოან ზედაპირზე და წარმოდგენილია ჰორიზონტალური ხაზებით, ზიგზაგებით, წერტილებითა და ლენტისებური ორნამენტით (ტაბ. VI_{5,6,8,13,15-17,20-41}). ამ სტილის ზოგიერთი დეტალი წინამორბედი სტილების ორნამენტშიც გვხვდება, თუმცა იქ ისინი მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ. ამ სტილის გერამიკის უადრესი ნიმუშები თანაარსებობს სამადლოსა და კაზრეთის სტილების გვიანდელ ნიმუშებთან ერთად თელათგორის ნასახლარზე [42, ტაბ. 166-167]. ბამბების სამაროვანზე შესწავლილ კომპლექსებს, რომლებიც სამთავროს სტილის კერამიკას შეიცავს (ტაბ. X_{14-19,20-34}), ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრითა და ა.წ. I ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს აქ აღმოჩენილი პაროული მონეტები. დაახლოებით ამავე პერიოდით თარიღდება აღაიანსა (ტაბ. VI_{27,29}) და სამთავროში (ტაბ. VI_{28,32}) აღმოჩენილი ანალოგიური მასალაც.

G. Narimanishvili, V. Shatberashvili

THE PAINTED POTTERY OF ACHAEMENID AND POSTACHAEMENID PERIODS FROM KARTLI

(Stylistic analysis, chronology)
Summary

In this work we consider the red painted pottery of 5th-1st c.c. B.C. from Kartli. Based on stylistic analysis four styles of painting are distinguished: 1) The Triangles; 2) The Samadlo style; 3) The Kazreti style; 4) The Samtavro style.

1. Triangles are coated on the polished or engobed surfaces of vessels. The style is divided into two main groups a) triangles with their top to up and b) triangles with the top to the bottom of the vessel.

The painting of group A) is disposed in one or two rows. The triangles are filled with netlike ornament (wholly or partially), with triangles painted in each other or with sidelong lines. Some triangles are not filled. The ornamentation of group A is spread in Achaemenid and Postachaemenid epoches. It takes its origin both from the triangular style painting which was spread on the territory of Achaemenid Iran and from incised or polished triangular ornament which we meet on the vessels from remains of Late Bronze-Developed Iron Age, unearthed in Georgia.

The painting of group B is disposed in one row. Triangles are filled with sidelong lines. Herring-bone ornament, zigzags and horizontal

lines usually are painted on the neck and on the widest part of the body of vessels. Based on Greek import, group B is dated to the second half of 4th B.C. – the beginning of the 3rd cent. B.C.

2. Samadlo style. The painting is made on the polished or engobed surfaces of vessels. The pottery is decorated with zoomorphic and anthropomorphic figures and geometrical forms. Chevrons – fully coloured triangles are disposed in one or two rows, as usual with the top to the bottom of the vessel. They are one of the most important details of this style. The earliest examples of chevrons occur in combination with triangles from the beginning of the 3rd cent. B.C. This style is often met on big vessels (pythoi). Samadlo style dominates in the Samadlo lower Hellenistic layer and synchronous archaeological remains and, on the basis of imported pottery, is dated to the middle of the 3rd cent. B.C. and the beginning of the 2nd cent. B.C. The Samadlo style continues its existence in the upper Hellenistic layer of Samadlo settlement. At the same time simplified and degraded painting appears – it is laid on rough surface, the decoration is achieved by colouring the main part of the vessel.

3. Kazreti style is represented by the mentioned painting. This material prevails on the Telebisveli burial-ground in Kazreti. This style is spread from the second half of the 2nd cent. B.C. to the first half of 1st cent. B.C.

4. The last, Samtavro style painting is coated on rough surface. It is represented by zigzags, waves, fillets and points. We meet details of this style in previous styles, but they have secondary importance there. The Samtavro style, based on coins, is dated to the second half of the 1st cent. B.C. – first half of the 1st cent. A.D.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კანინი კ. ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980.

2. ამირანაშვილი ჯ. საკრაველის სამაროვანი. – მმ, № 3 (98), 1997, გვ. 15-17.

3. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ნარიმანიშვილი გ., სადრაძე ვ., მნელაძე მ., ირემაშვილი შ., ნონეშვილი ა., ხეცურიანი ლ., გაგაშელი ე. მცხეთის ექსპედიცია 1989-92 წლებში, სავალე არქეოლოგიური კვლევა-ძიების მოკლე ანგარიშები. თბ., 1992 წ. (ხელნაწერი. ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ძეგლებისა და პუბლიკაციების განყოფილებაში).

4. ბრაგვაძე ზ., დავითაშვილი ა. მცხეთი-ჯვრის სამაროვანი. თბ., 1993.

5. ბოხოჩაძე ა., ანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროდან. – მსკა, III, 1963, გვ. 27-38.

6. გაგოშიძე ი., თრიალეთის სამაროვნები, III. თბ., 1982.

7. დავლიანიძე რ., სადრაძე ვ., ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი. თბ., 1993.

8. დავლიანიძე ც., ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1983.

9. თოლორდავა ვ., დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1983.

10. თოლორდავა ვ., ვანის ცენტრალური ტერასის გათხრების შედეგები. – ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 79-92.

11. ლორთქიფანიძე ო., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა., არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. – ვანი I, თბ., 1972, გვ. 198-242.

12. მარგიშვილი ს. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები აღგეთის ხეობიდან. თბ., 1992.

13. მახარაძე ზ. ახალი აღმოჩენები ციხია-გორაზე. – ძიებანი, № 4, 1999, გვ. 57-59.

14. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.

15. ნაკაძე ნ. ქვევრსამარხები დაჭრილების სამაროვნიდან. – კამ, 1986, გვ. 22-40.

16. რამიშვილი რ., წითლაბაძე ლ., ჯორბენაძე ბ. ძვ.წ.VII-III სს.-ის ძეგლები დუშეთის რაიონიდან. – მმ, № 3 (98), 1997, გვ. 12-14.

17. საგინაშვილი მ. მინის სანელსაცხებლების – Kohl-Tube-ის გავრცელება საქართველოში. – ძიებანი, № 3, 2000, გვ. 72-76.

18. სინაურიძე მ. კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1985.

19. შატბერაშვილი გ. ეცოს სამაროვანი. – მმ, № 3 (98), 1997, გვ. 18-19.

20. შატბერაშვილი გ. ეცოს სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხი. – ძიებანი, № 3, 1999, გვ. 57-67.

21. მნელაძე მ. აღრეელინისტური ხანის ახლად აღმოჩენილი ძეგლი ქვემო ქართლიდან. – მმ, № 1, 1989, გვ. 42-47.

22. წითლაბაძე ლ. ვარსიმანთკარის სამაროვანი. – ჟინვალი, I, თბ., 1983, გვ. 52-76.

23. ხახუტაშვილი დ. უფლისციხე, I. თბ., 1964.

24. ხახუტაშვილი დ. უფლისციხე, II. თბ., 1970.

25. ჯავახიშვილი ა., დლონტი ლ. ურბნის, I. თბ., 1962.

26. ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.

- 27.** ჯინჯიხაშვილი გ. ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.-ის ქვევრსამარხები საყარაულო სერიდან. – კად, 1980, გვ. 42-59.
- 28.** ჯდარკავა თ. კამარახევის სამაროვანი. – ძველთა, VI, თბ., 1983, გვ. 139-190.
- 29.** Апакидзе А., Николаишвили В., Нариманишвили Г., Давлианидзе Р., Садрадзе В., Хецириани Л., Иремашвили Ш., Нонешвили А. Мцхетская экспедиция. – ПАИ, 1987 (1995), с. 83-89.
- 30.** Гагошидзе Ю. Самадло, археологические раскопки. Тб., 1979.
- 31.** Гагошидзе Ю. Самадло, каталог. Тб., 1981.
- 32.** Гогелия Д., Челидзе М., Авалишвили Г. О полевых работах Квемо-Картлийской экспедиции в 1985-86 гг. – ПАИ, 1986 (1991), с. 10-14.
- 33.** Кахиани К., Глигвашвили Э., Дзнерадзе М., Кереселидзе Г., Цквитинидзе З. Археологические исследования Машаверского ущелья в 1984-86 гг., ПАИ, 1986 (1991), с. 51-59.
- 34.** Куфтин Б.А. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.
- 35.** Лордкипанидзе О., Путурдзе Р., Матиашвили Н., Квирквелиа Г., Чкония А., Пирцхалава М., Кипиани Г., Инаури Г. Археологические исследования Ванского городища. – ПАИ, 1987 (1995), с. 93-100.
- 36.** Наридзе Г. Археологическое исследование могильника в с. Нацаргора. – ПАИ, 1988 (1997), с. 85-87.
- 37.** Нариманишвили Г.К. Керамика Картли V-I вв. до н.э. Тб., 1990.
- 38.** Рамишвили Р., Джорбенадзе В., Чиковани Г., Глонти М., Гогочури Г., Цитланадзе Л., Мухигулашвили Н., Чихладзе В., Робакидзе Ц., Ломидзе Ц., Циклаури И., Рчеулишвили Г., Маргвелашвили М., Каландадзе З., Бучукuri А., Гамехардашвили М., Щеретели К., Циклаури Г. Археологическое изучение Арагвского ущелья. – ПАИ, 1984-85 (1987), с. 74-89.
- 39.** Техов Б. Раскопки в с. Стырфаз. – ПАИ, 1977 (1979), с. 95-109.
- 40.** Тушишвили Н., Амиранашвили Д., Маргишвили С. Археологическая экспедиция Алгетского ущелья. – ПАИ, 1984-85 (1987), с. 20-21.
- 41.** Тушишвили Н. Маргишвили С. Алгетская экспедиция в 1987 г. – ПАИ, 1987 (1995), с. 24-30.
- 42.** Цқитишвили Г., Гветадзе Д., Квита-швили Р., Махарадзе З., Казахишвили Л. Экспедиция Каспского района. – ПАИ, 1986 (1991), с. 65-67.
- 43.** Dzneladze M., Chubuluri N. Das Früh-hellenistische neuendekte Denkmal aus Kvemo Kartli (Grabstätte von Abulmugi). Preprint Tbilissi, 1991.
- 44.** Unterwegs zum Goldenen Vlies. Archäologische Funde aus Georgien, Saarbrücken, 1995.
- 45.** Zkitishvili G. Der Früh-hellenistische Feuertempel von Kavtiskhevi. – AA, 1995, S. 83-98.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – 1. შავსაყდარა II (იხ. ტაბ. VIII₁₆); 2. კამარახევი (იხ. ტაბ. VII₆₅); 3. მცხეთიჯვარი [4, ტაბ. IX]; 4. ასურეთი [37, სურ. 579]; 5. პა-ზიგორა [40, გვ. 20, ტაბ. XXI₁₅]; 6. ჩალიპირა გორები [44, კატ. № 385]; 7. ეცო (იხ. ტაბ. IX₁₀); 8. ცხრაძმა (გამოუქვეყნებელი); 9. ეცო (იხ. ტაბ. IX₁); 10. შავსაყდარა [37, სურ. 571]; 11. კამარა-ხევი (იხ. ტაბ. VII₃); 12. ვარსიმაანთვარი [16, გვ. 12, სურ. 1]; 13. ობილისი [37, სურ. 561]; 14. საკ-რაველი [2, გვ. 16, სურ. 1]; 15. ეცო [19, გვ. 19, სურ. 3]; 16. ეცო [19, გვ. 19]; 17. ნაცარგორა (იხ. ტაბ. VII₄₄); 18. პაზიგორა [40, გვ. 20, ტაბ. XXI₁₁]; 19. აბულმუგი (იხ. ტაბ. VII₁₁); 20. ვარსიმაანთვარი [22, გვ. 59, ტაბ. XX₁; გვ. 142, სურ. 558]; 21. კუშჩი (იხ. ტაბ. VII₁₃); 22. კუშჩი (იხ. ტაბ. VII₁₄); 23. ბაზალეთი [43, სურ. 161]; 24. მცხე-თიჯვარი [4, ტაბ. IX]; 25. მცხეთიჯვარი [4, ტაბ. IX]; 26. დირბი [37, სურ. 562]; 27-29. ტახ-ტიძირი (გამოუქვეყნებელი); 30. ვანი [35, გვ. 93, ტაბ. 182]; 31. ვანი [10, გვ. 91, ტაბ. 77₄]; 32. ვანი [11, გვ. 202, ტაბ. 176]; 33. დაჭრილები (იხ. ტაბ. VIII₄₄); 34. დაჭრილები (იხ. ტაბ. VIII₂₇); 35. შავსაყდარა II (იხ. ტაბ. VIII₁₈).
- ტაბ. II – 1. ეცო (იხ. ტაბ. IX₃₀); 2. ეცო [19, გვ. 19]; 3. ბამბები (იხ. ტაბ. X₄₃); 4. ოხერა (იხ. ტაბ. VII₆₈); 5. მარაბდა (გამოუქვეყნებელი); 6. დაჭრილები (იხ. ტაბ. VIII₁₉); 7. ეცო [19, გვ. 19, სურ. 1]; 8. ეცო [20, გვ. 19, 61, ტაბ. II₈₅₋₁]; 9. ეცო (იხ. ტაბ. IX₂₀); 10. ოელათვორი [42, გვ. 65, ტაბ. 168]; 11. ასურეთი [37, გვ. 142, სურ. 524]; 12. შავსაყდარა II [41, ტაბ. 27₄; 12, გვ. 52, ტაბ. XI₄]; 13. შავსაყდარა (გამოუქვეყნებელი); 14. მცხეთიჯვა-რი [4, ტაბ. IX]; 15. კამარახევი (იხ. ტაბ. VII₄₉); 16. აბულმუგი [43, ტაბ. VI]; 17. ოთხვისი [44, გვ. 126, № 286]; 18. ღრმახევისთავი (იხ. ტაბ. VII₃₀); 19. ოთხვისი [44, გვ. 126, № 285]; 20-26. გვიანბრინჯაორკინის ხანის ნაპრიალები ან ნაკარი სამკუთხედებით შემცული ჭურჭლის ნი-მუშები [7, ტაბ. XXVIII, LIX, LXXVIII, LXXIX]; 27-31. ამოკაწრული ორნამენტის ნიმუშები; 32-42. წითელი საღებავით დატანილი ორნამენტის ნიმუშები.

ტაბ. III – 1. მჭადიჯვრის გორა [38, ტაბ. CXLIX₁]; 2. სამადლო, ქვედა ელინისტური ფენა [31, გვ. 20-21, ტაბ. XVIII₂₃₄]; 3. ნატახტარი II (იხ. ტაბ. VIII₄); 4. ნატახტარი II (იხ. ტაბ. VIII₁₅).

ტაბ. IV – 1. სამადლო, ქვედა ელინისტური ფენა [31, გვ. 20, ტაბ. XVI₂₃₃, XVII₂₃₃]; 2. სამადლო, ქვედა ელინისტური ფენა [31, გვ. 19, ტაბ. XV]; 3-31. სამადლო, ქვედა ელინისტური ფენა [31, ტაბ. XIV, XXXIX₅₈₃, 574, XLVIII_{714,715,716}; LI_{757,759}, LII]; 32. სამადლო, ამფორისკი, ზედა ელინისტური ფენა [31, გვ. 34, pl. XLI₅₉₆]; 33. სამადლო, შავლაკაიანი უნგვენტარიუმი, ქვედა ელინისტური ფენა [31, გვ. 20, ტაბ. XIX₂₃₁]; 34, 36. სამადლო, შავლაკაიანი უნგვენტარიუმების ფრაგმენტები, ქვედა ელინისტური ფენა [31, გვ. 10-11, ტაბ. V_{32, 39}]; 35. სამადლო, შავლაკაიანი ღანგარი, ქვედა ელინისტური ფენა [31, გვ. 20, ტაბ. XIX₂₃₀]; 37, 38, 40, 42. სამადლო, ელინისტური ფენა [31, გვ. 11, 13, ტაბ. VI₅₀, VII_{71, 73, 78}]; 39, 41. სამადლო, ქვედა ელინისტური ფენა [31, გვ. 24-25, ტაბ. XXV].

ტაბ. V – 1-3. ციხიაგორა [45, გვ. 90, სურ. 9-11].

ტაბ. VI – 1-2. ციხიაგორა [13, გვ. 57-58, ტაბ. III₂, V₁]; 3, 4, 5. ეცო (იხ. ტაბ. X_{55, 64, 54}); 6, 8, 13, 15. ოელათგორი [42 გვ. 67, ტაბ. 166]; 7, 19. ციხიაგორა [13, გვ. 57-58, ტაბ. III₁₇; IV₁₀; 9, 12, 18]. ოელათგორი [42 გვ. 67, ტაბ. 166]; 10, 11, 14. კაზრეთი (იხ. ტაბ. X_{1, 35}); 16. დაჭრილები (იხ. ტაბ. VIII₃₂); 17. ოეთრიწყარო [5, გვ. 63, ტაბ. I₁]; 20-22. ბამბები (იხ. ტაბ. X_{23, 14, 25}); 23-26, 30, 31, 35, 36, 40, 41. ბამბები [24, გვ. 124-126, ტაბ. XVIII, XX]; 27, 29. აღაიანი [14, გვ. 35-36, სურ. 16, 18]; 28. სამთავრო [9, გვ. 55, ტაბ. XLVII₁]; 32-34, 37-39. საყარაულო სერი [27, ტაბ. XLII₄, XLIV₁₀, XLVI₁, XLIII₈, XLV₁, XLIX₄].

ტაბ. VII – 1-12. აბულმუჯი, სამ. № 2 [21, გვ. 42-47, ტაბ. II; 33, გვ. 54, ტაბ. 133]; 13-27. კუშჩი, სამ. № 3 [34, გვ. 8-10, ტაბ. II; 6, გვ. 49-52, ტაბ. VI_{III}]; 28-37. ღრმახევისთავი, სამ. № 91 [1, გვ. 162-163, ტაბ. 138]; 38-44. ნაცარგორა, სამ. № 167 [36, გვ. 85, ტაბ. 73]; 45-50. კამარახევი, სამ. № 47, [28, სურ. 1094-1099; 37, სურ. 563]; 51-59. ვარსიმაანთკარი, სამ. № 175 [38, ტაბ. CXLII]; 60-63. კამარახევი, სამ. № 32, [28, სურ. 1047-1050; 37, სურ. 573]; 64-65. კამარახევი, სამ. № 9 [28, სურ. 956-957; 37, სურ. 562]; 66-73. ოხერა, სამ. № 1 [29, გვ. 83, ტაბ. 178].

ტაბ. VIII – 1-7. ნატახტარი II [3, ტაბ. IV]; 8-10. შავსაყდარა II, სამ. № 13 [41, გვ. 26, ტაბ. 31; 12, გვ. 42-65, ტაბ. XVI]; 11-15. ნატახტარი II [3, ტაბ. XXII]; 16-18. შავსაყდარა II, სამ. № 12 [41, გვ. 26, ტაბ. 30; 12, გვ. 43-65, ტაბ. XV]; 19-23. დაჭრილები, სამ. № 8 [15, გვ. 32, ტაბ. XXX; 9, გვ. 45, ტაბ. XXXVI; 37, სურ. 574]; 24-28. დაჭრილები, სამ. № 10 [15, გვ. 33, ტაბ. XXXI; 9, გვ. 45, ტაბ. XXXVII₁₋₅; 37, სურ. 576];

29-39. დაჭრილები, სამ. № 11 [15, გვ. 33, ტაბ. XXXII; 9, გვ. 45, ტაბ. XXXVI₁₋₁₁; 37, სურ. 577]; 40-45. დაჭრილები, სამ. № 18 [15, გვ. 36, ტაბ. XXXVI; 9, გვ. 45-46, ტაბ. XXXV₁₃₋₁₈; 37, სურ. 575].

ტაბ. IX – 1-8. ეცო, სამ. № 74 [20, გვ. 60, ტაბ. I_{74-1, 8}]; 9-19. ეცო, სამ. № 87 [20, გვ. 60, ტაბ. I₈₇₋₁₋₁₅]; 20-28. ეცო, სამ. № 80 [20, გვ. 61, ტაბ. II_{80-1, 8}]; 29-39. ეცო, სამ. № 88 [19, გვ. 19].

ტაბ. X – 1-13. კაზრეთი, სამ. № 14 [18, გვ. 35-38, ტაბ. XVIII; 37, სურ. 411]; 14-19. ბამბები, სამ. № 7 [23, გვ. 81; 24, ტაბ. XXII-XXIII]; 20-34. ბამბები, სამ. № 8 [23, გვ. 80, ტაბ. XXVIII, XLIX, LIV₁₃₋₁₄; 24, ტაბ. XXII-XXIII]; 35-42. კაზრეთი, სამ. № 5 [18, გვ. 33-35, ტაბ. XX]; 43-53. ბამბები, სამ. № 1 [23, გვ. 75-76, ტაბ. XLIV]; 54-62. ეცო, სამ. № 88 [20, გვ. 61, ტაბ. II_{88-1, 10}]; 63-78. ეცო, სამ. № 74 [20, გვ. 61, ტაბ. III_{16-1, 12}]; 79-88. სტირფაზი, სამ. № 74 [39, გვ. 95-109, ტაბ. L].

Description of plates

Pl. I. – 1. Shavsakdara II (see pl. VIII₁₆); 2. Kamarachevi (see pl. VII₆₅); 3. Mtskhetijvari [4, pl. IX]; 4. Asureti [37, fig. 579]; 5. Papigora [40, p. 20, pl. XXI₁₅]; 6. Chalipira gorebi [44, kat. № 385]; 7. Etso (see pl. IX₁₀); 8. Tskhradzma (unpublished); 9. Etso (see pl. IX₁); 10. Shavsaqdara [37, fig. 571]; 11. Kamarakhevi (see pl. VII₃); 12. Varsimaantkari [16, p. 12, fig. 1]; 13. Tbilisi [37, fig. 561]; 14. Sakraveli [2, p. 16, fig. 1]; 15. Etso [19, p. 19, fig. 3]; 16. Etso [19, p. 19]; 17. Natsargora (see pl. VII₄₄); 18. Papigora [40, p. 20, pl. XXI₁₁]; 19. Abulmugi (see pl. VII₁₁); 20. Varsimaantkari [22, p. 59, pl. XX₁; p. 142, fig. 558]; 21. Kushchi (see pl. VII₁₃); 22. Kushchi (see pl. VII₁₄); 23. Bazaleti [44, fig. 161]; 24. Mtskhetijvari [4, pl. IX]; 25. Mtskhetijvari [4, pl. IX]; 26. Dirbi [37, fig. 562]; 27-29. Takhtidziri (unpublished); 30. Vani [35, p. 93, pl. 182]; 31. Vani [10, p. 91, pl. 77₄]; 32. Vani [11, p. 202, pl. 176]; 33. Dachrilebi (see pl. VIII₄₄); 34. Dachrilebi (see pl. VIII₂₇); 35. Shavsakdara II (see pl. VIII₁₈).

Pl. II – 1. Etso (see pl. IX₃₀); 2. Etso [19, p. 19]; 3. Bambebi (see pl. X₄₃); 4. Okhera (see pl. VII₆₈); 5. Marabda (unpublished); 6. Dachrilebi (see pl. VIII₁₉); 7. Etso [19, p. 19, fig. 1]; 8. Etso [20, p. 61, pl. II₈₅₋₁]; 9. Etso (see pl. IX₂₀); 10. Telatgori [42, p. 65, pl. 168]; 11. Asureti [37, p. 142, fig. 524]; 12. Shavsaqdara II [41, pl. 27₄; 12, p. 52, pl. XI₄]; 13. Shavsakdara (unpublished); 14. Mtskhetijvari [4, pl. IX]; 15. Kamarakhevi (see pl. VII₄₉); 16. Abulmugi [43, pl. VI]; 17. Itkvisi [44, p. 126, cat. № 286]; 18. Ghrmakhevistavi (see pl. VII₃₀); 19. Itkhvisi [44, p. 126, cat. № 285]; 20-26. The examples of Late Bronze-Iron age pottery

ornamented by incised triangles [7, pl. XXVIII, LIX, LXXVIII, LXXIX]; 27-31. The examples of incised ornament; 32-42. The examples of painted ornament.

Pl. III – 1. Mchadijvris gora [38, pl. CXLIX₁]; 2. Samadlo, lower Hellenistic layer [31, p. 20-21, pl. XVIII₂₃₄]; 3. Natakhtari II (see pl. VIII₄); 4. Natakhtari II (see pl. VIII₁₅).

Pl. IV – 1. Samadlo, lower Hellenistic layer [31, p. 20, pl. XVI₂₃₃, XVII₂₃₃]; 2. Samadlo, lower Hellenistic layer [31, p. 19, pl. XV]; 3-31. Samadlo, lower Hellenistic layer [31, pl. XIV, XXXIX_{583, 574}, XLVIII_{714, 715, 716}; LI_{757, 759}, LII]; 32. Samadlo, amphorisk, upper Hellenistic layer [31, p. 34, pl. XLI₅₉₆]; 33. Samadlo, black-glazed unguentaria, lower Hellenistic layer [31, p. 20, pl. XIX₂₃₁]; 34, 36. Samadlo, black-glazed unguentariae, lower Hellenistic layer [31, p. 10-11, pl. V_{32, 39}]; 35. Samadlo, blackglazed tray, lower Hellenistic layer [31, p. 20, pl. XIX₂₃₀]; 37, 38, 40, 42. Samadlo, Hellenistic layer [31, p. 11, 13, pl. VI₅₀, VII_{71, 73, 78}]; 39, 41. Samadlo, lower Hellenistic layer [31, p. 24-25, pl. XXV].

Pl. V – 1-3. Tsikhiagora [45, p. 90, fig. 9-11].

Pl. VI – 1-2. Tsikhiagora, lower Hellenistic layer [13, p. 57-58, pl. III₂, V₁]; 3, 4, 5. Etso (see pl. X_{54, 55, 64}); 6, 8, 13, 15. Telatgori [42, p. 67, pl. 166]; 7, 19. Tsikhiagora, lower Hellenistic layer [13, p. 57-58, pl. III₁₇, IV₁₀]; 9, 12, 18. Telatgori [42, p. 67, pl. 166]; 10, 11, 14. Kasreti (see pl. X_{1, 35}); 16. Dachrilebi (see pl. VIII₃₂); 17. Tetritskaro [5, p. 63, pl. I₁]; 20-22. Uplistsikhe (Bambebi – see pl. X_{23, 14, 25}); 23-26, 30, 31, 35, 36, 40, 41. Uplistsikhe (Bambebi, upper Hellenistic layer) [24, p. 124, 126, pl. XVIII, XX]; 27, 29. Aghaiani [14, p. 35-36, fig. 16, 18]; 28. Samtavro [9, p. 55, pl. XLVII₁]; 32-34, 37-39. Saqaraulo Seri [27, pl. XLII₄, XLIV₁₀, XLVI₁, XLIII₈, XLV₁, XLIX₄].


Pl. VII – 1-12. Abulmugi, gr. No 2 [21, p. 42-47, pl. II; 33, p. 54, pl. 133]; 13-27. Kushchi, gr. No 3 [34, p. 8-10, pl. II; 6, p. 49-52, pl. VI_{III}]; 28-37. Ghrmakhevistavi, gr. No. 91 [1, p. 162-163, pl. 138]; 38-44. Natsargora, gr. No. 167 [36, p. 85, pl. 73]; 45-50. Kamarakhevi, gr. No. 47 [28, fig. 1094-1099; 37, fig. 563]; 51-59. Varsimaantkari, gr. No. 175 [38, pl. CXLII]; 60-63. Kamarakhevi, gr. No. 32 [28, fig. 1047-1050; 37, fig. 573]; 64-65. Kamarakhevi, gr. No. 9 [28, fig. 956-957; 37, fig. 562]; 66-73. Okhera [29, p. 83, pl. 178].

Pl. VIII – 1-7. Natakhtari II [3, pl. IV]; 8-10. Shavsaqdara, gr. No. 13 [41, p. 26, pl. 31; 12, p. 42-65, pl. XVI]; 11-15. Natakhtari II [3, pl. XXII]; 16-18. Shavsaqdara, gr. No. 12 [41, p. 26, pl. 30; 12, 43-65, pl. XV]; 19-23. Dachrilebi, gr. No. 8 [15, p. 32, pl. XXX; 9, p. 45, pl. XXXVI]; 37, fig. 574]; 24-28. Dachrilebi, gr. No. 10 [15, p. 33, pl. XXXI; 9, p. 45, pl. XXXVII₁₋₅; 37, fig. 576]; 29-39. Dachrilebi, gr. No. 11 [15, p. 33, pl. XXXII; 9, p. 45, pl. XXXVI₁₋₁₁; 37, fig. 577]; 40-45. Dachrilebi, gr. No. 18 [15, p. 36, pl. XXXVI; 9, p. 45-46, pl. XXXV₁₃₋₁₈; 37, fig. 575].







Pl. IX – 1-8. Etso, gr. No. 74 [20, p. 60, pl. I_{74, 1, 8}]; 9-19. Etso, gr. No. 87 [20, p. 60, pl. I_{87-1, 15}]; 20-28. Etso, gr. No. 80 [20, p. 61, pl. II_{80-1, 8}]; 29-39. Etso, gr. No. 88 [19, p. 19].

Pl. X – 1-13. Kasreti, gr. No. 14 [18, p. 35-38, pl. XVIII; 37, fig. 411]; 14-19. Uplistsikhe, gr. No. 7 [23, p. 81; 24, pl. XXII-XXIII]; 20-34. Uplistsikhe, Bambebi, gr. No. 8 [23, p. 80, pl. XXVIII-XLIX, LIV₁₃₋₁₄; 24, pl. XXII-XXIII]; 35-42. Kazreti, gr. No. 5 [18, p. 33-35, pl. XX]; 43-53. Uplistsikhe, Bambebi, gr. No. 1 [23, p. 75-76, pl. XLIV]; 54-62. Etso, gr. No. 88 [20, p. 61, pl. II_{88-1, 10}]; 63-78. Etso, gr. No. 16 [20, p. 61, pl. III_{16-1, 12}]; 79-88. Stirfas, gr. No. 74 [39, p. 95-109, pl. L].




ঁৰা. I




Ѳаð. II





ტაბ. III




გაბ. IV





1



2
0 10






ტაბ. V




1

0 8 16




2





0 10 20 30




3




გაბ. VII




Флд. VIII



გაბ. IX





ქეთევან ჯავახიშვილი

ვითვალისწინებოთ რა მკვლევართა ინტერესს აქემენიდურ სამყაროსთან ქართლის (იბერიის) ურთიერთობის საკითხისადმი, მიზანშეწონილად მივიჩნევთ გამოვაქეცენოთ გამოკვლევა ლურჯი მინის მრავალწახნაგების შესახებ, რომელიც 1975 წელს დაცული ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ნაწილს შეადგენს [23, გვ. 20-25]. მასში გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენ ძირითადად დღესაც ვიზიარებთ. შესაძლოა რამდენადმე დასაზუსტებელი იყოს მათი თარიღი (რაც თავის დროზეც აღნიშნული გვქონდა). გამოკვლევა მცირე ცვლილებებისა და დამატებების (რაც დაკავშირებულია ახალ აღმოჩენებთან) გარდა, იძეჭდება უცვლელად.

* * *

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ლურჯი მინის მრავალწახნაგები (ლ.მ.მ.) ამიერკავკასიის გლიცტიკის მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. როგორც ზოგადი ხასიათის არქეოლოგიურ ნაშრომებში, ისე ამ ძეგლებისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევებში განხილულია ამ მრავალწახნაგების წარმომავლობის, დათარიღების, დანიშნულების და ამავე წრის სხვა გლიცტიკურ ძეგლებთან მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. დღეისათვის ყველა ამ საკითხის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. წინამდებარე ნაშრომს არა აქვს პრეტენზია საბოლოო სიტყვის თქმისა, მისი მიზანია ერთგვარად თავი მოუყაროს უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ მასალას და ბოლოდროინდელი ლიტერატურის საფუძველზე რამდენადმე ახლებური ინტერპრეტაცია მისცეს მას.

პირველი მკვლევარი, რომელიც ლ.მ.მ.-ის საკითხს შეეხო, მ. მაქსიმოვა იყო. ამ ძეგლებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში [31, გვ. 72-92] მ. მაქსიმოვამ განიხილა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლურჯი მინის შვიდი მრავალწახნაგა. იმხანად მსგავსი ფორმის მრავალწახნაგები ცნობილი იყო მხოლოდ მცირე აზიაში, ამასთანავე დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, სახელდობრ ძვ.წ. V ს. ბოლოსა და IV საუკუნეში [31, გვ. 75]. მ. მაქსიმოვა ვარაუდობს, რომ ეს ფორმა საბეჭდავებისა თავისი წარმოშობით მცირეაზიულია. მის წინამდებედებად შეიძლება ჩაითვალოს მცირე აზიაში ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულში გარცელებული ე.წ. ორფერდა სახურავისმაგარი ხეთური და კაპადოკიური საბეჭდავების ფორმები, რომლებიც აქემენიდურ ხანაში აითვისეს მცირე აზიაში მცირებმა ბერძენმა და სპარსელმა ოსტატებმა [31, გვ. 89]. ამან საფუძველი მისცა მ. მაქსიმოვას ლ.მ.მ.-ის ფესვები გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიული გლიცტიკის ნიმუშებში ეძებნა. მ. მაქსიმოვას თქმით, ამ თარიღს შეესაბამებოდა იმ კომპლექსების დათარიღებაც, რომელშიც აღმოჩენილი იყო მის მიერ შესასწავლი

ლურჯი მინის მრავალწახნაგები

ზოგიერთი მრავალწახნაგა: წალკის (სანთის) სამარხი დათარიღებული იყო გვიანაქემენიდური, ხოლო სამთავროს ქვევრსამარხები – ელინისტური ხანით [31, გვ. 75].

გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიულ გლიცტიკაში ორ ძირითად მხატვრულ მიმართულებას გამოჰყოფება: აღმოსავლურ-იონიურის და „ბერძნულ-სპარსულს.“³ აღმოსავლურ-იონიური საბეჭდავები ბერძენი ოსტატების ნახელავად ითვლება. „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავების შემქმნელი ოსტატების ეთნიკური ვინაობის შესახებ კი სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მკვლევართა ერთ ნაწილს (ა. ფურტვენგლერს, უ. რიხტერს, დ. ობორნს და სხვებს) მიაჩნია, რომ „ბერძნულ-სპარსულ“ საბეჭდავებს ამზადებდნენ მცირე აზიაში სპარსელების საშახურში შეოფი ბერძენი ოსტატები, სპარსელი მომხმარებლის გემოვნების გათვალისწინებით; მეორე ნაწილი (ჟ. ფოვილი, ა. კნიპოვიჩი [28, გვ. 41-58], მ. მაქსიმოვა [39, გვ. 77-78], ა. სერიგი და სხვები) კი სოვლის, რომ ისინი წარმოადგენენ სპარსელი ოსტატების ნამუშევრებს, მაგრამ განიცდიან ბერძნული ხელოვნების გარკვეულ გავლენას.⁴ 6. ნიკულინას მიაჩნია, რომ ე.წ. „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავები, რომლებსაც ის ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით და შეუწლებით ათარიღებს, არ შეიძლება ჩაითვალოს არც ბერძენი და არც სპარსელი ოსტატების ნაწარმოებებად, რადგან ამ საბეჭდავების ხელოვნება შერეულ ხასიათს ატარებს. ის წარმოიშვა ადგილობრივი მცირე-აზიელი ხალხების ხელოვნების საფუძველზე, რომელმაც ერთდროულად განიცადა როგორც ბერძნული, ისე სპარსელი ხელოვნების გავლენა [33, გვ. 20]. მცირეაზიული საბეჭდავების ამ ორი ჯგუფის გარდა მ. მაქსიმოვამ გამოჰყო კიდევ ერთი ჯგუფი საბეჭდავებისა, რომლებიც თავისი ფორმითა და გამოსახულებების სიუჟეტებით ძირითადად ბაძვენ აღმოსავლურ-იონიურს და განსაკუთრებით კი „ბერძნულ-სპარსულ“ საბეჭდავებს, მაგრამ ბევრად უფრო ჩამოუკარდებიან მათ დამტავების ტექნიკისა და მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით. ეს არის უფრო მცირე ზომის საბეჭდავები, რომლებიც გამოიჩევიან გარკვეული დამოუკიდებლობით როგორც სტილის მხრივ, ისე სიუჟეტის არჩევითა და რამდენადმე განსხვავებული ფორმითაც; თუ დიდი ზომის მრავალწახნაგა საბეჭდავების ფუძე კვადრატს უახლოვდება, მცირე

³ პირველი, ვინც ამგვარად დააჯგუფა გვიანაქემენიდური ხანის მცირე აზიაში საბეჭდავები ა. ფურტვენგლერი იყო [38, გვ. 116].

⁴ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრების შესახებ დაწვრილებით იხ. [7, გვ. 134-136; 33, გვ. 4-9].

ზომის საბეჭდავების ფუძის სიგრძე თითქმის ოჯერ მეტია სიგანეზე. გარდა ამისა დიდი ზომის მრავალწახნაგების ორივე ფუძე და ყველა ფერდი გამოსახულებით არის შემკული, მცირე ზომის საბეჭდავებზე კი გამოსახულება არის მხოლოდ ფართო ფუძეზე [31, გვ. 78-79]. ეს მცირე ზომის საბეჭდავები მ. მაქსიმოვამ სხვა „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავების თანადროულად ჩათვალა და მცირე აზიის ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსულ ოსტატთა ნამუშევრებად მიიჩნია [39, გვ. 675; 31, გვ. 78].

საქართველოში აღმოჩენილი ლ.მ.მ.-ის როგორც ფორმის, ისე გამოსახულებების სიუჟეტებისა და სტილის ადგილობრივ მცირეაზიულ საბეჭდავებთან შედარების შედეგად მ. მაქსიმოვა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლ.მ.მ. არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი ნიმუშები და რომ ისინი ადგილობრივი მცირეაზიული საბეჭდავების მექანიკურ პირებს წარმოადგენენ [31, გვ. 77]. ხოლო იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ საბეჭდავების მრავალწახნაგა ფორმა ხეთურ-კაპადოკიური საბეჭდავებიდან განვითარდა, მ. მაქსიმოვა ვარაუდობს, რომ ორიგინალები ლ.მ.მ.-ისა, სადღაც მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებიდან უნდა მომდინარებდნენ [31, გვ. 90]. ის რომ განხილული შვიდივე მრავალწახნაგა საქართველოს ტერიტორიაზე არის აღმოჩენილი და ამასთანავე მსგავსი მრავალწახნაგები ევროპისა და ამერიკის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში არსად არ იყო ცნობილი, გახდა საფუძველი იმისა, რომ მ. მაქსიმოვას გამოეთქვა მტკიცე ვარაუდი ამ მრავალწახნაგების საქართველოს ტერიტორიაზე დამზადების შესახებ. ამ მოსაზრებას მ. მაქსიმოვა ამაგრებს იმითაც, რომ ამიერკავკასიაში, კერძოდ კი მცხეთა-სამთავროში, დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი მძივები (რომელთა ადგილობრივ წარმოებაში მკვლევარის აზრით ეჭვის შეტანა შეუძლებელია), დამზადებული ისეთივე ლურჯი მინისაგან, რომლიდანაც დამზადებულია ლ.მ.მ. [31, გვ. 90-91].

ამრიგად, ლ.მ.მ. მ. მაქსიმოვას ადგილობრივი მცირეაზიული საბეჭდავების იბერიულ პირებად მიაჩნია და მათ ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. IV ს.-ით ათარიღებს.

ლ.მ.მ.-ის საკითხს ს. ბარნაველიც შეეხო. ს. ბარნაველს მიაჩნია, რომ ამ მრავალწახნაგების დედნები დაკავშირებულია მცირე აზიის გლიპტიკურ მეგლებთან, მაგრამ შესაძლოა ისინიც ადგილობრივი, იბერიაში მზადდებოდა. ერთ-ერთ ასეთ დედნად მას ს. პრტენში აღმოჩენილი ქვის მრავალწახნაგა საბეჭდავი მიაჩნია, რომელსაც მკვლევარი ელინისტური ხანით ათარიღებს [1, გვ. 575-580].

ფართოდ განიხილავს ლ.მ.მ.-ის საკითხს მ. ლორთქიფანიძე. მ. ლორთქიფანიძემ შეისწავლა ამ მრავალწახნაგების ახლად აღმოჩენილი ცალები, ძირითადად გააღმავა და მეტი საბუთიანობა შესძინა მ. მაქსიმოვას მიერ წამოყენებულ

მოსაზრებებს (განსაკუთრებით მათი ადგილობრივი – იბერიული წარმოშობის შესახებ), და ახალ მასალებზე დაყრდნობით რამდენადმე გააფართოვა მათი გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ლ.მ.მ.-ის წარმოება დიდხანს არსებობდა, ხოლო ხმარებაშია ახ.წ. I ს-მდე [7, გვ. 136; 8, გვ. 49]. ძველი საქართველოს გლიპტიკური მეგლების კორპუსში საბეჭდავების IV ჯგუფს, რომელშიც ლ.მ.მ.-იც შედის, მ. ლორთქიფანიძე ზოგადად ძვ.წ. V-II სს. ათარიღებს [8, გვ. 104]. ამავე დროს სამთავროში აღმოჩენილ ერთ-ერთ ბაცი ლ.მ.მ-ას, რომელსაც მკვლევარი „გვიანდელ ჯგუფს“ მიაწერს, ძვ.წ. I ს. აკუთვნებს [6, გვ. 29, № 25; 8, გვ. 117, № 100]. აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ, რომ მ. ლორთქიფანიძე ლ.მ.მ.-ის წარმოებას ძვ.წ. I ს. ჩათვლით ვარაუდობს (თუმცა გარკვევით ამის შესახებ არ ამბობს).

აქერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ლ.მ.მ.-სადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში არქეოლოგი ი. ბაბაევი სავსებით იზიარებს ამგვარი მრავალწახნაგების შესახებ მ. მაქსიმოვას მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს, მათ შორის, მათი იბერული წარმომავლობის შესახებაც და ათარიღებს ძვ.წ. IV საუკუნით [18, გვ. 133].

სომხეთში აღმოჩენილი ლ.მ.მ.-ის ნაწილი სპეციალურად შესწავლილი აქვს უ. ხაჩატრიანის [35, გვ. 271-277]. უ. ხაჩატრიანი იზიარებს ამ მრავალწახნაგებისათვის მ. მაქსიმოვას მიერ შემოთავაზებულ თარიღს და მოსაზრებას მათი დედნების შესახებ [35, გვ. 271-273], მაგრამ გამოთქვამს მათი სომხეთში დამზადების ვარაუდს. ამის საბუთად ავტორი ასახელებს რომ მრავალწახნაგას, რომელიც მას ქვისად მიაჩნია და მინის მრავალწახნაგების დედნებად სთვლის [35, გვ. 275-276]. სინამდვილეში ორივე ეს მრავალწახნაგა მინისაა: ერთი ლურჯი და მეორე – მწვანე (ქ. ჯ.) და ამდენად მოსაზრება მათი დედნობის შესახებ, საფუძველს მოკლებულია. არც ალექსანდრე მაკედონელის მონეტის აღმოჩენა ლურჯი მინის მრავალწახნაგასთან ერთად გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ სომხეთში აღმოჩენილი მრავალწახნაგები ძვ.წ. V-IV სს. ეპუთვნის⁵ და მაშასადამე უფრო ადრეულია, ვიდრე ზუსტად ისეთივე მრავალწახნაგები, აღმოჩენილი საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე), ვინაიდენ ჯერ კიდევ ა.ნ. ზოგრაფი აღნიშნავდა, რომ ალექსანდრე მაკედონელის მონეტები მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ სულ ცოტა ორი საუკუნის განმავლობაში იჭრებოდა, ე.ი. ძვ.წ. III და II სს-ში [25, გვ. 179]. არის რამდენიმე შემთხვევა ამ მონეტების აღმოჩენისა ავგუსტუსის, გოტარზეს [26, გვ.

⁵ ნახიჩევანში არის ერთი შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი, რომელშიც ლურჯი მინის მრავალწახნაგასთან ერთად აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის მონეტა.

172; 27, გვ. 169; 4, გვ. 35] და ახ.წ. II ს. მონეტებთან ერთად [4, გვ. 35].

სომხეთში, ოშაკანის სამაროვანზე აღმოჩენილ ლურჯი მინის ორ მრავალწახნაგას, გამთხრელები ძვ.წ. II ს-ით ათარიღებენ [24, გვ. 32, ტაბ. IV_{2,4}].⁶

საფურადლებოა, რომ ლურჯი მინის მრავალწახნაგების უმრავლესობა აღმოჩენილია ისეთ არქეოლოგიურ კომპლექსებში, რომლებსაც მკვლევარები ძვ.წ. II-I სს., ახ.წ. I-II სს. და უფრო გვიანი ხანითაც ათარიღებენ. ასეთი სამარხებია ერთი არქეოლიდან [16, გვ. 198-205], ერთი კლდე-ეთიდან [5, გვ. 57-58, 171], ხუთი სამთავროდან [6, გვ. 29, № 25; 3, გვ. 55],⁷ ერთი უფლისცი-ხიდან (№ 3 ორმოსამარხი) [14, გვ. 77-78, ტაბ. XLVI_{4,5}], ორი ურბნისიდან [12; 13; 15, გვ. 80-81, №№ 129, 130], ერთი დიღომიდან [9, გვ. 95-96, 102, ტაბ. 53, № 54], ერთი ტუიაქოჩორადან [10, გვ. 160, 165-166, №№ 633, 634], სამი მინგრაურიდან [22, გვ. 82-83; 21, გვ. 26-27, ტაბ. XLIV_{4,5}]⁸ ერთი გარნისიდან [17, გვ. 51, ნახ. 42], ორი ოშაკანიდან [24, გვ. 32, ტაბ. IV_{2,4}]. ამასთანავე ზოგ შემთხვევაში გვიანდელ თარიღს სამარხში აღმოჩენილი მონეტებიც ადასტურებს. მაგ. ფრაატ III-ის (ძვ.წ. 70-57 წწ.) დრაქმა აღმოჩენილია სამთავროში სამხრ. უბნის № 110 ქვევრსამარხში [32, გვ. 263-264, № 65], ავგუსტუსის დენარები – ერთი ურბნისში XXV უბ. № 208 სამარხში [12; 15, გვ. 80-81, № 130] და ორი – დიღომში, თრელის სამაროვნის № 2 სამარხში [9, გვ. 95], ხოლო ორმაული რესპუბლიკური დენარები – ნასტაკისის სამაროვნის სამარხებში (რომლებშიც აღმოჩენილია ოცამდე ლ.მ.მ., მათ შორის რამდენიმე აქამდე უცნობი გამოსახულებითაც), რომლებიც კარგად თარიღდება ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.⁹ მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ გომარეთის სამაროვნის (დათარიღებულია ძვ.წ. IV-III სს.) ლ.მ.მ.-ის შემცველი № 12 ქვაფუთის შესახებ ც. დავლიანიძე აღნიშნავს, რომ ის „შესაძლოა ძვ.წ.

⁶ საფურადლებოა, რომ ერთ სამარხს ავტორები ლ.მ.მ.-ას საშუალებით ძვ.წ. II ს-ით ათარიღებენ [24, გვ. 2].

⁷ ლ.მ.მ. შემცველი, 1976 წელს ახალ არმაზში გათხრილი № 11 ქვაფუთი და 1986 წელს ბაიათხებში აღმოჩენილი № 21 კრამიტსამარხი, ინგენტარის მიხედვით რომაულ ხანას ეკუთვნის (ამ ორი უკანასკნელი სამარხის მასალები მოგვაწოდათ. სურგულაძე).¹⁰

⁸ საფურადლებოა, რომ აზერბაიჯანში აღმოჩენილი ყველა ლ.მ.მ. ძვ.წ. II-I სს. და ახ.წ. I-II სს. დათარიღებული ქვევრსამარხებიდან მომდინარეობს და ი. ა. ბაბაევი ცდილობს ამ სამარხების გადათარიღებას (დამვეღვებას) ლ.მ.მ. საშუალებით [18, გვ. 132-133].

⁹ ცნობა მოგვაწოდა ნასტაკისის ექსპედიციის ხელმძღვანელმა ა. ბოსოჩაძემ.

III ს. ბოლოსაკენ იწევდეს“ [2, გვ. 170],¹⁰ ხოლო ქაზრეთში „თელების ველზე“ აღმოჩენილ № 5 ქვევრსამარხს (რომელშიც ორი ლ.მ.მ. არის აღმოჩენილი) გამთხრელი, მ. სინაურიძე ადარებს გომარეთის № 12 ქვაფუთს და მიიჩნევს, რომ „მისი გაახალგაზრდავება ძვ.წ. II ს. ზევით ვერ ხერხდება“ [11, გვ. 35, 37, ტაბ. XVIII].

აღსანიშნავია, რომ სანთის (ნერონ-დერესის) სამარხი, რომელიც აღრე დათარიღებული იყო გვიანაქემნიდური ხანით [29, გვ. 30-31], რაც როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერთ-ერთი გადამწვეტი ფაქტორი იყო ლ.მ.მ.-ის გვიანაქემნიდური ხანით დათარიღებაში, ამჟამად ი. გაგოშიძემ გადაათარიღა ძვ.წ. II-I საუკუნეებით. ამავე ხანით დათარიღილა ი. გაგოშიძემ ლ.მ.მ.-ის შემცველი აღრე ძვ.წ. V-IV სს. დათარიღებული ბამბების № 5 ორმოსამარხი და ნასახლარი ფენაც [20, გვ. 79-80] და გამოსთქვა მოსაზრება, რომ ლ.მ.მ. ძვ.წ. I ს. უნდა დათარიღდეს [20, გვ. 90-103]. ი. გაგოშიძეს მიერ შემოთავაზებული ეს თარიღი უფრო საფურადლებო განხდება, თუ მას დავუკავშირებთ უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავების ერთი ჯგუფის დათარიღების შესახებ. კერძოდ, ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. ბორდმანმა 1970 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავების სერიიდან გამოჰყო ერთი ჯგუფი (ე.წ. ბერნის ჯგუფი), რომელიც, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, წარმოადგენს იგივე ტრადიციების (ე.ი. „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავების – ქ.ჯ.) გამაგრძელებელ უფრო გვიანი დროის ინტალიობებს. ეს საბეჭდავები ეკუთვნის აქემენიდური ხანის შემდგომ პერიოდს და თავისი ხელოვნებით „ბერძნულ-სპარსული“ სერიის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ამ საბეჭდავების შესახებ ჯ. ბორდმანი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ისინი უნდა ეკუთვნოდეს ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 356-323 წწ.) უშუალო მექვიდრეების აღრეულ ხანას, კერძოდ კი ძვ.წ. IV ს. ბოლოს ან III საუკუნეს, ვინაიდან აქეთ ბეგრი შეხების წერტილი სელეგ-კიდების დროის თიხის ბულების გამოსახულებებთან. ამ გამოსახულებების შესახებ ჯ. ბორდმანი აღნიშნავს, რომ მათი კომპოზიციები ნაკ-

¹⁰ სამარხის დათარიღებისას მხედველობაში მისაღებია, რომ ზოგადად ძვ.წ. IV-III სს. დათარიღებულ სამაროვანზე № 12 ქვაფუთის ქვეშ აღმოჩნდა № 11 ქვაფუთი, ამასთანავე № 12 ქვაფუთ აქეს სამაროვნის სხვა ქვაფუთებისაგან განსხვავებული დამხრობა (S-N) და ის, რომ მასში იყო მეორადი დაკრძალვა – მიხევტილ ბვლებში სამი მიცვალებულის ბვლები გამოიყო [2, გვ. 118-119].

¹¹ საფურადლებოა, რომ თავის მხრივ თვით სანთის სამარხის გვანაქემნიდური ხანით დათარიღება განაპირობა ამ სამარხში მრავალწახნაგების აღმოჩენამ [29, გვ. 140].

ლები დეტალიზაციით ხასიათდება, ხოლო გამოსახულებების სტილს უფრო აღმოსავლეური სამეფოების და კერძოდ, სპარსული ხელოვნების გავლენა ემჩნევა, ვიდრე ბერძნულისა [36, გვ. 320-321]. (ეს უკანასკნელი გარემოება უფრო ადრე შენიშნა ნ. ნიკულინამაც, მცირეზომის სირიულ-კაპადოკიური და იბერული მრავალწახნაგების მიმართ) [33, გვ. 19]. გარდა ამისა, ამ ჯგუფის მრავალწახნაგა საბეჭდავებზე გამოსახულება არის მხოლოდ ერთ ფუძეზე და არა ყველა ფერდზე და ორივე ფუძეზე, როგორც ეს უფრო ადრეული მრავალწახნაგა საბეჭდავებისათვის არის დამახასიათებელი [36, გვ. 321]. უფრო გვიან, კერძოდ კი 1978 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ჯ. ბორდმანი და მ. ლ. ფოლენვეიდერი ბერნის ჯგუფის საბეჭდავებს გვიან IV ს. ათარიღებენ [37, №№ 198, 199, 201, 202], ერთ-ერთ საბეჭდავს კი რამდენადმე უფრო კონკრეტულად, სახელდობრ „ძვწ. IV ს. ბოლო ან უფრო გვიანი ხანით“ [37, № 200], ხოლო ე.წ. a globolo ჯგუფის სკარაბეოიდებს (რომლებიც აგრეთვე „ბერძნულ-სპარსული“ წრის საბეჭდავებს ეკუთვნის) – ძვწ. III (?) საუკუნით [37, №№ 203-206]. ჯ. ბორდმანის მიერ განხილული ბერნის ჯგუფის საბეჭდავები, როგორც ჩანს, ყველა შემთხვევით აღმოჩნდა წარმოადგენს და მათ თარიღს მკვლევარი მხოლოდ გამოსახულებების შინაარსისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით გვთავაზობს [36, გვ. 320-321]. ამდენად შემდგომში ეს თარიღი შესაძლებელია კიდევ უფრო დაზუსტდეს. თავისთავად კი ის ფაქტი, რომ ე.წ. „ბერძნულ-სპარსული“ წრის საბეჭდავების ერთი ჯგუფის თარიღი მკვლევარს ძვწ. III საუკუნეში გადმოაქვს, საყურადღებოა, თუ გავიხსენებთ, რომ მანამდე საყოველთაოდ აღიარებული იყო ამ საბეჭდავების თარიღი – ძვწ. V-IV სს.

ჯ. ბორდმანის მიერ გამოყოფილი ე.წ. ბერნის ჯგუფის საბეჭდავები ძალიან ახლოს დგანან, უფრო ზუსტად, როგორც ჩანს, იგივე წრის საბეჭდავებს წარმოადგენენ, რომელსაც მ. მაქსიმოვა ადგილობრივ მცირეაზიულ საბეჭდავებს უწოდებს, იბერიული ლ.მ.ძ.-ის დენდებად მიიჩნევს და ძვწ. V-IV სს. ათარიღებს. ამ მრავალწახნაგებისათვის დამახასიათებელი ყველა ის თვისება, რომელიც ჯ. ბორდმანმა აღნიშნა, ბევრად უფრო ადრე შენიშნეს მ. მაქსიმოვამ და ნაწილობრივ ნ. ნიკულინამაც. მ. მაქსიმოვამ ამ მრავალწახნაგების თავისებურებანი მათი შემქმნელი ოსტატების ეთნიკური განსხვავებით ახსნა (ამის შესახებ ზევით გვქონდა საუბარი), ჯ. ბორდმანი კი ბერნის ჯგუფის საბეჭდავების გამოსახულებების შინაარსისა და სტილისტური ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიღა, რომ ამ ჯგუფის საბეჭდავებსა და დანარჩენ „ბერძნულ-სპარსულ“ საბეჭდავებს შორის განსხვავება მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას. ჯ. ბორდმანს მიაჩნია, რომ თვით

სპარსეთის სამეფოში ბერძნულ-სპარსული საბეჭდავები დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, კერძოდ, ძვწ. V ს-ის მეორე ნახ.-ში – IV სს-ში იყო გავრცელებული, მაგრამ იმპერიის განაპირა პროვინციებში ამ ტიპის საბეჭდავები უფრო გვიანაც შემოინახა. ასეთებად მკვლევარს მიაჩნია ბერნისა და a globolo ჯგუფების საბეჭდავები და მათ უკავშირებს აგრეთვე საქართველოში აღმოჩნდილ ლ.მ.-საც, რომლებსაც ის პროვინციული აქემენიდური სტილის ნაწარმს უწოდებს და აღნიშნავს, რომ მათი სტილი შეესატყვისება ბერნის ჯგუფის საბეჭდავების სტილს და რომ ისინი ჯერ კიდევ მოითხოვენ შესწავლას [36, გვ. 321-322, 326].¹²

ამრიგად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ორი სხვადასხვა გზით რამდენადმე უფრო დაზუსტებულ იქნა თარიღები როგორც ლ.მ.ძ.-ის შემცველი არქეოლოგიური კომპლექსებისა, ისე იმ საბეჭდავებისა, რომელთა პირებად (მ. მაქსიმოვა, მ. ლორთქიფანიძე) ან რომელთა გავლენით (ს. ბარნაველი) შექმნილად არის მიჩნეული იბერიული ლ.მ.ძ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ახწ. I ს-ის სამარხებში ამ მრავალწახნაგების აღმოჩნდები არ არის იშვიათი და მხოლოდ შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მრავალწახნაგების წარმოება ახწ. I ს-ის დასაწყისში კიდევ არსებობდა და შესაძლოა შეწყდა იბერიაში რომაული გლიფტიერი ნაწარმის მოზღვავებასთან დაკავშირებით. ამდენად, ჩვენ მაინც ვფიქროთ, რომ ამ მრავალწახნაგების წარმოება ძვწ. II საუკუნესა და ახ. წ. I ს-ის პირველ ნახევარს შორის უნდა ვიგულისხმოთ. შეუძლებელია, რომ სტილისტურად ისეთი ერთგვაროვანი და უცვლელი ნივთები, როგორიც ლ.მ.ძ. არის, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეწარმოებინათ. ეს მრავალწახნაგები აღიარებით დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში უნდა შექმნილიყო. ვფიქროთ, შემდგომი კვლევის შედეგად, როდესაც შესწავლილი და მეტ-ნაკლებად ზუსტად დათარიღებული იქნება ლ.მ.ძ.-ის შემცველი ყველა არქეოლოგიური კომპლექსი, შესაძლებელი გახდება ამ მრავალწახნაგების თარიღის უფრო შეტად დაზუსტება.

ლურჯი მინის მრავალწახნაგების შემდგომი შესწავლის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამჟამად ძალიან გაფართოვდა ე.წ. „ბერძნულ-სპარსული“ საბეჭდავების არეალი. გარდა მცირე აზიანისა ისინი აღმოჩნდილია სპარსეთში, ლიდაუში, საბერძნეთში, ეტრურიაში, სირიაში, ეგვიპტეში, ტაქსილაში (პენჯაპში, ინდო-

¹² ჯ. ბორდმანი არ აზუსტებს ბერნისა და a globolo ჯგუფის საბეჭდავების წარმოების ადგილს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ტაქსილის (პენჯაპი, ინდოეთი) ჯგუფის საბეჭდავები საშუალებას იძლევა „ბერძნულ-სპარსული“ ჯგუფის საბეჭდავების ლოგოტიპებისა სპარსეთის იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვარზე [36, გვ. 325].

ეთში) [40, გვ. 127; 36, გვ. 323-327]¹³ და სხვ. შემდგომი კვლევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ჯ. ბორდმანის დაკვირვებაც იმის შესახებ, რომ ამ ჯგუფის მრავალწახნაგა ფორმის საბეჭდავები ეპუთვნის უფრო ანატოლიას, ვიდრე სირიას, ეგვიპტეს ან უფრო შორეულ აღმოსავლეთს [36, გვ. 324].¹⁴

ამჟამად ცნობილია 80-ზე მეტი ლ.მ.მ. აქედან 70-მდე აღმოჩენილია საქართველოს (ძირითადად აღმ. საქართველოს) სხვადასხვა ადგილებში (იხ. ტაბ. II),¹⁵ ის ერთეული ცალები კი, რომელიც სომხეთში (10), აზერბაიჯანში (5), ჩრდ. ოსეთში (1) და ქერჩში (1)¹⁶ არის აღმოჩენილი, მ. ლორთქიფანიძეს, როგორც ჩანს, სრულიად სამართლიანად იძერითდან გატანილად მიაჩნია [7, გვ. 137; 8, გვ. 49]. ყველა ამ მრავალწახნაგას აერთიანებს დამზადების საერთო ტექნიკა (ჩამოსახმა), გამოსახულებების საერთო სტილი და შედარებით ერთგვაროვნი თემატიკა: ნალირობის სცენები, ადამიანის ბრძოლა ცხოველებთან და სხვადასხვა ცხოველები (იხ. ტაბ. I).

ჯერ კიდევ მ.ი. მაქსიმოვამ გამოსთხვა მოსაზრება ლ.მ.მ.-ის წარმოების მასობრივი ხასიათის შესახებ [32, გვ. 233], ვინაიდან ზოგ შემთხვევაში მათი გამოსახულებები სრულ მსგავსებას იჩენენ ერთმანეთთან – მრავალწახნაგები ერთ ყალიბში არის ჩამოსახმული. შემდგომმა აღმოჩენებმა სავსებით დაადასტურა ეს მოსაზრება

¹³ საყურადღებოა, რომ 2000 წელს აკად. ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა კახეთში, ს. ჯიმითში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ნივთები, მათ შორის არის ქალცედონის სკარაბეოდი, რომელიც გამოსახულების (ნალირობის სცენა) სტილის მიხედვით ბერნის ჯგუფის საბეჭდავებს უნდა ეკუთვნოდეს; შეად. [40, №№ 973, 974]. სამარხი მინის მძივებისა და ბრინჯაოს კონუსური დაფანჯრული ზარაკების მიხედვით ზოგადად ახ.წ. I-III სს. უნდა დათარიღდეს.

¹⁴ გვინდა აღვნიშოოთ, რომ მოსაზრება იმის შესახებ, რომ „არც ერთი მრავალწახნაგა ანატოლიიდან არ მომდინარეობს“, რომელიც ჩვენ ჯ. ბორდმანს მივაწერეთ [23, გვ. 33], მას არ გამოუთქვამს და ჩვენს ძიერ ტექსტის არასწორად გაგებით იყო გამოწვეული.

¹⁵ ტაბულაზე ასახულია ჩვენთვის 1980 წლისათვის ცნობილი მასალები ლ.მ.მ. შესახებ. მასში არ შევიდა ნასტაკისის, კაზრეთის, უინგალის (ახ.წ. III ს-ის სამარხში, ცნობა მომაწოდა კ. ჩიხლაძებ) და ზოგი სხვა მასალები, აგრეთვე შვიდა დაზიანებული ლ.მ.მ. (უფლისციისან, მეტენიდან, არკნეთიდან, კლდეთიდან), რომელთა გამოსახულებების გარკვევა ვერ ხერხდება, ყველა ესენი მითვლილია საერთო სათვალავში.

¹⁶ ლურჯი მინის ერთი მრავალწახნაგა, რომელიც მ. ლ. ფოლენვეიდერს აქვს გამოქვეყნებული, სიუჟეტით (ორი ცხოველი) და გამოსახულების სტილით ძალიან ახლოს არის იძერიულ ლ.მ.მ.-თან (უფრო სწორად იგივე ჯგუფს ეპუთვნის). მეკლევარი მას ძვ.წ. VIII-VII სს. ათარიღებს და ვარაუდობს რომ ის სირიული უნდა იყოს [41, გვ. 116-117, ტაბ. 60, № 147].

[8, გვ. 48]. ამჟამად ერთნაირი, ერთ ყალიბში ჩამოსხმული ლ.მ.მ. გვხვდება ორ-ორიდან ექვს-ექვს ცალამდე. ისე რომ ტაბულაზე წარმოდგენილი მრავალწახნაგები სულ 19 სხვადასხვა დედნიდან არის ჩამოსხმული (იხ. ტაბ. II).

ცნობილია, რომ უფერესი დროიდან საბეჭდავებს დიდი პრაქტიკული გამოყენება პქონდა. ანტიკური სამყარო უკვე იცნობდა კლიტე-გასაღებს, მაგრამ საბეჭდავებით დაბეჭდვას კვლავ ფართოდ იყენებონენ, განსაკუთრებით შინაურ საქმიანობაში, ამიტომ სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილების მიზნით ძევლია-განვე იდევნებოდა ზუსტად ერთნაირი საბეჭდავების დამზადება. ჯერ კიდევ სოლომა (ძვ.წ. VI ს. დასაწყისი) გამოსცა კანონი, რომლის თანახმად ქვის მჭრელებს ეკრძალებოდათ დაეტოვებინათ თავისთვის მათ მიერ ამოკვეთილი საბეჭდავების პირები, რომ რამდენიმე ერთნაირი საბეჭდავი არ დაემზადებინათ [30, გვ. 8]. არსებობს უფრო გვიანდელი ახ.წ. X ს. სპარსელი ისტორიკოსის ალ-ჯაბშიარის ცნობა იმის შესახებ, რომ ფარსის მეფეების დიდ განრისებას იწვევდა მეფის საბეჭდავების მსგავსი საბეჭდავების დამზადება [19, გვ. 11]. ის გარემოება, რომ ლურჯი მინის მრავალწახნაგების წარმოებას ძველ იძერიაში სერიული ხასიათი პქონდა, ე.ი. ზუსტად ერთნაირი, ერთ ყალიბში ჩამოსახმული „საბეჭდავები“, როგორც ჩანს, დიდი რაოდენობით მზადდებოდა, უჭვის ქვეშ აყენებს მათი საბეჭდავებად გამოყენების შესაძლებლობას. ვფირობთ, ისინი მხოლოდ ავგაროზებად და სამკაულებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.¹⁷ ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია ისაც, რომ ნასტაკისში ლურჯი მრავალწახნაგები საყურების შესამკობად არის გამოყენებული.

რამდენადმე განსხვავებული აზრი არსებობს მრავალწახნაგების დამზადების ადგილის შესახებაც. თუ გავითვალისწინებთ ლურჯი მინის მრავალწახნაგების აღმოჩენის დღევანდელ მონაცემებს (70-მდე საქართველოს ტერიტორიაზე და 16 თუ 17 მის გარეთ), უფრო დამაჯერებლად გვეჩენება მკვლევართა მოსაზრება მათი იძერიაში დამზადების შესახებ.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ლ.მ.მ.-ის დედნების საკითხიც. როგორც ზევით აღნიშნეთ, მკვლევართა ნაწილს (ძ.ი. მაქსიმოვა, მ. ლორთქიფანიძე) ისინი მცირე აზიაში დამზადებული ბერძნულ-სპარსული საბეჭდავების ერთი ჯგუფის ე.წ. ადგილობრივი მცირეაზიული (ჯ. ბორდმანის ტერიტორიული „ბერნის“) საბეჭდავების მექანიკურ პირებად მიაჩნიათ. ვფიქრობთ, უფრო სარწმუნოა ს. ბარნაველის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლ.მ.მ.-ის დედნებიც იძერიაში მზადდებოდა. ვინაიდან, მოუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საკმაო რაოდენობით არის ცნობილი როგორც ბერნის ჯგუფის საბეჭდავები, ისე

¹⁷ ამავე აზრისაა ლ.მ.მ.-ს შესახებ ი. გაგოშიძეც [20, გვ. 94, სქოლით 29].

ლ.მ.მ., რომლებზედაც ძირითადად ერთი და იგივე სიუჟეტებია გამოსახული, ჯერჯერობით არ არის ცნობილი არც ერთი ლურჯი მინის მრავალწახნაგა, რომელიც რომელიმე ქვის საბეჭდავის, მათ შორის ბერნის ჯგუფის საბეჭდავის პირს წარმოადგენდეს. უფრო მეტიც, ლ.მ.მ-ის გამოსახულებები ახლოს კი დგანან ბერნის ჯგუფის საბეჭდავების გამოსახულებებთან, მაგრამ მაინც საგრძნობლად განსხვავდებიან მათგან ნაკლები დეტალიზაციითა და მეტი სქემატურობით. საყურადღებოა ისიც, რომ ბერნის ჯგუფის საბეჭდავების, ისე როგორც საერთოდ „ბერძნულ-სპარსულ“ საბეჭდავების, უმეტესობა სკარაბეობიდების ფორმისაა, ხოლო მრავალწახნაგები უფრო მცირე რაოდენობით არის ცნობილი. როგორც ჩანს ლ.მ.მ. უნდა განვიხილოთ მაინც როგორც „ბერძნულ-სპარსული“ გლიპტიკური ძეგლების დამოუკიდებელი, მოგვიანო ჯგუფი, რომელიც ძალიან ახლოს დგას პროვინციაში შემორჩენილ ამ წრის საბეჭდავების ერთ-ერთ ჯგუფთან, კერძოდ, ე.წ. ბერნის ჯგუფთან.

K. Javakhishvili

GEMS CAST OF BLUE GLASS

Summary

The problems of origin, dating and purpose of gems made of blue glass, as well as the question of their links with the specimens of glyptics of the same field, have been the subject of scholarly enquiry for the last few decades. These problems cause variety of conjectures in scientific literature and, while the author of the present paper partially shares some of them (cf. M. Maksimova, S. Barnaveli, M. Lordkipanidze, I. Gagoshidze, I. Babaev, S. Gaziev, B. Arakelyan, S. Esayan, A. Kalantaryan), others give rise to objections (Zh. Khachatryan).

The present paper does not claim to solve all the questions concerning blue glass gems, nevertheless, an attempt is made to present a new interpretation on the grounds of new archaeological data and latest scientific literature (I. Gagoshidze, J. Boardman).

About 70 of the total 80 blue glass gems have been discovered in different places of Georgia (mainly in Eastern Georgia). Scholars (M. Maksimova, S. Barnaveli, M. Lordkipanidze, J. Gagoshidze, I. Babaev, K. Javakhishvili) assume that they were manufactured in the Kingdom of Iberia-Kartli (Eastern Georgia). Single finds of these gems in Armenia (10), Azerbaijan (5), North Ossetia (1) and Kerch (1), as correctly noted by M. Lordkipanidze, are accounted for the Iberian export. Zh. Khachatryan believes them to have been manufactured in Armenia.

These gems, revealing common manufacturing technique (casting), representation style and more or less uniform subjects (Pl. I) constitute a separate group within the so-called "Graeco-Persian" monuments of glyptics. Judging by their representation style, J. Boardman finds them very close to seals of comparatively late provincial, so-called "Berne group" (this group, in turn, was defined by M. Maksimova and M. Lordkipanidze as "local Asia Minor" and dated to the 5th-4th cent. B.C.). The Iberian gems, however, do not represent a sort of simple, mechanical imitation of the Berne seals, as suggested by M. Maksimova and M. Lordkipanidze, since representations on the Iberian gems lack elaborated rendering of details and are more schematic. The great majority of the Berne seals are scarabaeids, while gems hardly occur among them. It is worth noting that among the quantity of blue glass gems not a single one represents an imitation of any stone seals, including those of the Berne group. S. Barnaveli's assumption, according to which even originals of the gems made of blue glass were manufactured locally - in Iberia, seems to be the more convincing.

The burial of v. Santa (Neron-Deresi) containing blue glass gems, defined by B. Kuftin as belonging to the late Achaemenid period, had provided strong grounds for the general dating of blue glass gems to the 5th-4th cent. B.C. (M. Maksimova, S. Barnaveli, M. Lordkipanidze, I. Gagoshidze, I. Babaev, Zh. Khachatryan). Recently the chronology for the Santa burial has changed and a new dating, proposed by I. Gagoshidze, attributed it to the 2nd-1st cent. B.C. Thus, the majority of the blue glass gems turned out to be discovered in archaeological complexes belonging mainly to the 2nd-1st cent. B.C. – 1st-2nd cent. A.D. and later period (O. Japaridze, G. Lomtadze, V. Tolordava, D. Khakhutaishvili, D. Koridze, V. Nikolaishvili, T. Golubkina, S. Gaziev, B. Arakelyan, S. Esayan, A. Kalantaryan, M. Sinauridze, V. Chikhladze). It should be noted, however, that one burial in the village of Gomareti, containing a blue glass gem dates from the 3rd cent. B.C., but this chronology may also call for revision. Revised dating along with the stylistic similarity of the blue glass gems with a later - Berne group of "Graeco-Persian" circle (J. Boardman), allows the author to assume that the Iberian blue glass gems were manufactured during a short period of time between the 2nd cent. B.C. and beginning of the 1st cent. A.D., since long-term production of stylistically uniform articles seems unlikely.

Apparently, blue glass gems were under mass production in Iberia (M. Maximova, M. Lordkipanidze). Two and occasionally six identical specimens, coming out from the same mould, are discovered (Pl. II), implying that the gems were not used as seals. The author presumes, *pace* I. Gagoshidze that blue glass gems mainly served just as amulets and adornment.

ლიტერატურა

1. ბარნაველი ს. ორი გემისათვის (გოქჩისა და პრტენის გემები). – სმამ, ტ. VI, № 7, 1945, გვ. 575-580.
2. დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბ., 1983.
3. თოლორდაგა გ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.
4. კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969.
5. ლომთათიძე გ. კლდეულის სამაროვანი. თბ., 1957.
6. ლორთქიფანიძე გ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I. თბ., 1954.
7. ლორთქიფანიძე გ. გვიანაქემენიდური ხანის მცირეაზიული საბეჭდავების იბერიული პირები – ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები. – სმგმ, № 6, 1963, გვ. 134-154.
8. ლორთქიფანიძე გ. ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I. თბ., 1969.
9. ნიკოლაიშვილი ვ. ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან. – სას, I, თბ., 1978.
10. ნიკოლაიშვილი ვ. ტუიაქოჩორას სამაროვანი (1953 წლის დავერვის შედეგად მოპოვებული მასალების მიხედვით). – მცხეთა, II, თბ., 1978, გვ. 157-169.
11. სინაურიძე გ. კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1985.
12. ქორიძე დ. ელინისტური ხანის (ძვ.წ. III-I ს.ს.) არქეოლოგიური ძეგლები ურბნისის სამაროვნიდან (XXV უბ.), ხელნაწერი, 1962 (ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში).
13. ქორიძე დ. ურბნისის სამაროვანზე (XXI უბ.) აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაკიის საკითხისათვის, ხელნაწერი, 1964 (ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში).
14. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, I. თბ., 1964.
15. ჯავახიშვილი ქ. ურბნისის ნაქალაქრის გლიპტიკური ძეგლები. თბ., 1972.
16. ჯაფარიძე თ. არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში. – თხუ შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 184-205.
17. Առաքելյան Բ. Գարնի, I. Ռезультаты раскопок 1949-1950 гг. Ереван, 1951.
18. Բաբաև Ի. Ա. О трех стеклянных многоугольных печатях, найденных в Мингечауре. – Археологические исследования в Азербайджане, Сборник статей. Баку, 1965, с. 128-133.
19. Բօրիսօվ Ա. Յ., Լուկոնին Վ. Գ. Սաсанидские геммы. Ленинград, 1963.
20. Գագոշիձե Յ. Մ. К датировке могильника Нерон-Дереси (с. Санта Цалкинского района Грузинской ССР). – vfwyt^λ = 2^λ 1975^λ ud& 90-103&
21. Ղազիև Ս. Մ. Археологические раскопки в Мингечауре, Альбом кувшинных погребений. Баку, 1960.
22. Ղուլբեկինա Տ. Ի. Четыре кувшинных погребения из Мингечаура (раскопки 1950 г.). – Изв. АН Азербайджанской ССР, = 3, 1960.
23. Ջավախիշվիլի Կ. Ա. Памятники глиптики городища Урбниси. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси, 1975.
24. Եսայան Ս., Կալանթարյան Ա. Античный некрополь Ошакана. – Вестник общественных наук АН Армянской ССР, Ереван, № 12, 1976, с. 27-40.
25. Զօգրաֆ Ա. Ի. Античные золотые монеты Кавказа. – АРН, II, Москва-Ленинград, 1935, с. 178-192.
26. Կապանձե Դ. Ղ. Монетные находки Мцхетской экспедиции. – ВДИ, № 1, 1945.
27. Կապանձե Դ. Ղ., Օ древнейших золотых монетах Грузии. – ВДИ, № 3 1949, с. 156-169.
28. Կնիպովիչ Տ. "Греко-персидские" резные камни Эрмитажа, СГЭ, III, Ленинград, 1926, с. 41-58.
29. Կուփտին Բ. Ա. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси, 1941.
30. Մաքսիմովա Մ. Ի. Античные резные камни Эрмитажа. Ленинград, 1926.
31. Մաքսիմովա Մ. Ի. Стеклянные многоугольные печати, найденные на территории Грузии. – tybvrbc vjfv, t^λ ^ 1941^λ ud& 72-92&
32. Մաքսիմովա Մ. Ի. Геммы из некрополя Мцхеты – Самтавро. – ccvv^λ \|+-B^λ 1950^λ ud& 221-274&
33. Նիկուլինա Ն. Մ. Малоазийская глиптика второй половины V-IV вв. до н.э. и проблема восточно-греческого и "греко-персидского" искусства. Автореферат диссертации на соискание степени кандидата искусствов. наук, Москва, 1966.

34. Уварова П. С. Могильники Северного Кавказа. МАК, VIII, Москва, 1900.

35. Хачатрян Ж. Многогранные печати, найденные в Армении. – Историко-филологический журнал, N 1(28), Ереван, 1965, с. 271-277 (Եղմելու յետից).

36. Boardman J. Greek Gems and Finger Rings. London, 1970.

37. Boardman J., Vollenweider M. L. Catalogue of the Engraved Gems and Finger Rings. Oxford, 1978.

38. Furtwängler A. Die Antiken Gemmen, III. Leipzig-Berlin, 1990.

39. Maximova M. Griechisch-persische Klein-Kunst in Kleinasien nach den Perserkriegen, Jahrbuch Des Deutschen Archäologischen Instituts. Berlin, 1928.

40. Richter G. Engraved Gems of the Greeks and the Etruscans. London, 1968.

41. Vollenweider M. L. Catalogue raisonné des sceaux cylindres et intailles, Vol. I. Genève, 1967.

Գածվածքներ առնվազագույնը


Քաջ. I – 1. լուրջո մօնօև մրացալիքների գածական պահպանության մասին; 2-3. Արքետի; 4-5. Ներոն-Դերեսի; 6. Մշետա-Սամտավրո; 7. Մինչեաւր (Ադրբայջան); 8. Ախալ Նիշբիսի; 9. Ներոն-Դերեսի; 10. Լոշին; 11. Ուրնիսի; 12. Նախիչևնի; 13. Արքետի; 14. Արքետի.

Քաջ. II – լուրջո մօնօև մրացալիքների գաշտական պահպանության մասին (Վարժությունների համար 1980 թվականին)։

Description of the Plates

Pl. I - 1. Shape of blue glass gems; their representations and places of discovery; 2-3. Arkneti; 4-5. Neron-Deresi; 6. Mtskheta-Samtavro; 7. Mingechaur (Azerbaijan); 8. Akhali Nichbisi; 9. Neron-Deresi; 10. Lochini; 11. Urbnisi; 12. Lochini; 13. Nakhichevan (Azerbaijan); 14. Arkneti.

Pl. II - Distribution of blue glass gems according to 1980 data



ტაბ. II

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
ნერონ-დერესი																			
გომარეთი																			
აბელია																			
ლოჭინი																			
სამთავრო																			
ტუაქოჩირა																			
ნიჩბისი																			
უფლისციხე																			
ურბნისი																			
მეტეხი																			
დუისი																			
ყანდაურა																			
არქნეთი																			
ახალციხე																			
კლდეული																			
ბრილი																			
დილომი																			
დმანისი																			
ჩრდ. ოსეთი																			
შინგეჩაური																			
ნაზირევანი																			
ფუზულიანი																			
გარნი																			
ოშაკანი																			
დვინი																			
ლენინაკანი																			
გეღადირი																			
კარჩაღბილური																			
ქერჩი																			

სულხან ხარაბაძე

გვიანანტიქური ხანის სამართლი სოფელ ჭერეთაღან


ვანის რაიონში ქალაქ ვანიდან აღმოსავლეთით 19 კმ-ში, სოფელ ფერეთას ტერიტორიაზე, 1997 წლის 12 იანვარს აღიღილ სერისიმზე პატარა არველაძის საყანე ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში წვიმების შედეგად ჩამონარეულ ფერდობზე თავი იჩინა თიხის ჭურჭელმა. პრეპარაციის დროს გაირკვა,¹⁸ რომ იგი სამარხეულ კომპლექსში შედიოდა.

მთელი ეს კომპლექსი ძლიერ იყო დაზიანებული. ამდენად იმის დადგენა, რომ საქმე გვაქვს ერთბ თუ ორ სამარხთან შეუძლებელი აღმოჩნდა. ფართობი, რომელშიც დაფიქსირდა არქეოლოგიური მასალა, წარმოადგენდა ღორღოვან ფენაში ჩაჭრილ ორმოს ($3\text{d}4 \times 3\text{d}2$ მ)ბ რომელიც შეუძინებელი იყო წყლის მიერ (სურ. 1). გათხრილ ფართობზე ძვლები, გარდა ორი უსახო ფრაგმენტისა, არ შემორჩენილა.

ჩენი ნაშრომის მიზანია დაფიქსირებული მასალა შემოვიტანოთ სამეცნიერო მიმოქცევაში და შეძლებისდაგვარად განვსაზღვროთ ამ კომპლექსის თარიღი. აღსანიშნავია რომ არქეოლოგიური მონაპოვარი რომელიც აღმოჩნდა სამარხში (ან სამარხებში) ზოგიერთ შემთხვევაში *in situ* მდგომარეობაში არ არის დაფიქსირებული და აღმოჩენილია იქვე ჩამოშლილ მიწაში. მაგრამ ამ ძეგლის გამოქვეყნება იმით არის მნიშვნელოვანი რომ „ვანის ქვეყნის“ ფარგლებში გვიანანტიკური ხანის მასალა იშვათად გვხვდება.

ნივთები სამარხში შემდეგნაირად იყო განლაგებული (სურ. 1): ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს აღმოჩნდა რკინის აბზინდაბ ვერცხლის მონეტაბ ვერცხლის ღეროს ფრაგმენტი გარშემო მობნეული იყო ქარვისბ სარდიონისა და მინის მძივები; აღმოსავლეთ კუთხეში - დოქი. სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ელაგა სამი ჯამიბ დოქიბ მორკალული დანაბ შებისპირი. ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფართობიდან ჩამოშლილ მიწაში აღმოჩნდა: რკინის ცულიბ რკინის გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი შებისპირის ფრაგმენტი და დოქი; სამხრეთ კუთხეში - ღერგი; სამხრეთ-დასავლეთ მხარეს - კანთაროსსებრი ჭურჭელი. ამ ფართობიდან ჩამოშლილ მიწაში აღმოჩნდა ორი შებისპირი დოქისა და ჯამის ფრაგმენტები. დასავლეთ კუთხეში იდო მაღალფეხიანი ჯამი (ვაზა)ბ იქვე ახლოს - დანა და თავმოკაუჭებული ღერო, სარდიონის თვლებიანი ზამბარიანი ვერცხლის ფიბულა (ამოღების დროს დაიშალაბ მოშვილდულ ნაწილში მოთავსებული იყო სარდიონის სამი ოთხკუთხა თვალი)ბ მინის

ჭურჭლის ფრაგმენტი (თუ ფიბულის ინკრუსტაციის ნაწილი)ბ ფეხიანი ჯამის გარშემო მიმობნეული იყო გიშრისბ სარდიონისა და მინის მძივები. ამ ნაწილიდან ჩამოშლილ მიწაში აღმოჩნდა კვირისტავი.



სურ. 1

15. Материалы по археологии Кавказа. Христианские памятники. Экскурсия Е. Такайшвили 1902. Изд. Московского Археологического Общества[^] Вып. XII. 1909.

16. Отчеты Императорской Археологической Комиссии за 1894 год, СПб., 1896, с. 14-16.

17. Отчеты Императорской Археологической Комиссии за 1896 год, СПб., 1898, с. 109-112.

18. Отчеты Императорской Археологической Комиссии за 1902 год, СПб., 1904, с. 79-89.

რუკების აღწერილობა

რუკა 1 – ძეგლები, სადაც ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, და შემთხვევით მოპოვებული ნივთების პუნქტები.

რუკა 2 – ქვემო ქართლის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 3 – გურიის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 4 – იმერეთის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 5 – შიდა ქართლისა და ბორჯომის ხეობის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 6 – კახეთის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 7 – მესხეთის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 8 – აღმ. მთიანეთის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 9 – ლეჩუმისა და რაჭის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 10 – სვანეთის არქიტექტურული ძეგლები.

რუკა 11 – სამეგრელოს არქიტექტურული ძეგლები.

Description of the maps

1. map № 1 – sites where diggings were carried out and points of accidental discovery of artefacts.

2. map № 2 – architectural monuments of Kvemo Kartli.

3. map № 3 – architectural monuments of Guria.

4. map № 4 – architectural monuments of Imereti.

5. map № 5 – architectural monuments of Shida Kartli and Borjomi valley.

6. map № 6 – architectural monuments of Kakheti.

7. map № 7 – architectural monuments of Meskheti.


8. map № 8 – architectural monuments of the Eastern Georgian highland.

9. map № 9 – architectural monuments of Lechkhumi and Racha.

10. map № 10 – architectural monuments of Svaneti.

11. map № 11 – architectural monuments of Samegrelo.

ბ. ა. პუფტინი



საქართველოს არქეოლოგიის დიდი მოამაგე და მკვლევარი ბორის ალექსის ძე კუფტინი დაიბადა 1892 წლის 21 იანვარს, ქ. სამარაში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მისი გვარი თავადაზნაურთა წოდებას მიეკუთვნებოდა (ლიც- ნის ჩინს ატარებდა, დედა პედაგოგი იყო.

1909 წელს ბ. კუფტინმა დაამთავრა ქ. ორენ- ბურგის რეალური სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსი- ტეტში ფიზიკა-მათემატიკის საბუნებისმეტყვე- ლო განყოფილებაზე [3; 4; 8]. ამ დროისათვის იგი უკვე კარგად ფლობდა ინგლისურ, ფრან- გულსა და გერმანულ ენებს. 1910-11 წლებში სტუ- დენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე- ობისათვის გარიცხეს უნივერსიტეტიდან და რუსეთიდან გაასახლეს. ემიგრაციაში ყოფნისას (საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია) იგი ისმენდა ლექციებს ჰუმანიტარულ დისციპლინებში [7]. 1913 წელს ბ. კუფტინი ემიგრაციიდან დაბრუნდა და სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ერთი წლის შემდეგ დაამთავრა ბოტანიკოსის სპეციალობით [4].

ბ. კუფტინის სამეცნიერო მოღვაწეობა ორ ძირითად პერიოდად შეიძლება დაყოს: რუსეთ-ში მოღვაწეობის პერიოდად და საქართველოში მოღვაწეობის პერიოდად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კუფტინი ფართო განათლებული და ერუდირებული პაროვნება იყო. რუსეთში მუშაობისას იგი ხშირად ერთდროუ- ლად რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულებასა თუ საზოგადოებაში მოღვაწეობდა, ეწეოდა კვლე-

ვითსა და პედაგოგიურ საქმიანობას. მისი სამეც- ნიერო ინტერესების სფეროში შედიოდა რო- გორც საბუნებისმეტყველო, ასევე ჰუმანიტარუ- ლი დარგები. დიდი ღვაწლი მიუძღვის მას მეც- ნიერების სხვადასხვა დარგში საველე პირობებ- ში მასალის მოპოვებასა და ფიქსაციაში, ამავე დროს ამ მასალის საფუძველზე განმაზოგადოე- ბელი დასკვნებისა და თეორიების ჩამოყალიბე- ბაში.

1914 წელს ბ. კუფტინმა მუშაობა დაიწყო მოს- კოვის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში, ბო- ტანიკის კათედრაზე ასისტენ-მასწავლებლად, პა- რალელურად შანიავსკის სახალხო უნივერსი- ტეტში კითხულობდა ბოტანიკის კურსს. პერბა- რიუმისა და დაგროვილი მასალის შესწავლის საფუძველზე დაწერა პირველი საკანდიდატო ნაშ- რომი არად-ორგიშის წყალგამყოფის ფლორისა და მცენარეული საფარის შესახებ [6]. ამავე დროს მუშაობდა მოსკოვის ბოტანიკური ბაღის ლაბორატორიაში პროფ. კ. ნ. მაიერთან [5].

1916-1917 წლებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა დამატებითი გამოცდე- ბი ანთროპოლოგიაში, არქეოლოგიასა და გეო- გრაფიაში და წარადგინა მეორე საკანდიდატო ნაშრომი ჯუნგარიის ალატაუს მორფოლოგიასა და ოროგრაფიაზე [8], რის შემდეგ იგი პროფ. დ. ი. ანუჩინმა დატოვა „საპროფესოროდ მოსამ- ზადებლად“ [8; 7].

1918 წლის შემოდგომაზე ბ. კუფტინი ფარუ- ლი კენჭისყრით არჩეულ იქნა გეოგრაფიისა და ანთროპოლოგის კათედრაზე მასწავლებელ- ასისტენტის თანამდებობაზე. 1919 წლის გაზაფ- ხულზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ფაკულტეტის საგანგებო კო- მისიის წინაშე, რომლის შემადგენლობაში შე- დიოდნენ: აკად. დ. ნ. ანუჩინი, სევერცევი, ა. პ. პავლოვი; პროფესორები: კოშევნიკოვი, კრუბე- რი, ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და წა- კითხა საცდელი ლექციების კურსი ეთნოლოგი- ასა და მატერიალური კულტურის ისტორიაში, რის შემდეგაც მიიღო ლოცვენტის წოდება და დაევალა ლექციების კურსის წაკითხვა ანთრო- პოლოგიის კათედრაზე, პირველყოფილი კულ- ტურის ისტორიასა და ეთნოგრაფიაში [3, 5]. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი მეცნიერული პუბლიკაციები ეთნოგრაფიაში [7]. გარდა ამისა, იგი კითხულობდა ლექციების სპეციალურ კურ- სებს: აღმოსავლეთ ეროპის პალეონტოლოგია და ეთნოგრაფია; ციმბირის პალეონტოლოგია და ეთნოგრაფია; შუა აზიისკა და კავკასიის პალე- ონტოლოგია და ეთნოგრაფია; თურქული ტომე- ბის ეთნოგრაფია (Народоведение) [5; 6]. პარა- ლელურად მუშაობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დ. ნ. ანუჩინის სახელობის ანთ- როპოლოგიის ინსტიტუტში, სადაც 1923 წელს ანთროპოლოგიური საბჭოს მიერ დაევალა, ანთ-

როპოლოგიის კათედრაზე ეხელმძღვანელა ანთროპოლოგიის ციკლისათვის, შემდგომში იგი ხელმძღვანელობდა შესაბამის ასპირანტურასაც [5].

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის პარალელურად ბ. კუფტინის სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაში, სადაც ეთნოლოგიურ განყოფილებაში 1919 წლიდან უფროსი მეცნიერის თანამდებობაზე ირიცხებოდა, შემდეგ ეთნოლოგიის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ იქნა დანიშნული [3; 4; 5].

1924-1930-იან წლებში, უნივერსიტეტის ცენტრალურ მუზეუმში ბ. კუფტინი ხელმძღვანელობდა შუა აზიის, ციმბირისა და კავკასიის განყოფილებას [5]. იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოგარული საზოგადოების მუდმივი წევრი. 1925 წელს გახდა მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის მოსკოვის სექტორის ნამდვილი წევრი, არჩეულ იქნა საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების ნამდვილ წევრად [3; 4; 5].

მოსკოვში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ბ. კუფტინმა განახორციელა ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ექსპედიციები და ექსკურსიები ყირიმში, ბაიკალისპირეთში, ყაზახეთში, კავკასიაში, რუსეთის ცენტრალურ რაიონებში და ამურზე [3]. 1913 წელს გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული გამოკვლევების მიზნით მან მოაწყო ექსკურსია ანაუსა და ამუდარიის ზედა წელზე. 1916 წელს მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის დავალებით იმოგზაურა რუსულ და ჩინურ ჯუნგარიაში (ტბა საირამნორი, ყირგიზეთი). 1918 წელს სწავლობდა „ვიატიჩიებისა და კრივიჩიების“ ყორდანულ სამარხებს მდინარე კლიაზმის და ტბა სვიატაის მიდამოებში. 1919-1924 წლებში საბუნებისმეტყველო, ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული საზოგადოების დავალებით და ამ საზოგადოების სწავლული მდიღნის პროფ. ვ. ვ. ბოგდანოვის ხელმძღვანელობით სისტემატურად აწარმოებდა გათხრებს მეშჩერის დაბლობზე და მდინარეების ოკისა და კლიაზმის აუზის რაიონებში. 1924-1926 წლებში და 1928 წელს მოსკოვის სახ. უნივერსიტეტთან არსებული საბუნებისმეტყველო, ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის მოყვარული საზოგადოების და ყირიმის საზოგადოების დავალებით, აწარმოებდა ყირიმის თათრული მოსახლეობის სისტემატურ ეთნოგრაფიულ შესწავლას. 1925-1926 წლებში მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის მოსკოვის სექციის დავალებით ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები მდ. ოკის აუზში. 1926-1928 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტისა და ხალხომცოდნეობის (ეთნოგრაფიის) ცენტრალური მუზეუმის დავალებით მოაწყო არქეოლოგიურ-ანთროპოლოგიური ექსპედიცია ჩრდილო (ნაწილობრივ სამხრეთ) ოსეთში. 1926 წელს

ქ. ქერჩის არქეოლოგიური კონფერენციის დავალებით ჩაატარა გამოკვლევები ტამანის ნაცენარ-კუნძულზე. 1927-1928 წლებში მოაწყო ანთროპოლოგიურ-არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ექსპედიცია ტუნგუსების ტომის ისტორიის შესწავლისათვის ჩრდილოეთ ბაიკალისპირეთში, სახალინზე, თათრების ყურეში, ამურზე, ოხოტის ზღვის სანაპიროზე, კუნძულებზე უდი და ლანგერი. დაზვერა ბაიკალის და მდ. ანგარის აღმოსავლეთ სანაპიროს მიდამოები. 1929 წელს ხალხომცოდნეობის მუზეუმის დავალებით მოაწყო ეთნოგრაფიული ექსპედიცია საქართველოში (რაჭა, მესხეთი) [5].

1927 წელს ეთნოგრაფიაში სამეცნიერო შრომების ერთობლივი ციკლისათვის ბ. კუფტინი დაჯილდოვდა გეოგრაფთა საკავშირო საზოგადოების ოქროს მედლით. 1928 წელს დაამტკიცეს სსრ კავშირის აღმოსავლეთის ხალხების და კულტურის ინსტიტუტის პროფესორად და ნამდვილ წევრად [5].

1929-1930 წლებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიურასთან უთანხმოების საფუძველზე ბ. კუფტინი იძულებული იყო დაეტოვებინა მოსკოვი და საცხოვრებლად ქ. ვოლოგდაში გადასულიყო.

1933 წლის აპრილში ბ. კუფტინმა შემწეობა სთხოვა ბატონ გ. ნიორაძეს (რომელთანაც მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტში ერთობლივი მუშაობა აკავშირებდა), რათა საქართველოში გადმოსულიყო და მუშაობა დაეწყო. 1933 წლის დეკემბერში ბატონ გ. ნიორაძის დახმარებით იგი ქ. თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში მეცნიერ-კონსულტატად, სადაც 1951 წლამდე მუშაობდა. შემდეგ გადავიდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში [5; 6].

ბ. კუფტინის მოღვაწეობა საქართველოში ძირითადად არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას მიეძღვნა, მან დაახლოებით 53 პუნქტში შეისწავლა არქეოლოგიური ძეგლები.

1934 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელისშეწყობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა, რომლის მომზადებასა და სრულყოფაში ბ. კუფტინმა დიდი წვლილი შეიტანა. მან გულისყურით შეისწავლა ყოფილ კავკასიის მუზეუმში თავმოყრილი უმდიდრესი მასალა, რომელიც მანამდე საგანგებო ყურადღების საგანი არ ყოფილა. ამ კოლექციების შესწავლისა და დაგვირვების შედეგებმა შემდგომ ასახვა პპოვა მის შრომებში.

1934 წლის შემოღომაზე ბ. კუფტინმა მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, რომელსაც აკად. მეშჩანინვით ხელმძღვანელობდა. იგი იკვლევდა ბრინჯაოს ხანის ძეგლებს, კერძოდ დოლმენებს [2].

1936 წელს ივ. ჯავახიშვილის წინადადებით იგი სათავეში ჩაუდგა არქეოლოგიურ გათხრებს

თრიალეთში. მის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების აღმოჩენა, რომელიც არქეოლოგიურ ლიტერატურაში თრიალეთის ყორდანების სახელწოდებითაა ცნობილი. ამ აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად გააშუქა კაგასის უძველესი ისტორია, მან გამოავლინა მანამდე უცნობი „მტკვარ-არაქსის“ და „თრიალეთის“ კულტურები, გამოჰყო ბრინჯაოს კულტურის განვითარების საფეხურები ენეოლითიდან რკინის ხანამდე. ამ გათხრების შედეგებზე დაყრდნობით პირველად შეიქმნა საფუძვლიანი პერიოდიზაცია. თავისი მეცნიერული დაკვირვებები ბ. კუფტინმა შეაჯამა მონოგრაფიაში „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას მიუძღვნა. ეს ნაშრომი 1941 წელს გამოიცა ქ. თბილისში, ხოლო 1942 წელს მას სტალინური პრემია მიენიჭა.

1936 წელს ბ. კუფტინი პარალელურად აწარმოებდა გათხრებს დაბლაგომში, 1939 წელს კი საჩხერეში. 1945 წელს განახორციელა სამარშრუტო ექსპედიცია შიდა ქართლში, სამხრეთ ოსეთსა და იმერეთში. 1947 წელს განაახლა სამუშაოები წალკის პლატოზე და შეისწავლა ბრინჯაოს ხანის სამარივები და ყორდანები. ამ სამუშაოების შედეგებმა მის არაერთ მონოგრაფიასა და სტატიაში პპოვა ასახვა (იხ. ბიბლიოგრაფია, №№ 27, 30, 31, 33, 46, 49, 50, 54).

საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ბ. კუფტინი სსრ კავშირის 56 მეცნიერთან ერთად დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით, სამარტინოში თავდადებისათვის [1].

1944 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ამავე წელს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1946 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

აღსანიშნავია, რომ ბ. კუფტინის მეუღლე ვალენტინა კონსტანტინეს ასული სტაშენკო-კუფტინა, ცნობილი პანისტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, მისი ყველა ექსპედიციის ერთგული მონაწილე და თანამდებობის იყო და მასთან ერთად ყველა სიძნეებს და წარმატებას იზიარებდა.

1952 წლიდან ბ. კუფტინი სამუშაოდ თურქენეთში გადადის, სადაც იგი მიიწვია თურქენეთის კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა მ. ე. მასონმა. აქ ბ. კუფტინი ხელმძღვანელობდა სამხრეთ თურქენეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბრინჯაოს ხანის შემსწავლელ არქეოლოგიურ რაზმს და იკვლევდა ე.წ. „ანაუს“ კულტურას.

1953 წლის მარტში ქ. მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ მოეწყო სესია, რომელიც მიეძღვნა 1952 წლის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგებს. აქ ბ. კუფტინმა გააკეთა საანგარიშო მოხსენება თურქმენეთში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ. მის

მიერ ექსპონირებული იყო სამხრეთ თურქმენეთში მოპოვებული მასალის კოლექცია [3; 7; 8].

1953 წლის 2 აგვისტოს, ლატვიაში, ქ. რიგაში, მეცნიერის სიცოცხლე ტრაგიკულმა შემთხვევაში შეიტირა. მისი ბოლო სურვილის თანახმად, ის საქართველოში გადმოასვენეს და ქ. თბილისში, ვაკის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ლიტერატურა

1. პავლიაშვილი ქ. ქართული არქეოლოგიის ამაღდარი. – გაზეთი „განათლება“, 1992 წ., 23.05.

2. ჯაფარიძე თ. ლგაწლი განხად დაშთების. – გაზეთი „გომუნისტი“, 1983 წ., 3.11.

3. დებეც გ. პамითი ბ. ა. კუფთინა. – СЭ, № 1, 1954, с. 166-168.

4. ჯაპარიძე Օ. მ. კ 100-ლეтию со дня рождения акад. Б. А. Куфтина. Тбилисский Университет, Российская Академия Наук. – РА, № 2, 1993, с. 246-249.

5. კუფთინ ბ. ა. Автобиография (ინახება საქ. მეცნ. აკადემიაში, ბ. კუფტინის პირადი საქმე).

6. კუფთინ ბ. ა. Автобиография (ინახება საქ. სახ. მუზეუმის ბ. კუფტინის ფონდში).

7. მასინ მ. ე. კუფთინ ბ. ა. (1892–1953). Некролог. – ИАН Турк. ССР, 1954, №1, с. 91-92.

8. პამითი ბორის ალექსეევიჩ კუფთინა – ВДИ, № 2, 1954, с. 178–180.

ქვემოთ მოგვყავს ბ. კუფტინის მიერ გამოქვეყნებული შრომებისა და სტატიების სია, რომელიც შედგენილია მისი ავტობიოგრაფიებიდან, გამოქვეყნებული შრომებიდან და ნეკროლოგებიდან ამოღებული მონაცემების საფუძველზე. შრომები სიაში მოცემულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ დარწმუნებული არა ვართ მის სისრულეში.

1. Календарь и первобытная астрономия киргиз-казахского народа. – Этнографическое обозрение, 1916–1918.

2. Задачи и методы изучения костюма Московской промышленной области. – Краеведческий сборник. Труды конференции 1924 года.

3. Жилище крымских татар в связи с историей заселения полуострова (Материалы и вопросы). Москва, Ассоциация научно-исследовательских институтов при ИМГУ, 1925.

4. Льяловская неолитическая культура на р. Клязьме в Московском уезде в ее отношении к Окскуму неолиту Рязанской губернии и ранненеолитическим культурам Северной Ев-

ропы. Предварительный отчет о раскопках 1923 г. – ТОИРяз, вып. 5, 1925, с. 17–39.

5. Мелкие народности и этнокультурные взаимоотношения на Северо–Востоке Сибири. – Северная Азия, Москва, 1925, № 1–2, с. 63–76.

6. Une station néolithique dans la tourbière pris de village Lialovo aux sources de la rivière Kliasma. Compte rendu des fouilles en 1923. Moscou, 1925 (Le Musée l'État de la Région Industrielle Centrale).

7. Задачи и методы изучения крестьянских построек Рязанской губернии. – Вестник Рязанской краевед. № 2, 1925.

8. Численность малочисленных (реликтовых) племен СССР. Извлечение из доклада Антроп. журн. т. 14в–3–4.

9. Неолитическая стоянка вблизи с. Льялова Московского уезда. – РАЖ, 1926, Т. 15, вып. 1–2, с. 89–94.

10. Материальная культура русской Мещеры. ч. 1. Женская одежда: рубаха, понева, сарафан. Москва, 1926 (Гос. музей Центр. Пром. обл., Труды, вып. 3).

11. Типы жилищ крымских татар как источник для изучения культурно–этнических смен доисторического и исторического Крыма. Тезисы доклада – Бюллетень Конференции археологов СССР в Керчи, № 6, 1926.

12. Киргиз–казаки. Культура и быт. Применительно к выставочному залу "Уголок кочевого аула в Казахстане" в Центральном Музее народоведения. Центральный Музей народоведения, Москва. 1926 (Этнологические очерки, № 2).

13. Южнобережные татары Крыма. – Журнал "Крым", вып. 1, Москва, 1926.

14. О методе изучения преемственности погребенных и современных каменных культур. – Материалы к доистории Центральной Промышленной области. Москва, 1927, с. 19–23.

15. Новая культура бронзовой поры в бассейне р. Оки на озере Подборном близ г. Касимова Рязанской губернии. – Материалы к доистории Центральной Промышленной области, Москва, 1927, с. 45–48.

16. Краткий обзор пантеона северного буддизма и ламаизма в связи с историей учения. По коллекциям, выставленным в Центральном Музее народоведения. Москва, Центральный музей народоведения, 1927.

17. Опыт выяснения преемственности современных и погребенных племенных культур. Труды палеонтологической конференции УПО. Москва, 1927.

18. Задачи, методы и достижения в изучении народного костюма. ЦПО. Труды Этнографического Совещания ЦПО. Москва, 1927.

19. Касимовские татары и татары Мишары. Культура и быт населения ЦПО. Этнографические исследования и материалы. Москва, 1927.

20. Гончарный промысел ЦПО и его классификация. Труды Этнографического совещания ЦПО. Москва, 1927.

21. Изба–пряха–непряха Московской губернии. Москва, 1928.

22. У гончаров Дмитровского и Воскресенского уездов Московской губернии (Сравнительный очерк промыслов по наблюдениям в 1924 году). Москва, 1928, с. 9–30.

23. Типы и элементы жилища. Крестьянские постройки. Краеведческая библиотека. Москва, 1929.

24. Задачи и методы полевой этнологии (тезисы, доклады на конференции). – СЭ, № 2, 1929.

25. Для Большой Советской Энциклопедии проработан по поручению отдела истории темник по этнографии и истории материальной культуры для всего словаря и сданы туда несколько десятков статей, из которых часть на буквы Г и Д напечатаны (глиняные постройки, дольмены и пр.).

26. Туземная архитектура народов дальнего Востока послана в Дальневосточную энциклопедию по их заказу. 1932 г. Хабаровск.

27. Развернутая программа археологической экспозиции в Гос. Музее Грузии (Доклассовое общество на Кавказе). Рукопись, 1934.

28. О древнегреческом городе Гиеносе и о том, какими путями наука открывает наше прошлое. Стенная газета Очамчирского Простроя. 1935 г.

29. Раскопки в Цалке. Очаг культуры хеттской эпохи на территории Грузии. Вечерний Тбилиси, 1938 г.

30. Очаг древневосточной культуры в Грузии. – Заря Востока, 1939, 10/VI, № 131.

31. Некрополь в Колхиде. – Заря Востока. 1939, № 3.

32. К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии. – КСИИМК, 1940, с. 5–35.

33. О древнейших корнях грузинской культуры по памятникам хеттской эпохи, найденным на территории Грузии работами Цалкинской археологической экспедиции. 1936–1938 (рукопись статьи), 1939.

34. Колумбарий ванской эпохи в районе Арапата и подстилающий его культурный слой зольных холмов Закавказья. Предварительные данные о раскопках П. Ф. Петрова в 1913 г. в с. Малаклю. Bull. du Muséй de Gïorgie, т. X, Tbilisi, 1940.
35. Археологические раскопки в Триалети. Т. I, Опыт периодизации памятников. Тб., 1941.
36. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии. – ВГМГ, 12–В, 1944, с. 291–440.
37. Медный топор–клевец из с. Веремьи на Днепре. Приложения к книге о древнейших корнях груз. культуры на Кавказе. 1944.
38. Вопрос об энеолитической культуре Колхиды. там же.
39. Бронзовые литейные двустворчатые формы Боржомского и Зугдидского музеев. там же.
40. Традиции отливки вислообушных топоров и топоров поздне–бронзовой эпохи Южного Кавказа. там же.
41. Вопрос о виноградных серповидных орудиях Грузии. там же.
42. Термин "Сасхлави" – виноградарный серп в списках древнейшей версии грузинской библии. там же.
43. Изобразительная интерпретация в Джручском четвероглаве XII в. греческого Мааига в руках ап. Петра. там же.
44. Этимология немецкого и французского терминов для виноградного серпа. там же.
45. "Хмали" как специальный древне–грузинский термин для обозначения двустороннего прямолезвийного меча. там же.
46. Материалы к истории культурного и этнологического оформления дофеодальной Абхазии и Колхиды. Тб., 1944.
47. Урартский "колумбарий" у подошвы Арапата и Куро–Араксский энеолит. – ВГМГ 13–В, 1944.
48. Древнейшие корни грузинской культуры на Кавказе. – Заря Востока, 1946, 26.11.
49. К проблеме энеолита внутренней Картли и Юго–Осетии. – ВГМГ 14–В, 1947, с. 67–88.
50. Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе. Тб., 1948.
51. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго–Осетию и Имеретию. Тб., 1949.
52. cfmfhlsdtkjc 'dtkb tsyj- lf njgjybvbrc
pjubths ufehrdtdk itvs[dtdfpt ew[j o.fhjt,bs
- (ehfhnekб ofhohth,b lf c[d&)& fvjyf,tzlb cfm&
cch vtwy& frfl vjfv,t^ = 5^ 1949&
53& mfhsekб reknehbc e'dtktcb rthf
shbfktsib& s,bkbcib ofrbs[ekb cf]fhj ktmwbbc
cntyuhfvf& s,&^ 1949 (cfm& cch gjkbn& lf
vtw & wjlybc ufvfdhwtk,tkb cfpufljt,f)&
- 54& О некоторых неразъясненных случаях
древней иностранной этно– и топонимии Грузии. – САНГ, т. 10, № 5, 1949, с. 313–320.
55. Материалы к археологии Колхиды. Т. 1–2. Тб., 1949–1950.
- Т. 1. Абхазская археологическая экспедиция 1934 года под руководством акад. И. И. Мещанинова. Три этапа истории культурного и этнологического формирования дофеодальной Абхазии.
- Т. 2. Археологические изыскания в Рионской низменности на Черноморском побережье 1935 год. Памятники эпохи бронзы и античного периода.
56. Работы ЮТАКЭ в 1952 г. по изучению "культур Анау". – ИАН Туркм. ССР, 1954, с. 22–29.
57. Полевой отчет о работе XIV отряда ЮТАКЭ по изучению культуры первобытно–общинных оседло–земледельческих поселений эпохи меди и бронзы в 1952 г. – Труды ЮТАКЭ, т. 7, Ашхабад, 1956, с. 260–290.
58. Археологическая маршрутная экспедиция в бассейне рек Лиахви, Проне, Квирилы и среднего Риона в 1951 г. (Отчет руководителя экспедиции). – ВГМГ, 30–В, 1974.

თ. აბულაშვილი

მილოცვა

ჯუანშერ სონდულაშვილი 75 წლისაა

2002 წლის 23 თებერვალს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელს ჯუანშერ მიხეილის ძე სონდულაშვილს 75 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა სოფ. დიღომში, სონდულაშვილების იმ დიდ ოჯახში, რომელმაც ქართულ ისტორიოგრაფიას და კულტურას აღუზარდა ისეთი დიდი მამულიშვილი, როგორიც იყო იროდიონ სონდულაშვილი.

ჯუანშერმა 1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წლიდან ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, სადაც მოღვაწეობდა 1963 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მან გამოაქვეყნა სამი მონოგრაფია: „ხალხური სიტყვიერების მასალები“, I წიგნი, 1953 წ.; II წიგნი – 1957 წელს და „მებოსტენიბა თბილისის სანახებში“ 1959 წელს.

1961 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1963-82 წლებში იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში და სხვადასხვა წლებში მონაწილეობდა კახეთის, ვერეს (სკორეთის), კავთურას, ივრის ხეობის და სხვა ექსპედიციებში. მის მიერ მოპოვებული ახალი ეთნოგრაფიული მასალები საფუძვლად დაედო მონოგრაფიებს: „მასალები საქართველოს ხალხური ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის“, წიგნი I (1964 წ.); „აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“, წიგნი I (1969); „საქართველოს მევენახეობა-მებოსტენიბის ისტორიისათვის“, წიგნი II (1974). დასანაია, რომ მევენახეობასთან დაკავშირებული I წიგნი დღესაც გამოუქვეყნებულია.

1982 წელს ჯუანშერ სონდულაშვილი სამუშაოდ გადადის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, განყოფილებაში, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი ეთნოლოგი თ. ჩიქოვანი და რომლის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს სფეროს წარმოადგენს ეთნო-არქეოლოგიის საკითხების კვლევა.

1984 წლიდან იგი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი იყო და ხელმძღვანელობდა დიღმის ხეობის სიძეველეთა შემსწავლელ რაზმს. მოგვიანებით ეს რაზმი ჩამოყალიბდა ცალკე ექსპედიციად და დღესაც ჭარმაგი მეცნიერი ძევლებური ენთუზიაზმით იკვლევს დიღმის ხეობის და დიდგორის მიმდებარე სანახების ეთნო-არქეოლოგიურ საკითხებს და ოპტიმიზმით აღსავს იმედოვნებს იმ რამდენიმე მონოგრაფიის გამოქვეყნებასაც, რომლებიც ეძღვნება ივრის აუზის და დიღომ-დიდგორის სიძველეებს.

ასეთი ოცნების საფუძველი ბატონ ჯუანშერს ჭეშმარიტად გააჩნია, რადგანაც ისტორიული

კახეთის ტერიტორიაზე, და განსაკუთრებით ერწოს ველზე მას ჩატარებული აქვს უზარმაზარი მოცულობის კვლევითი სამუშაო. ამ უაღრესად საინტერესო მხარეში მის მიერ გამოვლენილი და შესწავლილია არა მარტო ერწოს ველის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ყოფის ამ-სახველი მასალები, არამედ არაჩვეულებრივი გულმოდგინებითაა აღწერილი მატერიალური და სულიერი კულტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა: ძველი და ახალი ნასოფლარები, ეპლესია-მონასტრები, სასიმაგრო ნაგებობები, ხატ-სალოცავები, ხატებისადმი შეწირული ნივთები და სხვ. გამოსაცემად გამზადებულ მონოგრაფიას თან ერთვის ცალკეულ ძეგლთა ანაზომები და მდიდარი ფოტომასალა. მკვლევარის ყურადღების მიღმა ამ ნაშრომში არც შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები და იქ მიკვლეული ინვენტარია დარჩენილი.

ფასდაუდებელია ჩვენი იუბილარის საქმიანობა მის მშობლიურ კუთხეში, დიღმის სეობაში, აგრეთვე ქართლის ხევში, რომელიც ჩრდილოეთიდან საზღვრავს სოფ. დიღმის, და დიდგორის ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც ხანგრძლივი კვლევის შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა ასაკის რამდენიმე ათეული ნამოსახლარი, მათ შორის ქალაქური ტიპის ნაშთი, რომელიც აღმოცენებული ჩანს სოფ. დიღმის გამავალი ძველი გზების გაწვრივ, რითაც თბილისის ქვეყანა უკავშირდებოდა თრიალეთსა და შიდა ქართლს. მიუხედავად ბოლო წლების ეკონომიკური სიღუხეჭირისა და იმ სიმწელისა, რაც გამოიწვია ბოროტმოქმედის მიერ არქეოლოგიური ბაზის გადაწვამ, ჯ. სონდულაშვილმა მოახერხა არ შეეწყიტა სადაზვერვო და საველე სამუშაოები, გამოსაქვეყნებლად მომზადებულ მონოგრაფიაში შეიტანა სკვირეთის ხევს სიძველეთა აღწერილობაც და რაოდენ წაადგებოდა ჩვენს ისტორიოგრაფიას, რომ თავის დროზე გამოქვეყნდეს ის ვრცელი მონოგრაფიაც, რომლის გამოცემის განხორციელებაც მის ავტორს პლავ ოცნების სფეროში ეგულება.

ჯ. სონდულაშვილი სამეცნიერო საქმიანობას წარმატებით უთავსებს იმ მძიმე ტკირთის ზიდვას, რასაც დიღმი ოჯახის გაძლილა ეწოდება. მიუხედავად მის მიერ განცდილი უმძიმესი ტკირთილებისა, ჯუანშერმა ბოლომდე შეინარჩუნა სულის სიმხნევე, მიზანდასახული შრომის უნარი და უკეთესი ხვალინდელი დღის განცდა.

დიდხანს სიცოცხლეს და ყველა ოცნების აღსრულებას ვუსურვებთ ჩვენ კოლეგას და მეგობარს.

რამინ რამიშვილი

ქრონიკა CHRONOCLE

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოჩენის ცენტრი 2001 წელს

სამეცნიერო – კვლევითი მუშაობა

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, წინა წლებში განხორციელებული გეგმის მსგავსად, რამდენიმე მიმართულებით იყო წარმოდგენილი: საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, „ქართლის ცხოვრების“ ტოპოარქეოლოგიური ცნობარი, საქართველო მსოფლიო კულტურულისტორიულ პროცესში, საქართველოს უძველესი სახელმწიფოები (კოლხეთი, იბერია, ლაზიკა), შესასუკუნეთა ხანის საქართველოს ნამოსახლარები და ნაქალაქარები, არქეოლოგიის თეორიის საკითხები, არქეოლოგიური ტერმინოლოგია, საქართველოს არქეოლოგიის ისტორია, ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ინტერდისციალინარული კვლევები, არქეოლოგიური ძეგლების პულიკაცია.

გრანტით შესრულებული სამუშაო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით შესრულდა შემდეგი თემები: ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ტოპოგრაფიული ლექსიკონი (2000-2001 წწ. ოთ. ლორთქიფანიძე – ხელმძღვ., დ. კაჭარავა, გ. კვირკველია, მ. წულეკიძე, თ. სახვაძე, არ. ჭაბუტიშვილი); აბრეშუმის გზის საკომუნიკაციო სტრუქტურები (2000-2001 წწ. ვ. ლიჩელი – ხელმძღვ., რ. რამიშვილი, ალ. რამიშვილი, ვ. თოლორდავა, თ. ჩიქვანი, დ. ახვლედიანი, ც. ჩიკოძე, ვ. ჩიხლაძე, მ. ჩხატარაშვილი, გ. გამყრელიძე); Tabula Imperii Byzantini: საქართველო. საერთაშორისო გამოცემის ქართული სუპლემენტი (2000-2001 წწ. ვ. ჯაფარიძე – ხელმძღვ., რ. ფუთურიძე, ი. ცუხიშვილი, ელ. გიგოლაშვილი, ლ. საგინაშვილი, ა. ჭყონია, ლ. ცერაძე); საქართველოს სამონეტო განხები (დვ.წ. VI-ახ.წ. XIX სს.) (2000-2001 წწ. გ. დუნდუა – ხელმძღვ., ირ. ჯალაღანია); კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონი: საქართველო (2000-2001 წწ. დ. კაჭარავა – ხელმძღვ., ნ. ლორთქიფანიძე); მდგინელი საგვარჯილეს ენეოლითური ნამოსახლარი (2000-2001 წწ. ლ. ნებიერიძე – ხელმძღვ., თ. ბუგიანიშვილი); მგკვარარაქესის კულტურა კავკასიასა და წინა აზიაში (ცნობარი) (2000-2001 წწ. ოთ. ჯაფარიძე, გ. მირცხულავა – ხელმძღვ., გ. ფხავაძე, ალ. ორჯონიშვილი, ზ. მახარაძე, რ. რუსიშვილი, მ. ფუთურიძე, ლ. ჭელიძე, ზ. შატბერაშვილი, ი. ესვანჯია); ჩრდილო კავკასიის ქვეყნებში აღმოჩენილი ქართული დამწერლობის ძეგლების კორპუსი (2000-2001 წწ. გ. დამბაშვილი); კოლხური კერამიკის ასონიშნების კორპუსი (2000-2001 წწ. ნ. მათიაშვილი); ქვემო ქართლი (გო-

გარენე-გუგარქი-ლორე-ტაშირი) ძველ სომხურ წერილობით წყაროებში (2000-2001 წწ. ჯ. კოპალიანი – ხელმძღვ., ალ. აბდალაძე, კ. კახიანი, ქ. ქუთათელაძე, ზ. ცეკვიტინიძე, ე. ღლილვაშვილი); უძველესი აგროცენოზები პალეოეთნობოტანიკური გამოკვლევების მიხედვით (2000-2001 წწ. 6. რუსიშვილი); დასავლეთ საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია ძვ.წ. III-II ათასწლეულის პირველ ნახევარში (2001 წ. მ. ბარამიძე – ხელმძღვ., ლ. ჯიბლაძე, ლ. წითლანაძე, გ. გოგოჭური, გ. ჩიქვანი, თ. ჭანიშვილი); სამხრეთ საქართველოს „ციკლოპური“ ნამოსახლარები (2001 წ. გ. ნარიმანიშვილი – ხელმძღვ., გ. მინდაშვილი, ნ. შანშაშვილი, გ. ტატიშვილი); ქვის ხანის ადამიანის განსახლება კოდორის ხეობაში (2001 წ. ზ. წერეთელი); რომაული კულტურის გავლენა აღმოსავლეურ ქართულ ქალაქებზე (ძალისის ნაქალაქარი) (2001 წ. 6. მირიანაშვილი); დავით-გარეჯის უდაბნოს არქეოლოგიური კულტურების ტრადიციები და ინოვაციები ძვ.წ. II-I ათასწლეულებში (2001 წ. ქ. ფიცხელაური – ხელმძღვ., ნ. მამაიაშვილი); ამიერკავკასიის სამიწათმოქმედო კულტურა ანტიკურ ხანაში (იარაღები) (2001 წ., ლ. ძიძეგური); შავიზღვისპირეთის ქვეყნების უძველესი კონტაქტები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ფიბულების მიხედვით) (2001 წ., ნ. სულავა).

სამეცნიერო სესია-კონფერენციები

2001 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა ჩატარა ოთხი სამეცნიერო სესია (აქედან ორი – მემორიალური), ორი კონფერენცია და სამეცნიერო საბჭოს ერთი საჯარო სხდომა. ინფორმაცია მათ შესახებ წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

12 იანვარი. საიუბილეო სესია. მიეღოვნა გამოხატვით არქეოლოგის გერმანე გობეჯიშვილის დაბადებიდან 90 წლისთვის. სესია განსხვა ცენტრის დირექტორის მოადგილემ ვ. ლიჩელმა. მოსმენილი იყო მოხსენებები: გ. ფხავაძე – გ. გობეჯიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, გ. მირცხულავა – თეორიულის ნამოსახლარი, ზ. შატბერაშვილი - ბედენის ყორდანები, მ. ბარამიძე - ბრილის აკლდამა, ნ. სულავა – კავკასიის ფიბულების ერთ-ერთი სახელოსნო რაჭაში, შ. ჩართოლანი – გ. გობეჯიშვილი - კოლხეთის სამთამადნო წარმოების უძველესი ძეგლების პირველი მეცნიერება, გ. ინანიშვილი – ანთომონის წარმოების ისტორიისათვის მთიან რაჭაში, ლ. წითლანაძე – დიგორიული კულტურა და ბრილის სამაროვანი. მოგონებებით გამოვიდნენ ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, მ. ლებანიძე, გ. გრიგოლია, ლ. წითლანაძე, მ. ბარამიძე.

24-28 აპრილი. სამეცნიერო სესია „საქართველოში 2000 წელს ჩატარებული საველეარქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“. სესია გახსნა ცენტრის დირექტორმა ოთ. ლორთქიფანიძემ. წარმოდგენილი იყო მოხსენებები: მ. გაბუნია - სამხრეთ საქართველოს მთანეთის ექსპედიცია; გ. ნარიმანიშვილი, ნ. შანშაშვილი - წალკა-თრიალეთის ექსპედიცია; ზ. მახარაძე - კასპის რაიონის ექსპედიცია ციხიაგორაზე; გ. გამყრელიძე, ვ. ლიჩელი - ჰიდროარქეოლოგიური სამუშაოები ფოთის მიდამოებში; შ. ჩართოლანი - სვანეთის ექსპედიცია; ჯ. კოპალიანი, დ. ლორთქიფანიძე - გათხრები დმანისის ნაქალაქარზე. ოთ. ლორთქიფანიძე - გათხრები ვანის ნაქალაქარზე. ერთი დღე მიეძღვნა თემას „არქეოლოგია მშენებლობებზე“. შაპ-დენიზის გაზსადენზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ გაკეთდა მოხსენებები: ვ. ლიჩელი, გ. მინდაშვილი - გაზსადენის მარშრუტის ლიტერატურული მიმოხილვა და აეროფოტოდაზვერვები; ა. ორჯონიკიძე - გაზსადენის მარშრუტის საველედაზვერვები; გ. ნარიმანიშვილი, ზ. შატერაშვილი - არქეოლოგები მარშრუტის კორექციაზე. ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე სამუშაოების შესახებ: ც. ჩიკოიძე - კუხეთის ექსპედიცია მილსადენის გლდანის მონაკვეთზე; ა. აფაქიძე, გ. ყიფანიძე, ვ. ნიკოლაიშვილი - გათხრები მილსადენის ნარეკვაცის მონაკვეთზე; ვ. ჯაფარიძე, ო. მეშველიანი, გ. მახარაძე, გ. კვირკველია, კ. კალანდაძე - ძველი ნავთობსადენის დეოილინგის მონიტორინგი; ვ. სადრაძე - გურიის ექსპედიცია სუფსის ტერმინალის დეოილინგის ზონაში; ვ. ლიჩელი - მესხეთის ექსპედიციის სამუშაოები ახალციხის რაიონში; რ. პაპუაშვილი - კოლხეთის ექსპედიცია ტერმინალ 2000-ზე, ყულევში. სესიის ერთი დღე დაეთმო ნ. ბერძნიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის გათხრების ანგარიშებს: ნ. ხახუტაიშვილი, გ. თავაძამშვილი - რკინის წარმოების ახალი კერა ჩაქვისწყლის ხეობაში; ა. კახიძე, მ. ვიკერსი (ოქსფორდი), გ. თავაძამიშვილი - ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ფიჭვნარის ძვწ. V-IV სს-ის ბერძნული ნეკროპოლის ტერიტორიაზე; ა. კახიძე, მ. ვიკერსი (ოქსფორდი), ირ. ჩავლენიშვილი - არქეოლოგიური კვლევა-ძიება ფიჭვნარის ნაქალაქარზე; ა. კახიძე, შ. მამულაძე, მ. ხალვაში - ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ქედის რაიონში. არქეოლოგიური გათხრები გონიო-აფსაროსში: მ. ხალვაში, ნ. ინაიშვილი - ცენტრალური უბანი; ა. კახიძე, შ. მამულაძე, ტ. ებრალიძე - სამხრეთ კარიბჭის გარე ტერიტორია; გ. ლორთქიფანიძე, ა. ნონეშვილი - დასავლეთ კედლის II კოშკი; ვ. ჯაფარიძე - ზღუდის სამხრეთი კედლის დასავლეთი მონაკვეთი; ა. გეორგი, ა. პლონტკე-ლიუნინგი, ნ. ფელმუტი (იენა) - გარე ქალაქის ტერიტორიაზე წარმოებული სადაზერვო არქეოლოგიური გათხრების შედეგები. სესიის ფარგლებში ჩატარდა კოლეგიუმი თემაზე - „ცენტრალურ-

ამიერკავკასიური კულტურის ნომენკლატურა და ქრონოლოგია“ (მომხსენებელი - კ. ფიცხელაური). დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: ბ. მაისურაძემ, ვ. სადრაძემ, ალ. რამიშვილმა, მ. აბრაძიშვილმა, კ. კახიანმა, ნ. ახვლედიანმა, ოთ. ლორთქიფანიძემ. სესიის პლენარულ სხდომაზე მოსმინეს მოხსენებები: ოთ. ლორთქიფანიძე - არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2000 წელს; ოთ. ლორთქიფანიძე - კოლხური ბრინჯაოს კულტურის განძები (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა); კ. ფიცხელაურმა და მ. კორფმანმა (ტიუბინგენი) წარმოადგენს ქართულ-გერმანული არქეოლოგიური პროექტი „ტროა-უდაბნო“, შედგა პრეზენტაცია „მიებანი № 7“ და „მიებანი. დამატებანი. IV. ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები“, რომელიც მიეძღვნა პროფორმულთემდებილი დაბადებიდან 70 წლისთვის (დ. კაჭარავა, გ. კვირკველია). სესიისათვის მოეწყო ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების, აგრეთვე, 2000 წელს ცენტრის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებისა და ბიბლიოთეკაში ახალშემოსული წიგნების გამოფენა.

12-15 ივნისი. VIII სამეცნიერო სესია „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით)“, მიღვნილი საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი. მოსმინილი იყო მოხსენებები: მ. გაბუნია - ჯავახეთის მეზოლითური კულტურა, გ. ფხაკოძე - ადრებრინჯაოს ხანის ზიარი ჭურჭლების დანიშნულებისა და გავრცელების შესახებ, გ. მირცხულავა - ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარების შესახებ საქართველოში; კონსტანტინე ფიცხელაური, კოტე ფიცხელაური - ერთი მითითება ცენტრალურ ამიერკავკასიასა და ეგვიპტურ სამყაროს შორის კავშირის შესახებ ძვწ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, გ. გოგოჭური - უინგალის სამლოცველოს დვთაება, კავკასიური და ანატოლიური პარალელები, ალ. რამიშვილი - ს. წალვლში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს იარაღები და კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის საკითხები, გ. ლიჩელი - ერთი კერამიკული ფორმა მზეთამზიდან, ნ. კილურაძე - სამკაულები ბიჭვინტის სამაროვნიდან, ნ. მამაიაშვილი - იბერიის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი საგზაო მაგისტრალის შესწავლისათვის, მ. საგინაშვილი - მცხეთის აკლდამაში აღმოჩენილი მინის ჭურჭლები, ოთ. ლორთქიფანიძე - ბერძნულ-კოლხური ურთიერთობის გენეზისის ისტორიის პრობლემები, ნ. სულავა - შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი კონტაქტები (ფიბულების მიხედვით), ა. ჭყონია - სკვითური კულტურის იმპულსები კოლხურ იქრომჭედლობაში, ნ. მათიაშვილი - პერგამონი და კოლხეთი ძვწ. II-I სს., რ. რამიშვილი - სამხრეთ კავკასიის ნივთიერი კულტურა და გარე სამყარო ქრისტეშობამდე I ათასწლეულის

შუა ხანებში, ვ. ჯაფარიძე – ეგრისის საკაჭორო-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხისათვის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან (ლურჯი მინის დოქები ზღვისპირეთსა და ცენტრალურ ეგრისში), გ. რჩეულიშვილი - „დეპ-კერპებთან“ დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლები ფშავ-ხევსურეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში; 6. შანშამვილი, გ. ნარი-მანიშვილი. სტენდური მოხსენება – „ციკლო-პური“ ნამოსახლარები და სამხრეთ კავკასიის უძველესი სახელმწიფოები (დაიანი-დიაუნი).

26-28 ივნისი. ქრისტიანული არქეოლოგიის V კონფერენცია. წარმოდგენილი იყო მოხსე-ნებები:

რ. რამიშვილი – ქრისტიანული არქეოლო-გიის მუდმივი სემინარის ამოცანები ახალი საუ-კუნის დასაწყისში, მ. ჭირაქაძე - „ქართული ქრისტიანული ლექსიკონის“ შედეგისათვის (წი-ნასწარული პროექტი), მთავარებისკოპოსი ანა-ნია (ჯაფარიძე) – პეტრე იბერის აღმსარებლო-ბისათვის, რ. სირაძე – „სიონი“ და „სოფია“, თ. მგალობლიშვილი – ქართულ სიღველეთა მდგო-მარება და მათი შესწავლის პერსპექტივები წმინდა მიწაზე, რ. პატარიძე – ქართული ქრი-სტიანული წელთაღრიცხვა, ვ. გოილაძე – ასუ-რელ მამათა სამშობლო და ადრექრისტიანული ქართული კულტურა, ლ. პატარიძე – მცხეთის ებრაული დიასპორა, გ. ბოლქვაძე - „მოქცევა ქართლისა-ს“ ცნობის „ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი“ - ს განმარტებისათვის, ზ. კიკნაძე – ორი სამწესო ადრექრისტიანულ მცხეთაში, მ. ჩხარტიშვილი – მოქცევა ქრისტიანობაზე და ადრეული ნაციონალიზმი, ნ. კანდელაკი, ბ. ცერცვაძე – ამოცნობადი ინფორმაციული მასი-ვები და ხდომილებათა დათარიღების ანაზური პრინციპი ქართულ ასომთავრულ ში, ნ. გაფრინ-დაშვილი – სამყაროს მოდელი და ძველი ქარ-თული კალენდარი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ მიხედვით და მათი შესაძლო ადრექრისტიანული წყაროები, გ. ნარსიძე – მეფეთა გამოსახულებები წებელდის ხატებზე, გ. მჭედლიძე – გუდარეხის სამონასტრო კომპ-ლექსის მთავარი ტაძრის აშენების თარიღისა-თვის, გ. ნარსიძე, ნ. გაფრინდაშვილი - „მეფეთა ცხოვრების“ ქონოლოგია, კ. წერეთელი – დე-ლიფინის სალოცავი მთიულეთის არაგის ხეო-ბაში, ვ. ჯაფარიძე – აღმოსავლეთ ეგრისში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის, გ. ყიფანი – ქართული ქრისტიანული სურომო-დღვრების სათავეებთან, ქ. რამიშვილი – ქრისტიანული სიმბოლიკა სასანური ირანის გლიპ-ტიკურ ძეგლებზე, ვ. ნიკოლაძე მიშვილი – წილკ-ნის ადრექრისტიანული ხანის აკლდამა; ვ. ჩიხ-ლაძე, ე. კავლელიშვილი - უინგალის ბეჭედი ქრისტეს შობის სცენით, მ. მარგველაშვილი - უინგალის აღმოჩენილი მთავარანგელოზის გა-მოსახულება, ი. წიკლაური – ეკლესია-მონას-ტრები აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთში, ე. ბალათურია – ჩრდილო-დასავლეთ ეგრისის

(მთანი აფხაზეთის) მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის ისტორიის საკითხები, რ. რამიშვილი – ადრეულ ქრისტიანობასთან და-კავშირებული მასალები მაგრანეთის სამაროვნი-დან. დაიბეჭდა მოხსენებების მოკლე შინაარსები (იხ. ქვემოთ).

18 სექტემბერი. სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა; მიემდვნა გამოჩენილი მეცნიერი-არქეო-ლოგისა და პედაგოგის, აკადემიკოს ოთარ ჯაფა-რიძის დაბადებიდან 80 წლისთავს. შედგა პრეზენ-ტაცია აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძისადმი მიძღვ-ნილი კრებულისა „კავკასია. ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი. დამატებანი VI“ (ოთ. ლოროტქიფანიძე). მისა-ლობებით გამოვიდნენ მ. ლოროტქიფანიძე, დ. მუსხლიშვილი, ნ. ხაზარაძე, გ. გოირგაძე, გ. ფხავაძე, ნ. ლომოური, ი. ლოროტქიფანიძე, ლ. ჭილაშვილი, კ. ფიცხელაური, კ. მეშველიანი, გ. გრიგოლია, კ. ჩოლოფაშვილი.

22 ოქტომბერი. სამეცნიერო სესია; მიემდვნა ღვაწლმოსილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის დავით ხაუტაიშვილის ხსოვნას. სესია გახსნა ცენტრის დირექტორმა ოთ. ლოროტქიფანიძემ. წარმოდგენილი იყო მოხსენებები: ვ. ჯაფარიძე - დავით ხაუტაიშვილის ცხოვრების გზა, კ. ფიცხელაური – დავით ხაუტაიშვილი - ბრინ-ჯაოს ხანის კერძმიკული წარმოების მკლევა-რი, ალ. რამიშვილი – კოლხეთის ზღვისპირა სადგომები, გ. ინანიშვილი – კოლხეთის რკინის მეტალურგიის ქონილობის საკითხები, გ. ყიფანი – უფლისციხის გენერალური გეგმები, დ. მინდორაშვილი – შუა საუკუნეების უფლის-ციხის არქეოლოგია. მოგონებებით გამოვიდნენ ოთ. ჯაფარიძე, დ. მუსხლიშვილი, რ. ფუთუ-რიძე, რ. რამიშვილი, კ. ლიჩელი, გ. გრიგოლია, ნ. ხაზარაძე, გ. გოირგაძე, ედ. ხოშტარია-ბროსე, ნ. ლომოური.

20-22 დეკემბერი. I სამეცნიერო კონფერენ-ცია „შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით“. კონფე-რენცია გახსნა ცენტრის დირექტორმა ოთ. ლოროტქიფანიძემ. მოისმინეს მოხსენებები: რ. რამიშვილი – საქართველოს ნასოფლარების შესწავლის მდგომარეობა და პერსპექტივები, მ. ჭირაქაძე - არქეოლოგიური ტერმინი „ნასოფ-ლარი“ - „სოფელი“, ო. ჩიქოვანი – დიდი ოჯა-ხის საკითხისათვის XI-XVIII საუკუნეთა სამ-ხრეთ საქართველოში, ვ. ამირანაშვილი – ალ-გეთის ხეობის შუა წელის ადრე და განვითარე-ბული შუასაუკუნეების ნასოფლარები, დევებია-ნისა და დიდრუების ნასოფლარები ფშავის არა-გვის ხეობაში, ივ. წიკლაური – ნასოფლართა ტოპოგრაფია აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ნეთში, ვ. სონდულაშვილი – დიღმის ხეობის სოფელები და ნასოფლარები, რ. დოლაბერიძე – თუშეთის ნასოფლარები და ნიშტაყოს სამლო-ცველო; ნ. ბახტაძე, პ. ლეჟავა – განვითარებუ-ლი შუასაუკუნეების კლდის ნასოფლარები ქვე-მო ქართლში, მ. მარგველაშვილი – ქ. უინგალის მკვებავი სოფლები განვითარებულ შუასაუკუნე-

ებში; ტბ. ჯორბენაძე, პ. წერეთელი – გუდრუხის ნასოფლარი ფშავის არაგვის ხეობაში, ც. ლომიძე – ნასოფლარი მღვიმე ქალაქ ჟინვალის სამხრეთ მისადგომებთან, ვ. ნიკოლაძიშვილი – კარსნისხევის სამისახლოზე აღმოჩენილი მარანი, ვ. ჩიხლაძე – ნასოფლარი ობოვჯი ხონის რაიონში, მ. ჩხატარაშვილი – მინის წარმოება და მოხმარება ქართულ სოფელში; გ. გოცირიძე, გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი – სამზადი სახლი ქართული სოფლის საცხოვრებელ კომპლექსში; ჯ. ამირანაშვილი, გ. ლამბაშიძე – წალკის დარანი დაიბეჭდა მოხსენების მოკლე შინაარსები (იხ. ქვემოთ).

ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სხვადასხვა სესია-კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სამეცნიერო კონფერენციაზე - „ჯავახეთი. ისტორია და თანამედროვეობა“ (ახალციხე, 10-11 იანვარი) წარმოდგენილი იყო მოხსენები: 6. მგელაძე, გ. ნარიმანიშვილი – გოდერძის უდელტეხილის ძველი ნამოსახლარები; ე. ჯანდიერი - არქეოლოგიური გათხრები ჯავახეთის ახალქალაქში, მ. გაბუნია - ჯავახეთის მეზოლითი, ი. ლამბაშიძე - ჯავახეთი ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში, ლ. მაღრაძე – დიუბუა დე მონპერეს ცნობები სამცხე-ჯავახეთის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის აკად. მალხაზ აბდუშელიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს (25 მაისი), მოგონებებით გამოვიდნენ ოთ. ჯაფარიძე და რ. რამიშვილი.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციაზე „ქართველი ხალხის ეთნოგრენზი“ (29-31 მაისი), მოხსენებები გააკეთეს: ოთ. ლორთქიფანიძე – კოლხური ეთნოკულტურული სისტემა, კ. ფიცხელაური – ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“-ში მოხსენიებული რამდენიმე ეთნონიმის არქეოლოგიური ატრიბუციისათვის.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის, როსტოვის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის არქეოლოგიური მეცნიერულ-მეთოდური ცენტრის, როსტოვის მხარეთმცოდნების მუზეუმის X საერთაშორისო კონფერენციაზე „საერთაშორისო ურთიერთობანი უძველეს ხანასა და შუასაუკუნეებში“ (დონის როსტოვი, 29 მაისი – 3 ივნისი) გ. კვირკველაძე წაიკითხა მოხსენება - ჰოპლიტური შეიარაღება კოლხეთში, ვ. ლიჩელმა – ეშერის წარწერის ინტერპრეტაციისათვის. მოხსენებები დაიბეჭდა (იხ. ქვემოთ).

I საერთაშორისო კონგრესზე „დიდი აბრეშუმის გზა“ (ანკარა, 1-6 ივნისი) ვ. ლიჩელი წარსდგა მოხსენებით – მილსადენები და არქე-

ოლოგიური კვლევის პერსპექტივა სამხრეთ პაკასიაში.

